პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

მეოთხე წელიწადი

კომუნისტი

საქართ. კომუნისტური პარტიის
ცენტრალური და თბილისის
კომიტეტის
და სრულიად საქართველოს მუშათა
გლეხთა, წითელარმიელთა და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცენტრ. აღმასკომის
ორგანო

რედაქცია
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი
№ 24, მეორე სართული
რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე გარდა კვირა-უქმეებისა 10—11 საათ.
ტელეფონები (რედაქტორის 14—76
მდივანის 10—58

მთავარი კანტორა
თბილისი. რუსთაველის პროსპექტი
ტელეფონი 10—49
ხელისმოწერის ფასი: მუშა-მოსამსახურეთ 65 კ., დანარჩენებისათვის ქალაქში 85 კ., ქალაქს გარეშე—95 კ., ხელისმომწერნი მიიღებენ „ჩირაღდანს“
განცხადებები: მომპარელის სტრიქონი—20 კ., აწყობა ციფრებით—25 კ. სამგლოვიარო—5 მან. დოკუმენტების დაკარგვა 50 კაპ. განცხადებები მიიღება 3 საათამდე
ექსპედიციის ტელეფ. 5—43

დღევანდელი გაზეთი შეიცავს 6 გვერდს

დღიური

— კომინტერნმა გამოუშვა მოწოდება ყველა ქვეყნის მუშათა მიმართ პოლონეთის ჯალათების წინააღმდეგ.

— დაითხოვეს ეგვიპტის პარლამენტი.

— განდის თავმჯდომარეობით გაიხსნა ინდოეთის ეროვნული კონგრესი.

ინდოეთის წარმოებებში დაიწყო გაფიცვები.

— ალბანეთის აჯანყებულები განაგრძობენ წინსვლას.

ხუთშაბათი, 25 დეკემბერი 1924 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 5 კ. № 295 (1150)

გაზეთი
„კომუნისტი“
გამოვა 26 და 27 დეკემბერსაც

ორი მსოფლიოს ბრძოლა

საბჭოთა კავშირის დასავლეთის საზღვრებზე მდებარე სახელმწიფოებში გამხეცებული ბურჟუაზია დაუნდობელ ბრძოლას აწარმოებს მუშათა კლასის წინააღმდეგ. თეთრი ტერორი მძვინვარებს პოლონეთში, ესტონეთში და ბალტიის ნაპირებზე მდებარე ყველა სახელმწიფოებში, რომლებიც იმავე დროს ამზადებენ საბჭოთა კავშირის საწინააღმდეგო მთლიან ფრონტს.

დასავლეთ ევროპის დიდ სახელმწიფოებშიც სასტიკი დევნა სწარმოებს წინააღმდეგ კომუნისტური პარტიებისა, რომლების წევრებისთვისაც ყოველთვის მზად არის ბრალდება სახელმწიფო ღალატში და ათასგვარ სხვა დანაშაულობაში. ბურჟუაზიული ქვეყნების ციხეები სავსეა პოლიტიკური პატიმრებით, თითქმის განუწყვეტლივ სწარმოებს ქუჩებში ბრძოლა, მოსყიდული ბურჟუაზიული და სოციალ-შემთანხმებელთა პრესაც მუდამ მზათ არის ცილისწამების კამპანიისთვის მშრომელთა განთავისუფლებისთვის მებრძოლ რევოლიუციონერების წინააღმდეგ.

ოქტომბრის მერვე წელშიც გრძელდება კაპიტალის და შრომის გაფთრებული ბრძოლა და ამ ბრძოლაში ორივე მხარე მუდამ გამოიყურება საბჭოთა ქვეყნების მშრომელთა დიდი კავშირისკენ.

მთელი ქვეყნის ბურჟუაზია შიშით და უსაზღვრო მძულვარებით შეჰყურებს ჩვენი ქვეყნების [illegible], მათი შინაური აღმშენებლობის და საერთაშორისო მდგომარეობის განმტკიცებას. თავის ქვეყნებში რევოლიუციონური მოძრაობის გაზრდის ის ყოველთვის საბჭოთა კავშირის მავნე აგიტაცია-პროპაგანდით ხსნის, ყოველ თავის უბედურებას მას აწერს და თუ მოხერხებული დრო უშოვა მუდამ მზად არის ლახვარი ჩასცეს მას ზურგში, აღგავოს ის დედამიწის პირიდან.

ასე იქცევიან როგორც ჩვენი კავშირის მოსაზღვრე პატარა სახელმწიფოები: პოლონეთი, ესტონეთი და სხვა, ისე ევროპის დიდი სახელმწიფოებიც. ინგლისის ბურჟუაზია თავის კოლონიებში რევოლიუციონური მოძრაობის გაზრდას, დაპყრობილ ხალხთა მის წინააღმდეგ აჯანყებას მუდამ საბჭოთა კავშირის აგიტაცია-პროპაგანდით ხსნის. საბჭოთა კავშირის საშინელი ჩრდილი მას ყოველთვის თან დასდევს და მოსვენებას არ აძლევს. ამიტომაც ინგლისის ბურჟუაზია მუდამ იმის ცდაშია, რომ სადმე რამე გვავნოს, გვაზარალოს, ხელი შეგვიშალოს. ამიტომ შეეცადა ის ამ დღეებში და დროებით მიაღწია კიდეც მიზანს, შესძლო ალბანეთიდან ჩვენი წარმომადგენლის განდევნა. ეს დიდი ბრიტანეთის ბურჟუაზიის მორიგი ინტრიგაა, აშკარა გამოსვლაა ჩვენს წინააღმდეგ. ასეთ გამოსვლებს ის ყოველთვის აწყობდა, მოაწყობს მომავალშიც, მაგრამ საეჭვოა, რომ ამით მან თავიდან აიცილოს რევოლიუციონური მოძრაობის ზრდა როგორც კოლონიებში, ისე თვით მეტროპოლიაში, ინგლისში.

ეგვიპტეში ინგლისის წინააღმდეგ ბრძოლა გრძელდება, სპარსეთში ინგლისის მიერ მოწყობილი არსებითად ჩვენი საწინააღმდეგო გამოსვლა უშედეგოდ დამთავრდა. ინდოეთის სამრეწველო რაიონებში დღევანდელი დეპეშის მიხედვით მუშათა დიდ მღელვარებას აქვს ადგილი. თავის ხელმძღვანელთა დათხოვნის გამო მუშები შეიარაღებული მოვიდნენ ქარხნებში და აჯანყებისკენ მოუწოდებდნენ დანარჩენ მუშებსაც. მუშების დასაწყნარებლად ჯარების გამოყვანა გახდა საჭირო.

თვით ინგლისშიც დღითი დღე იზრდება რევოლიუციონური მოძრაობა. ტრედიუნიონებში მემარცხენეთა გავლენა საშიში ხდება კონსერვატიული კაბინეტისთვის და თვით მუშათა პარტიის მემარჯვენე ფრთისთვის. საბჭოთა კავშირიდან დაბრუნებული ტრედიუნიონების დელეგაციის განცხადებები ყოველგვარ ღირებულებას უკარგავენ კონსერვატორების ცილისწამების კამპანიას საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. პერსელი და მისი ამხანაგები საბჭოთა კავშირის აქტიური მომხრეებია და რაც უფრო მეტი გაფთრებით აწარმოებს ჩვენ საწინააღმდეგო კამპანიას ინგლისის ბურჟუაზია, მით უფრო იზრდება ინგლისის მუშათა კლასის და მთელი მშრომელი კაცობრიობის სიმპატია საბჭოთა კავშირისადმი.

ასე არის არა მარტო ინგლისში, ასე არის საფრანგეთშიც, გერმანიაშიც, პოლონეთშიც, ესტონეთში და ყველა კაპიტალისტურ სახელმწიფოებში. ბრძოლა გრძელდება მთელი ფრონტით და ყველა ქვეყნის მუშათა კლასის საუკეთესო რევოლიუციონური ნაწილი სცდილობს მიბაძოს საბჭოთა კავშირის მუშებს ბურჟუაზიული წესწყობილების დამხობის საქმეში.

პროფმოძრაობის მთლიანობის აღდგენა ხელს შეუწყობს მას ამ მოძრაობაში და რაც უფრო ახლო კავშირი ექნება კაპიტალისტური ქვეყნების მუშებს საბჭოთა კავშირის მუშებთან, მით უფრო მოახლოვდება შრომის გამარჯვების დღე მთელ მსოფლიოში.

ამხ. პერსელი ურჩევს მთელი ქვეყნის მუშებს მიბაძონ საბჭოთა კავშირის მუშების მაგალითს. და როდესაც მთელი მსოფლიოს მუშებიც წავლენ საბჭოთა კავშირის მუშების გზით, მიაღწევენ გამარჯვებას, მხოლოდ მაშინ გათავდება, მიეცემა დასასრული შრომისა და კაპიტალის იმ გაფთრებულ ბრძოლას, რომელიც მძვინვარებს დღეს მთელს მსოფლიოში.

სოფლისაკენ*)

2. მუშურ-გლეხური კავშირის ისტორიული აზრი

ას წელზე მეტია, რაც ბურჟუაზია ქვეყანას განაგებს და ამ ხნის განმავლობაში გლეხის მდგომარეობა ისევე უფრო და უფრო უარესდება, როგორც პროლეტარიატისა. მონოპოლისტური კაპიტალი ტრესტებისა და სინდიკატების საშუალებით დღითი-დღე აძვირებს ფაბრიკატებს (რეალურად), ხოლო სანოვაგეს ეზიდება დაპყრობილ კოლონიებიდან და სხვა გარეშე სახელმწიფოებიდან, რაც შედარებით სცემს ამ უკანასკნელის ფასს ბაზარზე, მსხვილი მეურნეობა აქ იმდენს არას აგებს, რადგან სანოვაგის ფასების დაცემა აიაფებს მუშა ხელს და სამეურნეო მანქანებს, აგრეთვე აჩქარებს სოფლად მიწის კონცენტრაციას. აქ პირველად ყოვლისა ისრისება წვრილი მეურნე—თავისი ხელით მშრომელი, ე. ი. გლეხების ცხრა მეათედი.

ამასთანავე ერთად იმპერიალისტური ომები, თანამედროვე ფინანსიურ კაპიტალის აუცილებელი თანამგზავრი, პირველად ყოვლისა არღვევს და ღუპავს წვრილ მეურნეობას, ართმევს რა მას მუშა ხელს და უდიდეს გადასახადს. წარსულმა იმპერიალისტურმა ომმა უკვე თვალსაჩინოდ დაამტკიცა ყოველივე ეს.

აქედან ცხადია, გლეხი ეძებს გამოსავალს არსებულ მდგომარეობიდან. ის დაინტერესებულია მუშების ხელფასის გადიდებით (თვით მისი შრომის ნაყოფიც ხომ ხელფასია), ე. ი. მათი მსყიდველობითი უნარიანობით შემდეგ მექარხნის მოგების შემცირებით და ფაბრიკატების გაიაფებით. იმპერიალისტურ ომების მოსპობა აგრეთვე აუცილებელი პირობაა მის ცხოვრების პირობების გაუმჯობესებლად.

ამ რიგად კაპიტალისტურ ქვეყნებში (როგორც ჩვენში) გლეხის მთავარი მოთხოვნილებები სრულიად ეთანხმება მუშებისას. და რა თქმა უნდა, რამდენად მუშათა კლასი კარგავს იმედს თავისი მდგომარეობის გაუმჯობესებისას ბურჟუაზიულ კონსტიტუციის საშუალებით და მოითხოვს არსებულ წესწყობილების რევოლიუციონურად გარდაქმნას, იმდენად გლეხობაც, თუმცა უფრო ნელის ნაბიჯით, მაგრამ მაინც იმავე გზით, რევოლიუციონური ტაქტიკის მომხრე ხდება. ამის დამამტკიცებელია ის ფაქტი, რომ თებერვლის რევოლიუციიდან ოქტომბრის რევოლიუციამდე მემარჯვენე სოც.-რევოლ. პარტია თანდათან იხრწნებოდა, დნებოდა და იზრდებოდა მისი მარცხენა ფრთა ოქტომბრის დღეებში და მის შემდეგ თანდათან იშლებოდა, სანამ მთლად და უკუმანოდ არ დადგა კომპარტიის დროშის ქვეშ.

ასეთივე მდგომარეობას აქვს ადგილი ევროპაშიაც. იქ თუ დღემდე გლეხობა თავის ხმებს აძლევდა ბურჟუაზიულ პარტიებს, ეხლა ის თავის საკუთარ გლეხურ პარტიებს აწყობს, ის ასე ვთქვათ, ორგანიზაციულად ეყოფა ბურჟუაზიულ კლასს (ბულგარეთი, რუმინია, გერმანია, სამხრეთ სლავია, იტალია, იაპონია და სხვა) იქ გლეხური პარტიები თანდათან უფრო გარკვეულ და ბურჟუაზიისაგან განცალკევებულ პოლიტიკურ გეზს აყენებენ. მართალია, ეს ჯერ კიდევ პატარა ნაბიჯია. მაგრამ აქედან საბჭოთა იდეამდის არც დიდი მანძილია. გავა დრო და გლეხური პარტიები დაინახავენ, რომ მათი მოთხოვნილების განხორციელება შეუძლია მხოლოდ მუშურ-გლეხურ საბჭოთა ხელისუფლებას.

რასაკვირველია, გლეხთა უმცირესობა, პაწაწა, ჩასუქებული ნაწილი ბურჟუაზიასთან დარჩენას ირჩევს. მაგრამ ცხადია, რომ ეს პაწაწა ნაწილი არ არის გლეხთა მოძრაობის ხელმძღვანელი (არც ჩვენში და არც სხვაგან), გლეხთა მოძრაობას გეზს აძლევს ღარიბი და საშუალო გლეხობა, ხოლო მის მისწრაფებას რევოლიუციონურ ფარგლებში აყალიბებს მუშათა კლასი.

ასეთი კავშირი მუშებისა და გლეხებისა, რა თქმა უნდა, არ არის არც შემთხვევითი და არც მარტო ტაქტიკური მოსაზრებით გამოწვეული. ამ ერთობის საძირკველი დადებულია მათ მთავარ მისწრაფებათა ერთობაზე.

დღევანდელ მონოპოლისტურ კაპიტალის წარმოების პროცესში ყოველი ახალი მანქანა, ყოველი ტეხნიკური პროგრესი იწვევს მხოლოდ მსხვილ მწარმოებლის მოგების გაძლიერებას და წვრილ მწარმოებელთა ექსპროპრიაციას; მუშურ-გლეხურ რესპუბლიკის ხელში ასეთი მანქანები შექმნიან ფაბრიკატების სიმრავლეს და სიაფეს მთელი საზოგადოებისათვის. ტეხნიკის პროგრესი მუდამ ასარგებლებს წარმოების პატრონს. მაშასადამე, როცა წარმოების პატრონი იქნებიან მუშა და გლეხი,—ის ასარგებლებს მათ.

თუ დღეს კაპიტალისტურ ქვეყნებში ყოველი ახალი მანქანა სოფლის მეურნეობაში მსხვილი მიწათმფლობელის მონოპოლიას შეადგენს საბჭოთა ხელისუფლების დროს ასეთი მანქანით ისარგებლებს ყოველი მიწის მუშა გლეხი.

იმპერიალისტური ომებიც მხოლოდ მუშურ-გლეხური ხელისუფლების გაბატონებით მოისპობა.

მაგრამ არა მარტო ამ მხრივ იცვლება გლეხის მდგომარეობის ეკონომიური და პოლიტიკური მხარეები საბჭოთა ხელისუფლების განმტკიცების პროცესში. აქ იცვლება გლეხის თვით სოციალური არსება. ის ხდება ფაქტიური გამგე საწარმოო იარაღის: მიწის და ტრაქტორის. უკანასკნელნი მის კერძო საკუთრებას კი არა, საზოგადო საკუთრებას შეადგენენ და მას მხოლოდ მისი შრომის უნარიანობის დროის განმავლობაში უსასყიდლოდ ეძლევა საწარმოვოდ.

გლეხი კარგავს წვრილ-ბურჟუაზიულ სახეს და ხდება კომუნისტური საზოგადოების წევრი—მუშა. „განსაზოგადოებრივებული წარმოება სადავით მიათრევს უზარმაზარ წვრილ გლეხურ ბარქას, სანამ არ მოისპობა გლეხური ინდივიდუალური ხასიათის მეურნეობა“,—ამბობს ამხ. ბუხარინი.

ამრიგად, გლეხი ეკონომიურად და პოლიტიკურად დგება პროლეტარიატის პლატფორმაზე ისევე აუცილებლად, როგორც ევროპის ფეოდალები ბურჟუაზიულ რევოლიუციის შემდეგ, თავისდაუმჩნევლად, დადგენ კაპიტალისტურ პლატფორმაზე. გადააქცია რა კაპიტალიზმმა მათი მამა-პაპური ადგილ-მამული ჩვეულებრივ კაპიტალად, ხოლო პატრონები კაპიტალისტებად.

ი. ტალახაძე.

---

*) იხ. „კომუნისტი“ № 192

სამზადისი გლეხკომების ყრილობისათვის

[illegible] იანვრის [illegible] რიცხვებისათვის თბილისში მოწვეულია სრულიად საქართველოს გლეხთა ურთიერთ დამხმარე კომიტეტების (გლეხკომების) პირველი ყრილობა, რომელზედაც დაწვრილებით გამორკვეული იქნება გლეხკომების ერთი წლის მოქმედება-საქმიანობის შედეგი, აქვე გაუკეთდება საერთო ჯამი მთელ განვლილ მუშაობას და არჩეულ იქნება ერთი ცენტრი, რომელსაც დაეკისრება საერთო ხელმძღვანელობა გაუწიოს მთელი რესპუბლიკის ფარგლებში გლეხკომების იდეიურ და პრაქტიკულ მუშაობას.

ყრილობაზე გადაიშლება მთელი სურათი გლეხკომების წარსულ მუშაობისა და აქვე გამომუშავებული იქნება მთლიანი გეგმა მომავალი მუშაობის. სურათი, რომელიც გლეხკომების წარსული მუშაობის შესახებ ყრილობას გადაეშლება, აუცილებლათ გადაუჭარბებელი, უტყუარი, [illegible] უნდა იქნეს.

როგორ შეიძლება ჩვენ ამას მივაღწიოთ? მუშურ-გლეხურ ხელისუფლებას არ სურს სიყალბით, არა სწორი ცნობებით მოიტყუოს თავი და ქვეყანა მოატყუოს. მუშურ-გლეხური ხელისუფლება თავის მუშაობის პროგრამას ყოველთვის სინამდვილეს უფარდებს, ამიტომაც აუცილებლად საჭიროა ყრილობაზე გლეხკომების განვლილი მუშაობის შესახებ ითქვას მარტო სიმართლე.

ყრილობის მოწვევამდე საჭიროა ძირითადი და სამაზრო გლეხკომების გადარჩევა მოხდეს ყველგან. გლეხკომების გადარჩევა უნდა მოხდეს სოფლის და თემების საერთო, საჯარო კრებებზე. გადარჩევამდე ძველმა გლეხკომებმა გლეხების კრებებზე აუცილებლად უნდა გაუკეთონ გლეხებს (ამრჩევლებს) დაწვრილებითი მოხსენებები და სრული ანგარიში ჩააბარონ მათ თავის მუშაობა-საქმიანობის შესახებ. მოხსენებებში აუცილებლათ აღნიშნულ უნდა იქნეს: თუ რამდენ ხანმა გაიარა მას შემდეგ, რაც გლეხკომები იყო არჩეული. დაწვრილებით უნდა იქნას ნაჩვენები არჩევის დღიდან სულ რამდენი კრება ჰქონდა გლეხკომებს და ამ კრებაზე რა და რა საკითხები გაირჩა; უნდა ითქვას სიმართლე—სოფელში თვითდაბეგვრა რა სახით გატარდა როგორ და რა სახით იყო ის გაწერილი გლეხებზე, უნდა აღინიშნოს თვითდაბეგვრის დროს რამდენ კატეგორიათ იყვნენ მცხოვრებლები დანაწილებული; მოხსენებებში აუცილებლათ უნდა აღინიშნოს რა და რა წყაროებიდან იქნა შედგენილი გლეხკომების ფონდი, აგრეთვე აღნიშნული; უნდა იქნეს ფონდების რაოდენობა სისწორით; უნდა იქნეს ნაჩვენები რამდენი გაიცა ფონდებიდან დახმარებებზე და ვის მიეცა ეს დახმარებები; უნდა ითქვას სიმართლე რა დარჩათ ფონდში და როგორ უვლიან და პატრონობენ მას. ერთი სიტყვით, გლეხკომებმა დასაბუთებული ვრცელი მოხსენებები უნდა გაუკეთონ ამრჩეველ გლეხებს ყრილობებზე მთელი თავისი მუშაობა-საქმიანობის შესახებ. გლეხებმა სისწორით უნდა გაიგონ ყოველივე—თუ როგორ მუშაობდნენ და რას აკეთებდნენ მათი ნდობით აღჭურვილი არჩეული პირები. გლეხკომების [illegible] მუშაობიდან არაფერი არ უნდა დაუმალონ გლეხებს და ყველაფერი როგორც კარგი, ისე ცუდი პირდაპირ და გულახდილათ უნდა უთხრან მათ.

ძველი გლეხკომების მოხსენებების შემდეგ აუცილებლათ უნდა იქნეს მოსმენილი სარევიზიო კომისიის მოხსენებაც. ეს გლეხებს საშუალებას მისცემს გლეხკომების წარსულ მუშაობაზე თავისი [illegible] მკაფიოდ გამოსთქვან და დაუფარავათ აღნიშნონ ამ მუშაობაში როგორც ღირსება, აგრეთვე ნაკლი. თვითეული გლეხის აზრს, გლეხკომების ყრილობაზე თავისუფლად გამოთქმულს, დიდი ფასი ექნება.

გლეხკომების გადარჩევა ჩატარებულ უნდა იქნეს გლეხკომების მუშაობა-საქმიანობის შესახებ მოხსენების მოსმენის შემდეგ.

მაინცდა მაინც აუცილებლად საჭირო არ არის გლეხკომებში ახლები იქნან არჩეულნი. თუ ძველი გლეხკომის წევრები პატიოსნათ და კარგათ ასრულებენ დაკისრებულ მოვალეობას, მაშინ შეიძლება მათი ხელახლათ არჩევა. ენერგიული და ძველი გამოცდილი მოღვაწეები არ უნდა ჩამოაშორონ გლეხკომებს.

სათანადო ზომები უნდა იქნეს მიღებული, რაც შეიძლება მეტი ქალები იყვნენ გაყვანილი წევრებათ. გლეხკომებში წევრებათ ისეთი ქალები უნდა იყვნენ არჩეულნი, რომელთაც შეუძლიათ საზოგადო ასპარეზზე ნაყოფიერი მუშაობა. გასული მუშაობის პრაქტიკამ ჩვენ ნათლათ დაგვანახა, რომ სადაც გლეხკომებში ქალები იყვნენ არჩეულნი, მუშაობა მეტად ნაყოფიერად მიდიოდა.

გლეხკომების მუშაობაში სოფლად ჩაბმულ უნდა იქნენ ყველა კულტურული ძალები. გლეხკომში უნდა აირჩიონ მასწავლებელი, ექიმი, ექიმის თანაშემწე, აგრონომი და ყველა ისინი, ვისაც თავის მუშაობით სარგებლობის მოტანა შეუძლია გლეხებისათვის.

ძირითადმა გლეხკომებმა მთელი მასალები, რომელიც შეეხება გლეხკომის მუშაობა-საქმიანობას (**დადგენილებები, განკარგულებები, ცირკულიარები და სხვა**) აუცილებლად უნდა წარუდგინონ სამაზრო გლეხკომების ყრილობებს, სამაზრო ყრილობები-კი თავის მხრივ ყველა ამ მასალებს დააგროვებენ და წარუდგენენ სრულიად საქართველოს გლეხკომების პირველ ყრილობას. გლეხკომების მუშაობა საქმიანობის შესახებ ყველა მასალების დაგროვება სრულიად საქართველოს გლეხკომების ყრილობას ძალზე გაუადვილებს მუშაობას და ნათელ სურათს გადაუშლის ყველას იმის შესახებ. თუ რა მოიმოქმედეს და გააკეთეს გლეხკომებმა. ყრილობის მოწვევის დრო ახლოვდება, ჩვენი ვალია ამ ყრილობას მომზადებული შევხვდეთ.

კ. ხომერიკი.

საბჭოთა კავშირი და უცხოეთი

ჩვენმა ელჩმა დანიის მთავრობას ჩააბარა რწმუნების სიგელი

ამხ. პერსელმა განაცხადა, რომ ინგლისის მუშები მაგალითს აიღებენ რუსეთის მუშებისაგან

სოციალ-გამცემლებმა განზრახ დაამახინჯეს ამხ. პერსელის სიტყვა საბჭოთა კავშირის შესახებ.—ერრიომ მიიღო ერბეტი, რომელიც დანიშნულია საფრანგეთის ელჩად მოსკოვში.

ამხ. პერსელის წერილი

ლონდონი. 23 დეკ. პროფკავშირების ლენინგრადის საგუბერნიო საბჭოს პრეზიდიუმმა რიგიდან მიიღო ინგლისის ტრედიუნიონების დელეგაციის თავმჯდომარის—პერსელის წერილი. პერსელი სწერს: „როგორც ეხლა, ისე მომავალშიაც ჩვენ თქვენთან ვიქნებით. ეჭვს გარეშეა, რომ თქვენ საქმეში თქვენ გამარჯვებთ, როგორც ნაწილი დიდი საერთაშორისო ოჯახისა. ჩვენი აზრი და ჩვენი გრძნობა ყოველთვის თქვენთან იქნება. თქვენ კარგათ მუშაობთ თქვენი კლასის სასარგებლოთ. დეე თქვენს მაგალითს რაც შეიძლება ჩქარა მიბაძონ მთელს მსოფლიოში. ჩვენ კიდევ დავბრუნდებით, რომ მეგობრობა გამოგიცხადოთ თქვენ“.

ამხ. პერსელის განცხადება

ბურჟუაზიულ პრესის სიცრუე.

ლონდონი. 23 დეკ. „დეილი ჰერალდის“ წარმომადგენელთან საუბრის დროს პერსელმა სთქვა: „როდესაც რუსეთში ვიყავით, ჩვენ ხშირად გვეუბნებოდნენ: „აი რას სწერენ თქვენს შესახებ ინგლისის, ბერლინის და ამსტერდამის გაზეთებიო. ჩვენ გვეკითხებოდნენ, ზიანს ხომ არ მოგვაყენებს ეს, როდესაც შინ დავბრუნდებოდით. გერმანიის და ინგლისის პრესა, როგორც კაპიტალისტური, ისე „სოციალისტური“ ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ დელეგაციის წევრთა მიერ წარმოთქმულ სიტყვების დამახინჯებაში.

მოხსენება წარდგენილი იქნება გენერალურ საბჭოში.

დელეგაციის მოხსენების შესახებ პერსელმა განაცხადა, რომ ეს მოხსენება უწინარეს ყოვლისა წარედგინება ტრედ-იუნიონების გენერალურ საბჭოს.

წაბაძეთ რუსეთის მუშებს.

შეკითხვაზე, თუ როგორი იქნება მოხსენების ხასიათი, პერსელმა უპასუხა: „დაიცადეთ—დაინახავთ“. საკმარისია ითქვას ერთი რამ: ინგლისის მუშათა კლასს რომ შეეგნო თავისი ძალა და სიძლიერე ისე, როგორც ეს შეიგნო რუსეთის მუშათა კლასმა, მაშინ პროფესიონალური პოლიტიკოსები და მოსყიდული კაპიტალისტური პრესა ჩქარა დარწმუნდებოდნენ, რომ ისინი შესაფერ საქმეს აკეთებენ.

რეაქციონერების ხროვა

ჰელსინგფორსი. 23 დეკ. ინგლისში კონსერვატიული მთავრობის გაბატონების დღიდან და განსაკუთრებით მის შემდეგ, რაც ჩემბერლენი რომში გაემგზავრა, ფინეთის ბურჟუაზიული პრესა დაწვრილებით იხილავს საკითხს ფინეთის საგარეო პოლიტიკის ორიენტაციისა და იმის შესახებ, რომ შექმნილი იქნეს ერთიანი ფრონტი ბოლშევიზმის წინააღმდეგ.

ფაშისტური ორგანო „სუუნტა“ ხაზს უსვამს იმას, რომ ასეთი ფრონტის შექმნა გაამართლებს რუსეთის მეზობლების იმედებს. „მაგრამ, სწერს გაზეთი, ამ გეგმის გატარებას ართულებს საფრანგეთის მიერ საბჭოთა კავშირისათვის ვრანგელის ფლოტის გადაცემა, რომელიც შესამჩნევათ გაადიდებს საბჭოთა კავშირის სამხედრო ძალას“.

აგრარიების გაზეთები მოითხოვენ კავშირის დამყარებას ესტონეთთან, პოლონეთთან და სხვა მეზობელ სახელმწიფოებთან, რომლებიც ეხმარებოდნენ ფინეთს (კარელიის ავანტიურის დროს). გაზეთი „ილკა“ სწერს: „გვაქვს რა ესტონეთის მაგალითი, ჩვენ არ შეგვიძლია დამშვიდებული ვიყოთ და ველოდოთ ჩვენს რიგს. საკითხი სკანდინავიის ქვეყნებთან გაერთიანების შესახებ უნდა მოიხსნას“.

ჩვენც ბევრი გვაქვს

პარიზი. 23 დეკ. დეპუტატთა პალატაში მინისტრმა კნილმა ოფიციალურათ უარყო ზოგიერთი გაზეთების ცნობა იმის შესახებ, თითქოს საფრანგეთიდან საბჭოთა კავშირში იგზავნება პური.

ურთიერთობა ევროპასთან

ინსტრუქციები მიეცა.

პარიზი. 23 დეკემბერი. ერრიომ მიიღო ერბეტი, რომელიც დანიშნულია საფრანგეთის ელჩათ მოსკოვში.

კოპენჰაგენი. 23 დეკემბერი. სამშაბათს საბჭოთა კავშირის ახალმა სრულუფლებიანმა წარმომადგენელმა დანიაში კობეცკიმ დანიის მეფეს ჩააბარა რწმუნების სიგელები. სიგელების ჩაბარების დროს მოწყობილი იყო ჩვეულებრივი ცერემონიები.

მღელვარება ინდოეთში

ლონდონი. 23 დეკ. გაზეთების ცნობებით, ინდოეთში დაიწყო მღელვარება მაკების და შახის წარმოებებში გულბურში და ჰაიდერაბადში. მღელვარება დაიწყო იმის გამო, რომ დაითხოვეს მუშათა მოძრაობის ხელმძღვანელები — როგორც მაჰმადიანები, ისე ინდუსები. [illegible] მუშები დაბრუნდნენ სამუშაოებზე იარაღით ხელში და მოუწოდებდნენ მუშებს აჯანყებისაკენ. მღელვარების დროს ძალიან დიდი ზიანი მიადგა ქარხანას ჰაიდერაბადში. მაგრამ მუშები დაიმალნენ, როდესაც გავრცელდა ხმები ჯარების მოახლოვების შესახებ. [illegible]

მაკების და შახის წარმოებები მთავარი წარმოებებია ჰაიდერაბადში. იქ მუშაობს ბევრი ათასი მუშა.

[illegible]

[illegible] 23 დეკ. სიკვდილით დასჯის განაჩენმა, რომელიც გამოიტანა [illegible] სამხედრო-საველე სასამართლომ ოთხ მუშას კომუნისტური მოწოდების გავრცელებისათვის, აღშფოთება გამოიწვია ქალაქში. [illegible] რესპუბლიკის პრეზიდენტს გაუგზავნა დელეგაცია, რომელმაც უნდა მოითხოვოს საქმის გადასინჯვა. ბრალდებულებისათვის არ წაუყენებიათ არც ერთი [illegible] ბრალდება. ერთი ბრალდებული, 18 წლის ყმაწვილი ივანოვსკი—სოციალ-დემოკრატია; დანარჩენი უპარტიო მუშებია.

სხვადასხვა საზოგადოებრივი ჯგუფების მოთხოვნის გამო, სიკვდილით დასჯის განაჩენი არ არის დამტკიცებული ის შეცვალეს სამუდამო კატორღით. მოსალოდნელია საქმის გადასინჯვა.

საბჭოთა საზოგადოებრიობა

(„რემედასს“-ს კვირეულისათვის)

არასოდეს არ ყოფილა მუშების და გლეხების ფართო მასებში ასეთი ძლიერი ლტოლვა საზოგადოებრივ ორგანიზაციისაკენ, როგორსაც ადგილი აქვს ეხლანდელ პერიოდში. პირდაპირ განცვიფრებაში მოდიხარ როცა ხედავ თუ როგორი თავბრუდამხვევი, პირდაპირ ზღაპრული სისწრაფით იქმნებიან, იზრდებიან, ვრცელდებიან და ვითარდებიან სხვადასხვაგვარი საზოგადოებრივი ორგანიზაციები. დიდი ხანი არ არის რაც დაარსდა „რემედასს“-ი, მაგრამ ჩვენ უკვე ვხედავთ, რომ მას საბჭოთა რესპუბლიკებში უკვე ჰყავს 4,000,000 წევრზე მეტი და მუშათა კლასის მსოფლიო სოლიდარობის იდეა „რემედასს“-ის საშუალებით იჭრება საბჭოთა კავშირის ყველა კუთხეში და გზას იკაფავს სოფელში.

„რემედასს“-ის საშუალებით უკეთესად, ვიდრე რომელიმე სხვა ორგანიზაციის საშუალებით, ფართო უპარტიო მასები ეცნობიან იმას, თუ რა ხდება ბურჟუაზიულ ქვეყნებში, როგორი ტემპი და ხასიათი მიიღო უკანასკნელ დროს მუშათა კლასის ბრძოლამ თავისი განთავისუფლებისათვის, ეცნობიან იმას, თუ როგორი ცოფმორეული სიძულვილით სთელავენ ბურჟუაზია და მეორე ინტერნაციონალი ყველა თავიანთ კანონებს, რომლებითაც ასე უყვარდათ და ეხლაც უყვართ თავის მოწონება ყოველი ჯურის პოლიტიკურ იდეებს. იმ მუშების მიმართ, რომლებიც გაბედავენ პროტესტის გამოთქმას კაპიტალის უღლის წინააღმდეგ, მიმართავენ უკიდურეს რეპრესიებს, უსასტიკეს სასჯელს თვით სიკვდილით დასჯამდეც კი.

ძველი თვითმპყრობელური რეჟიმის წლებში ჩვენ გვენატრებოდა ის თავისუფლება, რომლითაც სარგებლობდა დასავლეთის მუშათა კლასი და ჩვენს პროგრამა-მინიმუმში შეგვქონდა მუხლებად კრების, პრესის და სხვ. თავისუფლების მოთხოვნა. როგორ შორს ვართ ეხლა იმ დროიდან და როგორ სულ უმნიშვნელოდ, გულუბრყვილობად გვეჩვენება ეს მოთხოვნილებები ეხლა, როცა დღის წესრიგშია პროლეტარიატის დიქტატურა, როცა ნიღაბები ჩამოხსნილია, როცა სწარმოებს ბრძოლა აშკარად, კლასი სდგას კლასის წინააღმდეგ და ყველა მანილოვისებური ოცნება კონსტიტუციონურ უფლებებზე და გარანტიებზე ამშვიდებს მხოლოდ იმათ, ვინც საზოგადოთ გაურბის ბრძოლას. ბურჟუაზია, შეიარაღებული თავით ფეხამდე არც ერთ ნაბიჯს არ დასთმობს უბრძოლველად. არქივს ბარდება ყველა დაწერილი კანონები, დღის წესრიგში ისმება რეალურ ძალთა შეფარდების კანონი, ახლა არავის არაფრად არგია სენტიმენტალობა.

მუშათა კლასს სულს უხუთავენ ნახევრად მონარქიულ ინგლისშიაც, რესპუბლიკანურ საფრანგეთშიაც, დემოკრატიულ გერმანიაშიაც და თავისუფალ ამერიკაშიც.

ათეულ ათასობით მუშები იტანჯებიან ციხეებში, ლპებიან კატორღებში, განიცდიან წამებას და ტანჯვას. შეუძლებელია იმ პირობების აღწერა, რომლებშიაც იმყოფებიან კოლონიალურ ქვეყნებში ეროვნული ჩაგვრისა და კაპიტალის უღლის მოსპობისათვის მებრძოლები. ისე აშკარად აღდგება, ასეთი სასტიკი შურისძიება შეიძლება არ ახსოვდეს საშუალო საუკუნეს, თავისი წამების, ინკვიზიციების და ადამიანების ცეცხლში დაწვის დროსაც. და მთელი ეს საშინელება ხდება მთელი კაცობრიობის თვალწინ და ბრძოლის ამ მხარის გაშუქება, მსხვერპლთა რაოდენობის აღრიცხვა, ბრძოლის პირობების ყოველმხრივ აწონ-დაწონვა, ძალადობის წინააღმდეგ ხმის ამოღება, დემონსტრაციების მოწყობა, პროტესტების გამოთქმა, კაპიტალის ტყვეებისათვის დახმარების გაწევა მათ გმირულ ბრძოლაში,—აი „რემედასს“-ის ამოცანები. ის თანხები, რომელთაც აგროვებს „რემედასს“-ი (ერთი წლის განმავლობაში შეგროვებულია 1,500.000 მანეთამდე) სავსებით ხმარდება კაპიტალის ციხეებში გამომწყვდეულთ და მათ ოჯახებს, ქალაქების მთელმა რიგმა შეფობა მიიღო ცალკე ციხეებზე.

„რემედასს“-ის მუშაობის მნიშვნელობა დიდია.

მთავარი ამოცანაა ხელი გაუწოდოთ ბურჟუაზიულ ციხეებში ჩაყრილ რევოლიუციონერებს და დავეხმაროთ მათ და მთელს მებრძოლ პროლეტარიატს მორალურად და ნივთიერად. ჩვენ უნდა გამოვამჟღავნოთ ის სისასტიკე და სიმხეცე, რომელსაც იჩენს ბურჟუაზია მებრძოლ რევოლიუციონერების წინააღმდეგ, პროტესტი უნდა განვაცხადოთ იმ მხეცურ შურისძიების წინააღმდეგ, რომელსაც მიმართავენ მუშათა კლასის მიმართ, უნდა შევაერთოთ ამ პროტესტში მუშათა ფართო მასები.

მ. ესხენი.

პოლონეთის ჯალათების წინააღმდეგ

კომინტერნის აღმასკომის მოწოდება

მოსკოვი. 24 დეკ. კომინტერნის აღმასკომმა მიმართა ყველა ქვეყნის პროლეტარიატს მოწოდებით, რომელშიაც ნათქვამია:

„პოლონეთის [illegible] პოლონეთის სოციალისტურ პარტიის ბანდიტებმა [illegible] კომპარტიის წინააღმდეგ, რომელიც გმირულათ იბრძვის მუშათა კლასის, მშრომელი გლეხობის და პოლონეთის ჩაგრულ ხალხთა განთავისუფლებისათვის. კომუნისტი დეპუტატი ლანცუცკი და უკრაინელი დეპუტატები გახდენ ამ გალაშქრების პირველი მსხვერპლი. სიმშილი, სილატაკე და უსასტიკესი ექსპლოატაცია ამოძრავებს პოლონეთის პროლეტარიატს და აბამს მას ბრძოლაში გაბატონებულ კლასების წინააღმდეგ.

არალეგალურ მდგომარეობაში მყოფი, სასტიკად დევნილი პოლონეთის კომპარტია რაზმავს მასებს საბრძოლველად და ხელმძღვანელობს ამ ბრძოლას. მისი გავლენა დღითი-დღე იზრდება. მამაცურად და გაბედულად იბრძოდა პოლონეთის კომუნისტური პარტიის საპარლამენტო ფრაქცია, მუშათა, გლეხთა და ჩაგრულ ერთა განთავისუფლებისათვის. ეხლა კი პოლონეთის ბურჟუაზია და მემამულეები, რომელთაც სწყურიათ მუშების სისხლი, სცდილობენ აღგავონ კომუნისტურ პარტიის საპარლამენტო ფრაქცია. ბურჟუაზია და პოლონეთის სოციალისტური პარტია სცდილობენ თავიდან აიცილონ პროლეტარიატის და გლეხობის რევოლიუციონურ წარმომადგენლების თავდასხმა და თავიანთი სიცრუის, სიყალბის და მშრომელ მასების ინტერესების გამცემლობის გამომჟღავნება.

პოლონეთის სეიმმა დაადგინა გადასცეს ლანცუცკი პოლონეთის კონტრ-დაზვერვას, იმ სიტყვისათვის, რომელიც მან წარმოსთქვა რკინის გზელთა [illegible] სდებენ [illegible] ამ დანაშაულისათვის, „დემოკრატიული“ [illegible] მიხედვით, მას მოელის სიკვდილით დასჯა. დააპატიმრეს რა ლანცუცკი და სამი უკრაინელი დელეგატი, პოლონეთის ბურჟუაზია და მის დამქაშებს განზრახული აქვთ პროვოკაციის ანკესზე წამოაგონ პროლეტარიატი. პოლონეთის ბრძანებლები სცდილობენ გამართონ ბართლომეს ღამე ესტონეთის მაგალითის მიხედვით, სცდილობენ სისხლის მორევში ჩაახრჩონ პოლონეთის რევოლიუციონერები. ეს არ უნდა მოხდეს.

ყველა ქვეყნის რევოლიუციონერო-პროლეტარებო გახსოვდეთ, რომ პოლონეთის რეაქციონური ხროვა—ეს არის მსოფლიო კონტრ-რევოლიუციის ავანპოსტი.

განაცხადეთ პროტესტი პოლონეთის ბურჟუაზიის და სოციალ-გამცემლების სამარცხვინო მოქმედების წინააღმდეგ.

პროტესტი განაცხადეთ მუშა-დეპუტატების დაპატიმრების და მუშათა განადგურების წინააღმდეგ.

პროტესტი განაცხადეთ პოლონეთში ეროვნებათა უსირცხვილო და დაუზოგავ ჩაგვრის წინააღმდეგ.

მოითხოვეთ პოლონეთის შეუპოვარ რევოლიუციონერების განთავისუფლება.

მოითხოვეთ ამხ. ლანცუცკის განთავისუფლება.

ძირს თეთრი ტერორი! გაუმარჯოს პოლონეთის კომუნისტურ მუშათა პარტიას!

აჯანყება ალბანეთში

ბორდო. 24 დეკ. სამხრეთ-სლავიის მთავრობამ ბრძანება გასცა იმ პირების კონცენტრაციულ ბანაკში მოთავსების შესახებ, რომლებმაც გადალახეს ალბანეთ-სამხრეთ-სლავიის საზღვარი.

ბელგრადის გაზეთების ცნობებით, აჯანყებულებმა დაიკავეს ტირანა. ტირანასა და დურაცოს შორის შეწყვეტილია ყოველგვარი მიმოსვლა.

ბელგრადიდან იტყობინებიან, რომ აჯანყებულებმა დაიკავეს სკუტარი და ალესიო. ელბასანის რაიონში სისხლისმღვრელი ბრძოლაა.

ვინ მოაწყო აჯანყება ალბანეთში.

ვენა. 22 დეკემბერი. უკანასკნელად მიღებული ცნობები ნათელ სურათს იძლევიან ალბანეთში მომხდარი ამბებისას.

მეამბოხეთა მოძრაობა წინასწარ იყო მომზადებული სამხრეთ-სლავიის ტერიტორიაზე. პირველათ მეამბოხეები იმარჯვებდნენ, მაგრამ მათი წინსვლა ჩქარა შეაჩერეს. ტყვეთ წაყვანილ მეამბოხეთა შორის აღმოჩნდნენ სამხრეთ-სლავიის რეგულიარული არმიის ჯარისკაცები.

ალბანიის მინისტრ-პრეზიდენტი ერთა ლიგის სახელზე გაგზავნილ დეპეშაში აცხადებს, რომ სამხრეთ-სლავია მონაწილეობას იღებდა აჯანყების მოწყობაში.

სამხრეთ-სლავიის მთავრობა უარყოფს თითქო ის ხელს უწყობდა აჯანყებულებს.

საზოგადოებრივ წრეებში ამტკიცებენ თითქო სამხრეთ-სლავია მოქმედებდა იტალიასთან შეთანხმებით.

იტალია და სამხრეთ-სლავია ოფიციალურად აცხადებენ, რომ ისინი ნეიტრალიტეტს იცავენ ალბანეთის საქმეებში.

საბჭოთა ქართული კოლონია ბერლინში

ბერლინი. 24 დეკემბერი. ბერლინში დაარსდა საბჭოთა ქართული კოლონია. მოსმენილი იქნა ვეშაპელის მოხსენება. არჩეულია გამგეობა შემდეგი შემადგენლობით: შავიძე, მეტრეველი, წულეისკირი.

„ახალი საქართველოს" რედაქცია.

წითელ რესპუბლიკებში

რუსეთი

არაჩვეულებრივი თბილი ამინდი.

კრასნოიარსკი. 23 დეკემ. სდგას არაჩვეულებრივი თბილი ამინდი. ტემპერატურა აღწევს 1 გრადუსს ნოლს ზევით. ყინულით ენისეიზე გადასვლა შეწყდა.

რევოლიუციის ვეტერანის გარდაცვალება.

ვორონეჟი. 23 დეკემ. გარდაიცვალა რევოლიუციის ვეტერანი, ძველი „ნაროდნოვოლეცი" კულიაბკო-კორეცკი.

საბჭოთა მუშაკების საკავშირო ყრილობა.

მოსკოვი. 24 დეკ. საბჭოთა მუშაკების საკავშირო ყრილობის 23 დეკემბრის დილის სხდომაზე შინა-ვაჭრობის სახ. კომისარის მოადგილემ ამხ. ლობაჩევმა გააკეთა მოხსენება შინა-ვაჭრობის სახკომისარიატის შესახებ.

თავის მოხსენებაში მან აღნიშნა შინა-ვაჭრობის სახ. კომისარიატის მომწესრიგებელი როლი პურის ბაზარზე. განზრახულ 170 მილ. ფუთ პურიდან უკვე დამზადებულია 59 პროც. შინა-ვაჭრობის სახ. კომისარიატმა მიაღწია იმას, რომ პურის ფასები თითქმის ერთს დონეზე დგას. პურის ფასების შემდეგ მოწესრიგებისათვის საჭიროა შეიქმნას ფურის ფონდი 100 მილ. ფუთი პურით, რათა უზრუნველყოფილ იქნას მახვილ სამრეწველო რაიონების მშრომელი მოსახლეობა.

ლენინგრადის მრეწველობა.

ლენინგრადი. 23 დეკ. ლენინგრადის მრეწველობის წარმოებათა დაკვირთვა უკანასკნელი თვეების განმავლობაში გაიზარდა და უდრის ომამდე არსებულის 65 პროცენტს, მიმდინარე წლის ზაფხულის დასაწყისში კი უდრიდა 36 პროცენტს.

მასწავლებელთა საერთო საკავშირო ყრილობა.

მოსკოვი. 23 დეკ. მასწავლებელთა საერთო საკავშირო ყრილობა დანიშნულია მოსკოვში 12 იანვრისთვის.

ბეჭდვითი სიტყვის მუშაკთა საერთაშორისო კავშირი.

მოსკოვი. 23 დეკ. ბეჭდვითი სიტყვის მუშაკთა სექციის ცენტრალურ ბიუროსთან დაარსდა დროებითი საორგანიზაციო ბიურო ინგულოვისა, კურსისა და ლეონიდოვის შემადგენლობით. ბიუროს მიზანია მოაწყოს დამოკიდებულება საერთაშორისო მასშტაბით ყველა უცხო ქვეყნების ბეჭდვითი სიტყვის მუშაკებთან და აგრეთვე დააარსოს პროპაგანდის საერთაშორისო კომიტეტი.

ფაქტებს ვერ გაექცევი

„პრავდას" წერილი

მოსკოვი. 23 დეკემბ. „პრავდა" მოწინავეში „ფაქტებს ვერ გაექცევი" სწერს:

„ინგლისის დელეგაციის განცხადება, რომელსაც აქვს წინასწარი მოხსენების ხასიათი, გამოხატავს დელეგაციის აზრს იმის შესახებ, რომ საბჭოთა კავშირი სწრაფ ეკონომიურ აღორძინების პროცესშია, რომ მისი ფინანსები უფრო მტკიცეა, ვიდრე დელეგაცია მოელოდა, მრეწველობა ვითარდება სწრაფად და რომ მუშათა მდგომარეობა უმჯობესდება, რომ მუშათა კლასი იჩენს დიდ შერაზმულობას, რამაც დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ინგლისის დელეგაციაზე.

ეს განცხადება სავსებით შეეფერება იმას, რასაც ინგლისელი პროფესიონალისტები ეუბნებოდენ რუსეთის მუშებს თავიანთ შთაბეჭდილებების შესახებ, მაგრამ მათ განცხადებას, რომელიც გამოქვეყნებული იყო რუ[illegible] მტრები ხსნი[illegible] ინგლისური ანდაზა. ეს [illegible] დელეგაციამ და ის მხოლოდ აღნიშნავს სიმართლეს, როდესაც აუწყებს ინგლისის საზოგადოებრიობას ჩვენი წრიდის შესახებ. ამ სიმართლეს აქვს ერთნაირად დიდი მნიშვნელობა, როგორც საერთაშორისო პროლეტარიატისათვის, ისე კაპიტალიზმისათვის. საერთაშორისო პროლეტარიატისათვის—ვინაიდან მას ეუბნებოდენ და ეუბნებიან მენშევიკები: ხელს ნუ მოჰკიდებ ძალა-უფლებას, თორემ დაიღუპები. არ არის მართალი—უპასუხებენ ინგლისელი ტრედიუნიონისტები. საბჭოთა რესპუბლიკების კავშირი ჩქარა იზრდება საბჭოთა ხელისუფლებას ხელმძღვანელობით და მიდის წინ. ეს ცნობა გავლენას მოახდენს მრავალ-მილიონ მუშებზე, შემატებს მათ ძალას ხელისუფლებისათვის ბრძოლაში და გაამტკიცებს მათ სიმპატიებს რუსეთის რევოლიუციისადმი.

მაგრამ კაპიტალისტებისათვის იმ ხალხის მოწმობას, რომელთაც ისინი იცნობენ, როგორც ფხიზელ მეთვალყურეებს, რომელთათვისაც უცხოა რევოლიუციონური რომანტიზმი, უდიდესი მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს ინგლისის დელეგაციის მოხსენებას, დელეგაციის [illegible] გაფრთხილება უნდა იყოს მათთვის. მოხსენება აუწყებს მათ საბჭოთა კავ[illegible] და ეკონომიურ სიძ[illegible]ნავს, რომ უცხოელი კაპიტალისტები ვერავითარი ზეგავლენით ვერ მიაღწევენ ოქტომბრის მონაპოვართა წართმევას.

ვიქონიოთ იმედი, რომ ინგლისის პროფესიონალისტების ხმა არ დარჩება ხმად მღაღადებლისა უდაბნოსა შინა და რომ მას გაიგონებენ ისინი, ვისადმიც იგია მიმართული".

ჩვენი კოოპერაციის ამოცანები

მოსკოვი. 23 დეკემ. „როსტა"-ს წარმომადგენელთან საუბრის დროს „ცენტროსოიუზის" თავმჯდომარემ ამხ. ხინჩუკმა განაცხადა:

„კოოპერაციის მიერ თავისი ოპერაციების შემდეგი განვითარებისათვის საჭიროა კერძო სავაჭრო კაპიტალის გამოყენება. აქ კი საჭიროა დიდი სიფრთხილის გამოჩენა: არ უნდა დავივიწყოთ, რომ კერძო ვაჭარი მოწადინებულია მხოლოდ გამოიყენოს სავაჭრო შუამავლის როლში, იმუშაოს თავისი საკუთარი საშუალებების დაუხარჯავად, იმავე სახელმწიფო კაპიტალის ხარჯზე. ამიტომ კერძო ვაჭრებთან ხელშეკრულებების დადების დროს სამეურნეო ორგანოები ნუ მოითხოვენ იმათგან მაქსიმალური პროცენტის გადახდას ნაღდათ, რომელიც უნდა აღემატებოდეს კოოპერაციისათვის დაწესებულ ნორმას და მათ უნდა აძლევდენ კრედიტს მინიმალური ვადით.

კერძო ვაჭრის ჩაბმა უნდა ხდებოდეს მრეწველობის იმ დარგებში, სადაც ადგილი აქვს გასაღების შეფერხებას.

ძირშივე უნდა აღმოიფხვრას იმ ზოგიერთ სამეურნეო ორგანოების საზიანო პოლიტიკა, რომლებიც სცდილობენ კოოპერატიულ კავშირების სავსებით ჩამოცილებას საქონლის მიწოდების საქმისაგან. კავშირები უნდა გამოდიოდენ, როგორც ბითუმად მოვაჭრეები, რომლებიც აწოდებენ პირველი საფეხურის ქსელს მისთვის საჭირო საქონელს.

რაც შეეხება საწვრიმალო ვაჭრობას, კავშირებმა თანდათან უნდა შეამცირონ ეს მუშაობა და ის გადაიტანონ პირველი საფეხურის კოოპერატივებში.

კოოპერაციის უმთავრეს ამოცანებს წინანდებურად შეადგენენ მოსახლეობის ჩაბმა კოოპერაციაში, მისი საშუალებების გამოყენება რაც შეიძლება უფრო ნორმალური შეფარდების დასამყარებლად საკუთარი და სხვისი საბრუნავ საშუალებებს შორის და აგრეთვე ბაზრიდან კერძო ვაჭრის გასადევნად."

ამიერ-კავკასიის ფედერაციაში

საქართველო

აფხაზეთი

მადაროების ექსპლოატაცია

სოხუმი. 23 დეკემბ. მიწათმოქმედების სახ. კომისარიატში შემოვიდა წინადადება ახისტო-ახარის ტყვია-ვერცხლის მადაროების საექსპლოატაციოთ იჯარით გაცემის შესახებ.

ცხენების აღწერა.

სოხუმი. 23 დეკემბერი. აფხაზეთში დაიწყო ცხენების აღწერა.

ინვალიდების დახმარება.

სოხუმი. 23 დეკემბერი. სახ. კომისართა საბჭომ გამოიტანა დადგენილება ინვალიდებისათვის ყოველთვიურ დახმარების მიცემის შესახებ.

ახალ-სენაკში

სასოფლო-სამეურნეო გადასახადი.

ახალ-სენაკი. 22 დეკემბერი. სასოფლო-სამეურნეო გადასახადის აკრეფა დაიწყო 23 ნოემბრიდან და გრძელდება დღემდის. 19 დეკემბრამდე სულ შეკრებილია 36.119 მ. 75 კაპ. ანუ მთელი გადასახადის 21,9 პრ. გადასახადის აკრეფა ცოტაოდნად ფერხდება გლეხობაში ფულის ნიშნების ნაკლებობის გამო.

წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციისათვის.

ახალ-სენაკი. 22 დეკემბერი. 1—19 დეკემბრამდე მაზრაში წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციის მიზნით გაიხსნა 106 სკოლა, თვითეულ თემში 3—5 სკოლამდე. შერჩეულია მასწავლებელთა შტატი. მეცადინეობა უკვე დაიწყო. წერა-კითხვის უცოდინარნი დიდის ხალისით ეწერებიან სკოლებში.

აზერბეიჯანი

ამხ. სერებროვსკის ანგარიში.

ბაქო. 23 დეკემბერი. ლონდონში გამოდის ერთდროულად ორ ენაზე ამხ. სერებროვსკის ანგარიში ამერიკაში მისი მოგზაურობის შესახებ, ანგარიშს ეწოდება „ამერიკის ნავთის და გაზის მრეწველობა".

საზოგადოებრივი სამუშაოები.

ბაქო. 23 დეკემბერი. საზოგადოებრივი სამუშაოები, რომელთაც აწყობს ბაქოს საბჭო, დაჯდება 190,000. მანეთი ამ სამუშაოებში ყოველდღიურად ჩაბმულია 2000-მდე კაცი. მუშაობა უნდა გაგრძელდეს 3 თვე.

თბილისის საბჭოს პლენუმი

23 დეკემბერს შესდგა თბილისის აღმასკომის პლენუმი. ადგილობრივი საბიუჯეტო კომისიის სახელით მოხსენება გააკეთა ამხ. მესხმა, რომელმაც პლენუმს გააცნო უდეფიციტო ბიუჯეტის შესადგენად კომისიის მიერ მიღებულ ღონისძიებანი.

მოხსენება გააკეთა აგრეთვე ამხ. მ. გავაშელმა ბიუჯეტის შემადგენელ ნაწილებზე—საშემოსავლო და საგასავლო მუხლებზე.

ბიუჯეტის შემუშავება

(მომხსენებელი ამხ. მესხი)

პირველ ხანებში ბიუჯეტის შედგენის დროს აღებული იყო ხაზი-არ გავქცეოდით დეფიციტს, მაგრამ როცა ადგილობრივ თანხებს კისრად დააწვა მთელ რიგ გადაუდებელ საჭიროებათა დაკმაყოფილება, აუცილებელი გახდა პოლიტიკის შეცვლა. ბიუჯეტის კომისიამ გაიარა რამოდენიმე კომისიის ხელში, მათ შორის რესპუბლიკის საბიუჯეტო კომისიაში, მაგრამ ყველგან უარი სთქვეს ბიუჯეტის საბოლოო ბალანსის გამოყვანაზე და დააბრუნეს ისევ პრეზიდიუმში. ამის შემდეგ მოეწყო შინაური საბიუჯეტო კომისია, რომელმაც ამ საკითხის განხილვის შემდეგ საჭიროდ დაინახა დაეწესებია ბიუჯეტის ყოველ მუხლზე საზღვრითი საკონტროლო ციფრი, რომლის გადალახვა უკვე დაუშვებლად იქნა ცნობილი. ამის შესასრულებლად აუცილებლად შეიქნა შეკვეცა როგორც არსებულ დაწესებულებათა, ისე პირად შემადგენლობათა შემცირების გზით.

მაგ. მილიციისათვის დაწესებულ იქნა საკონტროლო ციფრი—569.232 მან. 75 კაპ. და რომ ეს თანხა საკმარისი გამხდარიყო, შემცირებულ იქნა თანამდებობათა რიცხვი აგრეთვე თბილისში გაერთიანებულ იქნა ორი სამილიციო რაიონი სახელდობრ—მე-6 შეუერთდა მე-7-ს, ხოლო მე-13—პირველს. ამას შედეგად მოჰყვა 82 კაცის შემცირება.

ჯანმრთელობის განყოფილებისათვის დაწესებულ იქნა საკონტროლო ციფრი—1.763.256 მანეთი ხარჯების შემცირების მიზნით გადასწყვეტილ იქნა გაერთიანებულიყო დედობისა და ბავშობის დაცვის პირველ და მეორე სახლები, მოხსნილიყო ხარჯთ-აღრიცხვიდან საავადმყოფოს შეკეთება, შემცირებულიყო 50 პროცენტით სამედიცინო დახმარება, შემცირებულიყო ავადმყოფთა კვების რაციონი დახურულიყო რამოდენიმე ამბულატორია. სახალხო განათლებისათვის საზღვრითი ციფრი უდრის—2187.524 მანეთს. გადაწყვეტილ იქნა დაიხუროს ზოგიერთი კულტურული დაწესებულებები, მაგ. 17 ქოხსამკითხველო და ა. შ.

შემცირებულია აგრეთვე საგზაო მშენებლობის ხარჯები—11.121 მანეთით და აგრონომიულ დახმარების 12 ათასი მანეთით.

თბილისის საბჭოს ბიუჯეტი

(ამხ. გვაშელ-ს მოხსენება)

წინანდელთან შედარებით, მიმდინარე სამეურნეო წლის ბიუჯეტის შემადგენლობა შეცვლილია. ბიუჯეტი აგებულია მაზრის სამეურნეო და ადმინისტრატიული დაყოფის მიხედვით და შესდგება 3 ბიუჯეტისაგან. სამაზრო ბიუჯეტი შეიცავს ადმინისტრატიული მუშაობის და საერთო სამაზრო მუშაობის (როგორც ქალაქში, ისე მაზრაში) მომწესრიგებელი ორგანოების ხარჯებს.

ქალაქის ბიუჯეტი შეეხება კომუნალურ წარმოებებს და წმინდა ქალაქური ხასიათის დაწესებულებებს. მესამე—თემის ბიუჯეტი შეიცავს წმინდა ადგილობრივი ხასიათის სამეურნეო-საადმინისტრაციო დაწესებულებებს.

საერთო სამაზრო ბიუჯეტის როგორც საშემოსავლო, ისე საგასავლო ნაწილის ბალანსის ჯამი უდრის—12,296.814 მანეთს 42 კაპ.

ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილი

სამაზრო ბიუჯეტის მიხედვით მოსალოდნელია სულ 571.493 მ. 91 კ. შემოსავალი.

ყველაზე მეტად საფუძვლიანია ქალაქის ბიუჯეტი, რომლის საშემოსავლო ნაწილი უდრის—11521923 მანეთს და 46 კაპ.

სარაიონო ბიუჯეტებით მოსალოდნელია 203.397 მან. 05 კაპ.

ბიუჯეტის საგასავლო ნაწილი.

საგასავლო ნაწილში ყველაზე მეტი გასავალი მოდის ქალაქის საჭიროებაზე, რაც 10,605,852 მანეთს შეადგენს. რჩება კიდევ 916,071 მან. 42 კაპ. ამ თანხიდან სარაიონო ბიუჯეტის საგასავლო ნაწილზე მოდის—203.397 მ. 05 კ. დეფიციტი არის შედგენილი სამაზრო ბიუჯეტი, რომლის საგასავლო ნაწილი უდრის—1,487,565 მან. 33 კაპ. სულ ბიუჯეტის საგასავლო ნაწილი უდრის—12,296,814 მან.

რეზოლიუცია

კამათის შემდეგ პლენუმმა დაადგინა:

1) დაამტკიცოს ბიუჯეტის პროექტი უცვლელად და სავსებით

2) დაავალოს პრეზიდიუმს [illegible] დადგენილება მთელ რიგ დაწესებულებათა დახურვისა, რომელიც გამოწვეულია გასავლის შემცირების [illegible]ბლობით.

ამხ. გოგელიას დასაფლავების შესახებ

[illegible] ამხ. გოგელიის დასაფლავებაში მონაწილეობა. დასაფლავებაზე გაგზავ[illegible] განსვენებულის კუბოს გვირგვინით.

ეკონომიური ცხოვრება

საქართველოს სახელმწიფო საგეგმო კომისიაში

საქართველოს მეაბრეშუმეთა კავშირი

საქართველოს საგეგმო კომისიის პრეზიდიუმმა დაამტკიცა სამრეწველო და სასოფლო სამეურნეო სექციათა მიერ წარმოდგენილი დასკვნა და სრულიად საქართველოს მეაბრეშუმეთა კავშირის „აბრეშუმის" ძირითადი დებულების პროექტი და წარუდგინა საქართველოს ეკონომიურ საბჭოს.

ს. მ. უ. ს. სატყეო ტრესტის საექსპლოატაციო პროგრამა

საგეგმო კომისიის პრეზიდიუმმა დაამტკიცა ს. მ. უ. ს. სატყეო ტრესტის მიერ წარმოდგენილ ერთ წლიანი საექსპლოატაციო პროგრამა და ხარჯთ-აღრიცხვა და გადაეგზავნა დასამტკიცებლად საქართველოს ეკონომიურ საბჭოში.

ჩაის მეურნეობისათვის

ჩაის რეალიზაციის უზრუნველყოფისათვის და წვანე ფურცლის საფაბრიკო გადამუშავებისათვის პრეზიდიუმმა საჭიროდ სცნო ცალკე სამრეწველო კომერციული აპარატის შექმნა სააქციო საზოგადოების სახით; ჩაის ბუჩქის გავრცელებისა და ჩაის გადამუშავების გაუმჯობესება და აგროკულტურული ღონისძიებათა ჩატარება უნდა დარჩეს მიწათმოქმედების სახ. კომისარიატის და ადგილობრივ აღმასკომების აგრონომიულ ქვეგანყოფილებათა კომპეტენციაში; მიწათმოქმედების კომისარიატის განკარგულებაში უნდა იქნეს გადაცემული გარდა სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებულ თანხათა, აგრეთვე სპეციალური თანხები, რაც შეხვდება ჩაის წარმოებისაგან მიღებულ მოგებიდან განსაზღვრული პროცენტების გადარიცხვით. ეს დადგენილება გადაეგზავნოს საქართველოს ეკონომიურ საბჭოს.

კოოპერაცია

ოზურგეთის მთლიანი კოოპერატივის მუშაობა

12 დეკემბერს შესდგა ოზურგეთის ქალაქის უჯრედის კომპარტიის და ახალგაზრდათა კომკავშირის გაერთიანებული კრება. კრებას დაესწრენ ბევრი უპარტიო მოქალაქეებიც.

მოხსენება გააკეთა ოზურგეთის რაიონის მთლიანი კოოპერატივის მუშაობის შესახებ ამხ. ვარლამ ერქომაიშვილმა.

ამ მოხსენებიდან ირკვევა, რომ კოოპერატივი ახალ გამგეობას მენშევიკებისაგან ჩაუბარებია სრულიად გაძარცული და ვალებით დავირთული. კოოპერატივს არავითარი ქონება არ გააჩნდა, გარდა ცარიელი თაროებისა.

გარდა ამისა თანამშრომლებს მიუღებელი ჰქონდათ ოთხი თვის ჯამაგირები. ახალი გამგეობა შეუდგა საქმის მოგვარებას და თავისი ენერგიული მუშაობით შესძლო კოოპერატივის ფეხზე დაყენება. მან გახსნა 23 განყოფილება თვის სამოქმედო რაიონში. ქალაქ ოზურგეთში აქვს სხვადასხვა საგნებით სავაჭრო ორი დუქანი, ორი ფურნე და ორი ხორცით სავაჭრო.

იქ, სადაც ბაზრობა იმართება, აქვს ერთი სავაჭრო დარაბა, სადაც იყიდება პირველი მოთხოვნილების საგნები. აქვს სასადილო.

ოზურგეთიდან ერთი ვერსის მანძილზედ აქვს ტყავის ქარხანა, სადაც მზადდება დიდძალი საპირე და საძირე ტყავეულობა.

ადგილობრივად დამზადებული ტყავები მუშავდება საკუთარ სახარაზოებში. დამზადებული წუღები ნაწილდება კოოპერატივის განყოფილებაში.

ოზურგეთის მთლიან კოოპერატივს აქვს განყოფილებები სოფლად და თემებში (9).

აგრეთვე თემებში აქვს ორი ფურნე.

ოზურგეთის მთლიან კოოპერატივს ჰყავდა ფუტკარი გორაბერეჟოულში, რომელიც გადაეცა იქვე ბერიაულის ახლად გახსნილ ტექნიკუმს. კოოპერატივს აქვს კარგი მოწყობილი ტრანსპორტი და სხვა.

კულტურულ-განმანათლებელ დარგში ოზურგეთის მთლიანი კოოპერატივის გამგეობის მიერ გადადგმულია შემდეგი ნაბიჯი: ოზურგეთის რაიონის 18-მეტ ქოხსამკითხველოს გამოწერილი აქვს გამგეობის მიერ გაზეთები „კომუნისტი", „მუშა", და „მიწის მუშა". გარდა ამისა ოზურგეთის მთლიანი კოოპერატივის გამგეობა დახმარებას უწევს სხვადასხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციებს.

მოხსენების შემდეგ გაიმართა კამათი, კამათში მონაწილეობა მიიღეს შემდეგმა ამხანაგებმა: გ. კვაჭაძემ, ქ. გურგენაძემ, ი. მიმთაიშვილმა და ქ. ღლენტმა.

კამათის შემდეგ კრების მიერ გამოტანილ იქნა რეზოლიუცია.

მოისმინა რა მოხსენება კოოპერაციის გარშემო ამხ. ვ. ერქომაიშვილისა, კომპარტიის კომკავშირის წევრების და უპარტიო მოქალაქეების კრება გამგეობის მუშაობას სცნობს დამაკმაყოფილებლად.

ი. აბაშმაძე.

ამხ. კომანდო გოგელია (ორგეიანი)

21 დეკემბერს სალ. 9 საათზე ფსიხიატრიულ საავადმყოფოში ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა ამხანაგი კომანდო გოგელია. ამხ. გოგელია ეროვნებით ქართველი, რწმენით ანარქისტი, ძველი რევოლიუციონერი, დაიბადა 1878 წელს 6 სექტემბერს ოზურგეთის მაზრაში. ქ. ოზურგეთში სასულიერო სასწავლებლის დამთავრების შემდეგ 1895 წელსა ის სწავლობდა ქ. ქუთაისში სასულიერო სემინარიაში. 1897 წელს იგი მიემგზავრება პირველად საზღვარ-გარეთ საფრანგეთში ქ. ნანსში, სადაც შედის აგრონომიულ სასწავლებელში, ქ. ნანსიდან გადადის ქ. ლოზანაში (შვეიცარიაში)—სადაც დაამთავრა აგრონომიული ფაკულტეტი. ამის შემდეგ ის განაგრძობს სწავლას ჟენევაში, ქიმიის უმაღლეს სასწავლებელში. ჩვენ 900 წლებში საზღვარ-გარეთ მცხოვრებ რუს ემიგრანტებს, კარგათ გვახსოვს ამხანაგი გოგელია და არასოდეს არ დაგვავიწყდება მისი დაუღალავი მუშაობა იმ ახალგაზრდობის პოლიტიკურათ გაწრთვნის საქმეში რომელმაც აქტიური როლი ითამაშა რუსეთის პირველ რევოლიუციური მოძრაობის დროს. რუსეთის რევოლიუციის წინა ხანებში საფრანგეთსა და შვეიცარიაში მცხოვრებ ახალგაზრდა რევოლიუციონერებისათვის, ამხ. გოგელია იყო მეტად პოპულიარული მასწავლებელი, რომელიც მოუწოდებდა მათ სოციალურ რევოლიუციისაკენ.

1905 წლის ოქტომბრის წინა დღეებში სწერდა გოგელია: „რევოლიუციის განსაზღვრაა და მის ვიწრო ჩარჩოებში მოთავსებაზე ფიქრი ჩვენი საქმე არ არის. ეს ჩვენი მტრების საქმეა. უეჭველად ბევრი მსურველი გამოჩნდება ამ კონტრ-რევოლიუციონურ „მოღვაწეობისათვის" რეაქციის ბანაკიდან და რესტავრატორებს შორის. მთელის ჩვენის ძალღონით უნდა ვიბრძოლოთ რევოლიუციის შეზღუდვისაკენ მიმართულ ყოველგვარ ცდის წინააღმდეგ. ჩვენი საქმეა, პირიქით, რევოლიუციონურ მოძრაობის გაშლა და გაღრმავება სოციალურ რევოლიუციის მიჯნამდე. ჩვენი მოღვაწეობის გეზიც აქეთკენ უნდა მივმართოთ. ჩვენ პროპაგანდას და აგიტაციას მხოლოდ ეს მიზანი უნდა ასულდგმულებდეს. ხალხისადმი ჩვენი სიტყვა უნდა იყოს: ჯერ არაფერი გაგვიკეთებია, ყველაფერი უნდა გავაკეთოთ. საბერძნეთის ერთი ლამაზი ლეგენდა აქვს: [illegible] გზაზე, რომელიც მიიმართებოდა მშვენიერ ფივისაკენ, აღმართულ იყო სფინქსი. ამ მშვენიერ ქვეყანაში შემსვლელს უთუოდ უნდა აეხსნა ის [illegible] სფინქსი და თუ, ვინიცობაა, ვეღარ გამოიცნობდა მას, ხრამში [illegible] და 48—71 წლების რევოლიუციის სფინქსი თანამედროვე ქვეყანას უყენებს გამოცანას: პოლიტიკურ და ეკონომიურ მონობისაგან სრულს განთავისუფლებას.

„ყველა ერებმა ხრამში გადაჩეხვის შიშით, უნდა გამოიცნონ ეს ამოცანა, უნდა გამოიცნოს რუსეთმაც რევოლიუციონური ხელისუფლების [illegible]ნი იქნება იგი თუ უამისო სულ ერთია რადგან მხოლოდ ამ ამოცანის ახსნაში მდგომარეობს ნამდვილი თანასწორობა და მშვიდობიანობა. ბრწყინვალე ფივი, სადაც მხოლოდ სფინქსის გამოცანის შემდეგ მისვლება არის თავისუფლება, ხოლო მისკენ მიმავალი გზა—სოციალური რევოლიუციაა" („რევოლიუცია და რევოლიუციონური მთავრობა" კ. ორგეიანი. ჟენევა 1905 წ.).

სრული 16 წელიწადი შესრულდა მას შემდეგ, რაც ამხანაგი გოგელია ამდროის ჟენევის უნივერსიტეტის სტუდენტი ქიმიკოსი თავის მეუღლე ლიდია ვლადიმერის ასულთან ერთად ჟენევაში რედაქტორობდა ანარქისტულ-კომუნისტურ პირველ ორგანოს „Хлеб и Воля"-ს, რომელმაც თვალსაჩინო როლი შეასრულა რუსეთის რევოლიუციონურ აზრის განვითარების საქმეში. ამ ორგანოს მუდმივ თანამშრომლებად იყვნენ: პ. კრაპოტკინი ვ. ჩერქეზიშვილი და შვეიცარიელი ლუიჯი ბერტონი. ამ დროიდანვე იკავებს რა ცენტრალურ ადგილს პოლიტიკურ მოღვაწეთა შორის ამხ. გოგელია პირველ რევოლიუციიდან დაწყებულ თებერვლის მეორე რევოლიუციამდე რედაქტორობს სხვადასხვა ჟურნალ გაზეთებს, სწერს წერილებს და წიგნებს, მონაწილეობას ღებულობს კამათში, მიტინგებსა და ლექციებზედ, გამოდის პოლიტიკურ დისკუსიებში და სხვა. რუსეთის პირველ რევოლიუციის დროს ამხ. კომანდო ჩამოდის თავის სამშობლოში, სადაც იგი განსაკუთრებით სოხუმსა და თბილისში, ეწევა ანარქისტულ-კომუნისტურ პროპაგანდას. ამიერკავკასიისთვის სრულიად უცნობ მოძრაობის პიონერი რედაქტორობს მაშინდელ „ნობათ"-სა და „მუშას". იკრებს რა თავის გარშემო ქართველ ახალგაზრდობას, ამხ. გოგელია დიდ დახმარებას უწევს მათ—შემთანხმებლობის, ოპორტიუნიზმისა და შოვინიზმის მავნეიელ ხავსისაგან განთავისუფლების საქმეში. მაგრამ დადგა დრო რეაქციის.. ამხ. კომანდო ისევ საზღვარგარეთ ეძებს თავშესაფარს ამ პერიოდის განმავლობაში ის სცხოვრობს ხან შვეიცარიაში, ხან პარიზში, უფრო ხშირად კი უკანასკნელში არც „მოხუცებს" (პ. კრაპოტკინი და ვ. ჩერქეზიშვილი) ივიწყებს და დრო გამოშვებით ესტუმრება მათ ინგლისში. მისი ცხოვრება, როგორც პოლიტიკურ ემიგრანტის, დაუღალავ რევოლიუციონურ მუშაობაში გამოიხატება.

პარიზში ცხოვრების დროს ქვეყნდება სხვა შრომებთან ერთად მისი ღირსშესანიშნავი შრომა: „როგორ და რისგან განვითარდა რევოლიუციონური სინდიკალიზმი?", რომელსაც დართული აქვს პ. კრაპოტკინის წინასიტყვაობა. ამხანაგ გოგელიას სახელი საკმაოდ ცნობილია ფრანგ, შვეიცარიელ და იტალიელ მუშებს შორის, რომელთათვის ის ხშირად აქვეყნებდა საერთაშორისო პრესაში წერილებს და შენიშვნებს. მსოფლიო ომის დროს, როცა ბევრი ამხანაგი სავსებით ჩამოშორდა ანარქისტულსა და სოციალისტურ მიმდინარეობას. გადაიხვეწნენ რა ეგრედ წოდებულ „სოციალ პატრიოტების" ბანაკში და ამა თუ იმ მებრძოლ კოალიციის აგენტობას ეწეოდნენ ამხ. კომანდო ურყევად იდგა თავის ძველ პოზიციებზე და მეტის სითამამით მოუწოდებდა ყველას, განსაკუთრებით რუს მუშებს, მილიტარიზმის საწინააღმდეგოდ და სოციალ რევოლიუციის დროშის ასამაღლებლად. როდესაც დაიწყეს პარიზში ინტერნაციონალისტების (ეგრეთ წოდებულ „პორაჟენცების") დევნა ამხ. გოგელიაც პირველი დააპატიმრეს სხვა ცნობილ პოლიტიკურ მოღვაწეებთან ერთად და მოათავსეს „Santé"-ში. ციხიდან განთავისუფლებისთანავე უკვე დასნეულებული ამხ. კომანდო მიემგზავრება შვეიცარიაში, ომის გარეშე მდგომ საერთაშორისო ცენტრში და ისევ განაგრძობს მუშაობას მებრძოლთა რიგებში. კლუბები, დისკუსიები, ფურცლების გამოქვეყნება და გაზეთები—აი რა ავსებს ემიგრანტ რევოლიუციონერების ცხოვრებას, რომელნიც ამ საერთაშორისო წარღვნის დროს შეკრებილიყვნენ შვეიცარიაში.

მოდის 17 წლის თებერვალი, ისევ იმედი, ისევ ხალისი ბრძოლის, ყველა აღტკინებული. ყველა „შინ" მიიჩქარის რევოლიუციის გასაღრმავებლად, გასაფართოვებლად. უკვე სერიოზულად დაავადებული, ფიზიკურად შერყეული, მაგრამ სულიერად ისევ ახალგაზრდა, ისევ ბრძოლის ცეცხლით აღგზნებული ამხ. გოგელია [illegible] წინ მიემგზავრება რუსეთში. ამ დროიდან იწყება ტანჯვით აღსავსე მისი ცხოვრება მოსკოვსა და პეტერბურგში. 1917—19 წლები სავსებით აბალღამებს მის მოუსვენარ სულსა და სხეულს.

დასნეულებული სულიერად და ხორციელად, დაღლილი უკანასკნელად ბრუნდება 1921 წელს თავის სამშობლო—საქართველოში. გასაბჭოების შემდეგ სცხოვრობს ქუთაისში თავის ძმასთან, შემდეგ კი მეუღლესთან, რომელსაც გადაყავს იგი ქობულეთში. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ საქართველოს სახალხო კომისართა საბჭო უწევს მას დახმარებას, მაგრამ ყველაფერი ამაოა... დაუნდობელი სენი ისევ განაგრძობს თავის საშინელ საქმეს. არავითარი ნიშანი არ იყო მისი მორჩენისა. ჩვენ საჭიროდ მიგვაჩნია მისი ნაწარმოების გამოცემა. საქართველოს მუშები, გლეხები და მოსწავლე ახალგაზრდობა უნდა იცნობდეს შრომას და სახელს იმისას, ვინც ოცი წლის განმავლობაში ქადაგებდა სოციალურ რევოლიუციაზე და ვინც მთელი თავისი ენერგია და სიცოცხლე მოახმარა მშრომელთა გათვითცნობიერების საქმეს.

ნ. როგდაევი.

პროფკავშირებში

აფხაზეთის პროფსაბჭოს მუშაობა

(1924 წ. მესამე მეოთხედში)

საორგანიზაციო მუშაობა.

აფხაზეთის პროფსაბჭო აერთიანებს 13 კავშირს, 2 სექციის (მეტყავეთა და მკერვალთა) და ადგილკომებს, რომელთა წევრების რიცხვი უდრის 4.441 კაცს; აქედან სოხუმში ითვლება 2.933 კაცი, მაზრებში—1508. წინა მეოთხედთან შედარებით კავშირების წევრთა რიცხვი გაიზარდა 291 კაცით.

პროფკავშირების წევრთა საერთო რიცხვი სოფლის დაქირავებულ მუშებთან ერთად უდრის 5.561 კაცს.

აღნიშნული დროის განმავლობაში აფხაზეთის პროფსაბჭოს პრეზიდიუმმა მოამზადა და ჩაატარა უპარტიო მუშათა პირველი კონფერენცია.

კონფერენციას დაესწრო 260 კაცი. მან დიდი ინტერესი გამოიწვია ფართო მასებში. ამას გარდა საორგანიზაციო განყოფილებამ ჩაატარა ადგილკომების ხელახალი არჩევნები და კავშირების სამაზრო განყოფილებების კონფერენციები.

ქალთა და ახალგაზრდათა შორის მუშაობის საწარმოებლად გამოყოფილი არიან სპეციალური მუშაკები.

სატარიფო-ეკონომიური მუშაობა.

სამეურნეო ორგანოებთან ნორმალური ურთიერთობაა დამყარებული. ყველა დაწესებულება-წარმოებებში დადებულია კოლექტიური ხელშეკრულებები და სატარიფო შეთანხმებები. შრომის ხელფასის მინიმუმათ უმეტეს შემთხვევაში დაწესებულია 12 მან.; კოლექტიური ხელშეკრულებები დადებულია შეფარდებით 1:8.

კოოპერაცია თანდათან აფართოებს თავის მუშაობას. ის უკვე დიდი ავტორიტეტით და ნდობით სარგებლობს მშრომელთა ფართო მასებში.

მუშკორთა და გლეხკორთა დასაცავად

ცირკულიარული № 59.

კომპარტიის ყველა ცენტრალურ და საოლქო კომიტეტებს ამიერ-კავკასიაში

მუშათა და სოფლის კორესპონდენტების დევნა უკანასკნელ ხანებში ფართო ხასიათს იღებს.

ამიერ-კავკასიის სოფლის კულაკებმა და დაბალ საფეხურის საბჭოთა და სამეურნეო აპარატებში მოკალათებულმა კონტრ-რევოლიუციონურმა ელემენტებმა, პრესის გავლენის და და მნიშვნელობის გაზრდის გამო, დაიწყეს მუშკორების და სოფლის კორესპონდენტების (უმთავრესად უკანასკნელების) წინააღმდეგ ნამდვილი გალაშქრება. ეს გალაშქრება არ იღებს ყოველთვის აშკარა დევნის ხასიათს, უმეტეს შემთხვევაში ჩვენ ვხედავთ, რომ ჩვენი გაზეთების გლეხთა და მუშათა წარმომადგენლებს ფარაულათ უსწორდებიან.

პარტიამ, საბჭოთა, პროფესიონალურმა ორგანიზაციებმა, პრესამ ამ თავდასხმას უნდა დაუპირდაპირონ ფართო, ენერგიული, ნამდვილი კამპანია—მუშკორის და სოფლის კორესპონდენტის—მუშათა და გლეხთა რევოლიუციონურ საზოგადოებრივობის ნამდვილ წარმომადგენლის დასაცავათ.

იმ ღონისძიებათა შორის, რომელიც საქმით დაიცავს მუშათა და გლეხთა კორესპონდენტებს, რუსეთის კომპარტიის ამიერკავკასიის საოლქო კომიტეტი პარტიულ ორგანიზაციების ყურადღებას აქცევს შემდეგს:

1. ყოველი საქმე მუშათა და გლეხთა კორესპონდენტების დევნის ან მათზე თავდასხმის შესახებ, უნდა იქნას განხილული სასწრაფოთ; არც ერთი შემთხვევა არ უნდა დარჩეს გამოძიების და გასამართლების გარეშე.

2. ყველაზე უფრო დამახასიათებელ შემთხვევაში ჩატარდეს დიდი საგიტაციო კამპანია (უმთავრესად პრესაში).

3. წინადადება მიეცეს ყველა გაზეთებს კორესპონდენტის დევნის ყოველი შემთხვევა დეტალურად გააშუქონ თავის ფურცლებზე.

4. პრესის ორგანოების საშუალებით დაევალოს სოფლის და მუშათა კორესპონდენტებს აცნობონ სათანადო საკონტროლო კომისიას მდევნელის გვარი და სახელი.

გაცნობებთ რა ზემოხსენებულს, რუსეთის კომპარტიის ამიერკავკასიის საოლქო კომიტეტი გთხოვთ რეგულიარული ინფორმაცია გამოგზავნოთ სოფლის და მუშათა კორესპონდენტის დასაცავად ჩატარებულ კამპანიის შესახებ.

რ. კ. პ. ამიერკავკასიის საოლქო კომიტეტის მდივანი მიასნიკოვი.

პრესის განყოფილების გამგე
მ. ლიფშიცი.

მუშათა და გლეხთა ინსპექციაში

საბჭოთა ხელისუფლების პრესტიჟის დამცემთა წინააღმდეგ ბრძოლა

საქ. მ|გ. ინსპექციაში შემოვიდა განცხადება 60 კაცის მიერ ხელმოწერილი, რომელშიაც აღნიშნული იყო საბჭოთა ხელისუფლების პრესტიჟის დამცემი მოქმედება 5-თე უბნის ფინინსპექტორის ვინმე მდივანის. განცხადება მით უფრო საყურადღებოა, რომ ის შემოსულია თვით მშრომელთა კავშირის წევრებიდან, რომლებიც სამართლიანად აღნიშნავდენ მოქ. მდივანის დაუშვებელ საქციელს, რაც გამოიხატებოდა 5-თე უბანში გადასახადების უკანონოდ განაწილებაში, მთხოვნელებისადმი უდიერად მოპყრობაში და სხვა. ხსენებულ 60 პირის საყურადღებოთ მ|გ. ინსპექცია აცხადებს, რომ მის მიერ მოხდენილი კვლევა-ძიების შედეგათ აღნიშნული მდივანი უკვე დათხოვნილია სამსახურიდან.

საქ. მ|გ. ინსპექ. სახ. კომისარი ა. დოლიძე.

მკერავთა ყრილობა

პირველი სხდომა

ყრილობა გახსნა საქართველოს მკერავთა კავშირის პასუხისმგებელმა მდივანმა ამხ. უჯარაშვილმა, რომელიც მოკლეთ შეეხო კავშირის მუშაობას და დაახასიათა არსებული მდგომარეობა. შემდეგ ყრილობას ესალმებიან ბათომის მკერავთა კავშირის სახელით ამხ. ავაკიმიანი, ახ. კომ. კავშირიდან — ამხ. ოხიპოვი, მუშფაკის და ახალგაზრდა პიონერთა წარმომადგენელნი.

პრეზიდიუმის არჩევის შემდეგ, კრებამ მიიღო დღის წესრიგი. რეგლამენტის მიღების შემდეგ სხდომა შეწყდა. პირველ სხდომაზე ყრილობას დროშა გადასცეს თბილისის მკერავ მუშებმა.

მეორე სხდომა

ცენტრალური გამგეობის მოხსენება

(მომხსენებელი ამხ. უჯარიშვილი).

საქართველოს მკერავთა კავშირი აერთიანებს—825. აქედან ქალია—408, ვაჟი—407. კავშირის გამგეობის მუშაობაში პირველი ადგილი უჭირავს სატარიფო საკითხის მოგვარებას. მკერავთა ხელფასი კერძო წარმოებებში დაუახლოვდა მშვიდობიანი დროის ხელფასის დონეს. კულტ-მუშაობა ვერ იყო გაცხოველებული, რადგან წარმოებებიდან გაღებული ანარიცხები საკმაო არ აღმოჩნდა.

ამჟამად კავშირს ჰყავს 250 უმუშევარი. უმუშევართ ეძლევათ დახმარება. სულ დარიგებულია 1612 მანეთი. დახმარება მიეცა 406 კაცს.

სარევიზიო კომისიის სახელით მოხსენებას აკეთებს ამხ. მირზოიანი, სარევიზიო კომისიას არავითარი ნაკლი გამგეობაში არ აღმოუჩენია.

მესამე სხდომა

მესამე სხდომაზე სწარმოებდა კამათი ცენტრალური გამგეობის მუშაობის შესახებ.

ადგილობრივ ტრანსპორტის მუშაკთა ყრილობა

საზეიმო სხდომა

კავშირის დაარსების 3 წლის თავზე გაიხსნა ადგილობრივ ტრანსპორტის მუშაკთა ყრილობა. ამ შემთხვევის გამო პირველ სხდომას საზეიმო ხასიათი მიეცა.

ამხ. **გუდიანის** სიტყვის შემდეგ კრებამ მოისმინა მისალმებები.

სარ. კომ. საბჭო გარაჟის მუშაკებმა ყრილობას უძღვნეს ამხ. ლენინის სურათი მინის ჩარჩოში. რკინის გზის [illegible] სახელით ამხ. ხუნდაძემ გადასცა დროშა.

მისალმებით დასრულდა ყრილობის საზეიმო სხდომა 3 წლის იუბილეს გამო. დასასრულ დელეგატებისათვის დაიდგა კინო-სურათი.

მიწა-ტყის მუშაკთა ყრილობა

20 დეკემბრის სხდომა

სასოფლო-სამეურნეო კოოპერაცია

(მომხსენებელი ამხ. წივწივაძე)

ეხება რა სასოფლო-სამეურნეო კოოპერატიულ მოძრაობას საქართველოში, მომხსენებელი აღნიშნავს, რომ 1924 წლიდან იწყება შეურყეველი და სასწრაფო ზრდა სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის. ამ წელს იანვარში კოოპერატ. ორგანიზაციათა რიცხვი უდრიდა 24, რომელნიც აერთიანებდენ 10.807 მეურნეს. ამჟამად საქართველოში არსებობს 106 სას.-სამ. კოოპერატიული ორგანიზაცია, რომელიც აკავშირებს 25 ათასს მეურნეს. სამეურნეო დარგების მიხედვით კოოპერატივები ასე ნაწილდებიან: ხილეულობის კოოპერატივი—22, მევენახეობის—62, მეცხვარეობის—4, მერძეობის—22, მეფუტკრეობის—4, შერეულ ნაწარმოებისა—13 და სხვა სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციას ხელმძღვანელობს „წარმოკავშირი", რომელსაც აქვს საკმაოდ ძლიერი აპარატი. წარმოკავშირის საბრუნავი თანხა ამჟამად აღწევს 2.513.000 მანეთს.

წარმოკავშირი შეუდგა ჩვენი მეურნეობის სხვადასხვა დარგების აღდგენას: აწარმოებს ბრძოლას ფილოქსერასთან ამერიკული ვაზის სანერგეების გაშენებით. მერძეობის აღსადგენად მიღებულია საჭირო ღონისძიებანი. წრეულს წარმოკავშირში გაერთიანებულმა მერძეობის კოოპერატივებმა დაამზადეს 2 ათასი ფ. შვეიცარიული ყველი. წარმატება ემჩნევა მეურნეობის სხვა დარგებსაც.

ყრილობამ მოიწონა „წარმოკავშირის" მუშაობა, ამავე სხდომაზე ყრილობამ განიხილა და დაამტკიცა თეზისები საორგანიზაციო, სატარიფო ეკონომიური და კულტურულ დარგებში მუშაობის შესახებ.

უკანასკნელი სხდომა

ამხ. წივწივაძის მოხსენების შემდეგ სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის შესახებ, ყრილობა შეუდგა ახალი გამგეობის არჩევნებს.

ერთხმად იქნენ არჩეულნი შემდეგი ამხანაგები: ფანცხავა, ჯაფარიძე, ბენდუქიძე, ქურდოვანიძე, რუხაძე, კანკიშვილი, უსტიაშვილი, ბოლქვაძე, კინცაძე, გაბუნია, ცაგურია, ცაგარელი, ოლანოვი, მათიკაშვილი, გერასიმოვი, შავიშვილი, მანჯგალაძე, არევაძე, აკოფოვი, კაჭულია, ლომაური, ჩიხლაძე, დოლიძე, ჯგირაძე, სარიევი და მესხი.

კანდიდატებად: ამხ. ამხ. გოგოლაძე, ბრეგვაძე, ბოგდანოვი, ქვანია და ბერაია.

სარევიზიო კომისიაში: ამხ. ამხ. კაზბეროუკი, ცხომელიძე, ჩიგოიძე, ზარგარიანი, პარამანოვი, ევსეგნეევი და ბუიხუხი.

მე-5 საკავშირო ყრილობის დელეგაცია

მე-5 საკავშირო ყრილობის დელეგატებად არჩეულნი არიან ამხ. ამხ. ფანცხავა, მანჯგალაძე, გერასიმოვი, მათიკაშვილი, კაზაკოვი, ბერიძე, გულიაშვილი, არჩვაძე, ბერაია, ქვანია და ზარგარიანი.

ყრილობის მუშაობის დასრულების შემდეგ დელეგატებმა გადაიღეს სურათი.

სოფლის პარტუჯრედების გაფართოებული თათბირი

მეორე სხდომა

22 დეკემბრის დილის სხდომას ხსნის ამხ. ქართველიშვილი.

მოხსენებები ადგილებიდან

ამხ. ბაბიაშვილი: (ტეზერის უჯრედი, გორის მაზრა). ტეზერის კომუჯრედში ამჟამად ირიცხება 17 წევრი და 10 კანდიდატი. უჯრედის მუშაობა მიმდინარეობს ამრიგად: ყოველ ორ კვირაში ერთხელ იმართება კრებები. დახურული კრებები არ იმართებოდა ისე ხშირად, როგორც ღია. კომკავშირის წევრებს აქვთ სხდომები პარასკევობით, ჩვენ კი შაბათობით. კრებები იმართება სისტემატიურად. პარტიულთა და უპარტიოთა შორის კარგი განწყობილებაა. სოფელ ტეზერში არის სამკითხველო, მაგრამ უნდა ვთქვათ, რომ სამკითხველოს მუდმივი გამგე არა ჰყავს. გაზეთები მოდის რამოდენიმე ცალი. უპარტიო გლეხების აქტიური დახმარებით ამ ბოლო დროს ვაკეთებთ გზას, ახლა გვიხდება თეატრის და კლუბის შეკეთება. უჯრედის მიერ შედგენილია 27 ოქმი.

სხდომებზე ირჩევა სხვადასხვა საჭირბოროტო ხასიათის საკითხები, მაგალითად გლეხკომების მუშაობის, მიწის კომისიის, ტყის საქმის შესახებ და სხვა. ვკითხულობთ კოვალენკოს ანბანს, ამისათვის ვაწარმოებთ გაზეთების ხმა-მაღლა კითხვას. კომკავშირში ითვლება 32 წევრი. მათი მუშაობის შესახებ ლაპარაკი ზედმეტია, რადგანაც ყველასათვის ცხადია, რომ კომკავშირელები თითქმის ყველგან იჩენენ დიდ აქტივობას. კომკავშირი მხურვალე მონაწილეობას ღებულობს საბჭოთა საზოგადოებრივ მუშაობაში. რაც შეეხება თვით პარტიულ მუშაობას, ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ის საგრძნობლად მოისუსტებს. ამაში ბრალი ნიუძლვის რაიონსაც. ჩვენში 245 კომლი არის, ამათ რიცხვში 65 კოოპერატივის წევრია. სურამის კოოპერატივი ძალიან კარგად მუშაობს. მას განყოფილებაც აქვს გახსნილი სოფ. ტერხანში და სხვაგან. ამასთანავე ერთად კოოპერატივს გახსნილი აქვს სასადილო, საყასბო და საერთოდ ყოველივე ის, რაც საჭიროა მშრომელი გლეხკაცობისათვის. ჩვენს სოფელში ამ ერთ თვის თუ თვე ნახევრის წინად გაიხსნა კოოპერატივის განყოფილებაც. ამით გლეხ-კაცობას მიეცა საშუალება, რომ თავისი პირნახული ალაგაყიდოს კერძო ვაჭარზე და გაასაღოს კოოპერატივების საშუალებით. სარაიონო და სამაზრო კომიტეტებთან დამოკიდებულება კარგია. სასოფლო-სამეურნეო გადასახადი ჩატარდა მეტად სასურველად, რადგანაც გადასახადი ძალიან მსუბუქი იყო, არ აღემატებოდა 25 მ. კომლზე. გაჭირვებულ ქვრივ-ობლებს არამც თუ რაიმე გადავახდევინეთ, არამედ, პირიქით, დავეხმარეთ. ბევრიც სრულიად გავანთავისუფლეთ გადასახადისაგან. მიუხედავათ ამისა, სოფლის მცხოვრებლებს კიდევ მივეცით უფლება განცხადებების შემოტანისა. ეს განცხადებები გადავათვალიერეთ. ზოგს კიდევ შეუმცირეთ—ნახევარი, ზოგსაც კი მესამედი. 21 წელში ჩავატარეთ მიწის რეფორმა.

ტეზერში არსებობს სკოლა სამ განყოფილებიანი. პირველ განყოფილებაში არის 48, მეორეში—25 და მესამეში კი 28 მოწაფე. სულ 100-დე. ესენი ყველა გლეხის შვილებია. სამწუხაროდ სკოლას არა აქვს მინები და ბოლოს ვიშოვნეთ ეს მინები, მაგრამ მინის ჩამდგმელი კი ვერ ვიშოვეთ. ჩვენ გვაქვს ორი სალიკვიდაციო სკოლა, სადაც მეცადინეობს 9 კაცი.

ჩვენ უჯრედში ქალები არ არის. საეროდ ქალთა შორის მუშაობა მოისუსტებს. ჩვენს გლეხკაცობა ერთზე სტკივა გული. საქმე იმაშია, რომ ხაშურიდან ლიხამდის 9 ვერსი და გლეხები დიდიხანია თხოულობენ მათ შორის პლატფორმის დაარსებას, მაგრამ ეს არ მოხდა. ამის შესახებ სად არ იყო გამოტანილი დადგენილება. ყველანი გვპირდებოდნენ დახმარებას, მაგრამ ვერაფერი გავხდით. ხე-ტყის საქმის მოუგვარებლობაც გლეხებში იწვევს დიდ უკმაყოფილებას. გლეხს სჭირია ხე-ტყის მასალა და ამისათვის ის უნდა წავიდეს ბორჯომის რაიონში. მიუხედავათ ამ შორი მანძილისა, ის მაინც მიდის იქ, აღმასკომის თავმჯდომარეც აძლევს ნებართვას, მაგრამ ბორჯომში მისვლისას მას უარს ეუბნებიან. ამას გარდა ყავარი არის საჭირო ან სხვა რაიმე, მივდივართ ბორჯომში და იქ არ გვაძლევენ. ამ გარემოებით ჩვენი სოფლის მცხოვრებთ დიდათ გული სტკივათ.

ამხ. ბლიაძე (ქარელის რაიონის № 1 კომუჯრედი). ეს უჯრედი შესდგება 9 წევრის და 1 კანდიდატისაგან. ამათში ერთი ოსია და დანარჩენი ქართველი. ქალები კი სულ არ არის. მხოლოდ ამ უკანასკნელ სამი კვირის განმავლობაში დიდი ლტოლვაა გლეხების მხრივ პარტიის მუშაობაში ჩასაბმელად. მიღებულია კანდიდატებათ 109 კაცი. ისინი დამტკიცებული არიან რაიკომის პრეზიდიუმის მიერ, ეხლა კი ოქმი გადაიგზავნა გორის სამკომში დასამტკიცებლად. პარტიაში ახლად მიღებულთა შორის 19 დედაკაცია. თვით რაიონი შესდგება 5 უჯრედისაგან. კანდიდატთა რიცხვი 330-დეა. ამჟამად კი შემოსულია კიდევ 100 კაცის განცხადება. რაც შეეხება კომკავშირს, ის თავის რიგებში ითვლის 30 წევრს. არიან აგრეთვე ქალები 6. სულ 36. კომკავშირსა და უჯრედს შორის კარგი დამოკიდებულებაა. ჩვენი წარმომადგენელი სისტემატიურად ესწრება მათ სხდომებს. რაიკომთან და სამაზრო კომიტეტთან დამოკიდებულება მჭიდროა. სხდომები უჯრედს აქვს თვეში ოთხჯერ. ორჯერ სწარმოებს პოლიტიკური მეცადინეობა და ორჯერაც კი კეთდება მოხსენებები სხვადასხვა საკითხებზე. ეს ოთხივე სხდომა იმართება უპარტიოებთან თანდასწრებით. აღსანიშნავია სხვათა შორის ისიც, რომ ამ სხდომებს ესწრებიან ებრაელი ქალებიც. უჯრედის წევრები ჩაბმული არიან სხვადასხვა სამუშაოში, კერძოდ კი აღმასკომში, ეპოში, წარმოკავშირში და ზოგიც რაიონში. ჩვენი სოფლები მდიდარია ხილეულობით და უნდა ითქვას, რომ ხილის ბაზრის დაპყრობის საქმე ვერ არის მოგვარებული. წარმოკავშირმა ვერ გამოიჩინა ფხა, რომ გლეხის ყველა ნაწარმოებებს ბაზარი აღმოუჩინოს და თავის დროზე მას ფული ჩააბაროს. ამის გამო გლეხებს რჩებათ ხილი და ულპებათ. საერთოო წარმოკავშირი ვერ სდგას თავის დანიშნულების სიმაღლეზე. გორში არის ეპო, ჩვენში კი დაარსებულია მისი განყოფილება. ეპო კარგს ნიადაგზე სდგას და ხალხიც კმაყოფილია. ეპოებს ბაზარში გამოაქვთ ნავთი და სხვა საგნები, რათა გლეხები ჩარჩებს არ ჩაუვარდენ ხელში. ამას თანავე მათ განზრახული აქვთ სადგურში მოაწყონ სასადილოები, რომ იქ ებრაელის ბავშვები, რომლებიც აქა-იქ დარბიან და ვაჭრობენ, აარიდონ გარყვნილების გზას. ეპომ გახსნა აგრეთვე სამკითხველოც, რისთვისაც შეიძინა მაგიდები და სხვა საჭირო ნივთები. გაზეთებიც ბლომად მოდის. მაგრამ გლეხები კი სამკითხველოში არ დაიარებიან, გარდა მუშა-მოსამსახურეებისა, კომკავშირის და პარტიის წევრებისა. უჯრედსაც აქვს თავისი სამკითხველო, სადაც იმართება სხდომები, ჩვენი უჯრედის პარტიულ წევრს სათითაოდ აქვთ გამოწერილი სხვადასხვა გაზეთები. უჯრედის სამკითხველოში ჩვენი პარტიული ამხანაგები ხმამაღლა კითხულობენ გაზეთებს და აძლევენ სათანადო განმარტებებს ამა თუ იმ საკითხებზე. პარტიის წევრებს შორის ლოთობას ან ნივთიერად გამდიდრებისაკენ სურვილს ადგილი არ ჰქონებია. პარტიული დისციპლინა მტკიცედ არის დაცული. პარტიულ და უპარტიოთა შორის დამოკიდებულება ძალიან კარგია, გლეხებს არაფრის არ ეშინიათ. ისინი ყველაფერს ლაპარაკობენ, რაც მათ აწუხებთ და ჩვენც ვეხმარებით რამდენადაც შეგვიძლია. გლეხები ჩვენ გვიყურებენ როგორც ერთად-ერთ მათ ინტერესების დამცველ პარტიას. მენშევიკების ავანტიურისტული გამოსვლების დროს გლეხები გვეუბნებოდენ,—მოგვეცით თოფი და იარაღი, ოსებს კი ქვები ჩაეწყოთ ჯიბეში და ამბობდენ: „თქვენ იარაღი არ გექნებათ და ჩვენ ამით გაუსასპინძლდებით ჩვენს მტრებს“-ო.

აქ გვეკითხებიან, საზოგადო კრებას რა საკითხები აინტერესებსო. უმთავრესად აქ ირჩევა საამშენებლო ხასიათის საკითხები, მაგ. გზის შესახებ, გლეხკომების მუშაობის შესახებ და სხვა. გლეხებს უწევთ ყოველგვარ დახმარებას. აი ამის ნიმუშიც: ორი წლის წინად დავაარსეთ საკრედიტო ამხანაგობა და 300 თუმნამდე გვაქვს დარიგებული გლეხებზე. ვისაც ხარი არა ჰყავს, იმასაც ვეხმარებით, თუ სოფელს გუთანი არა აქვს, ამასშიც დახმარებას უჩენთ. რაც შეეხება გლეხკომების მუშაობას, ისინი მოისუსტებენ იმიტომ, რომ არ გვყავს სათანადო ხელმძღვანელი, რომელსაც ენერგიულად შეეძლოს ამ საქმეს მოჰკიდოს ხელი. მაგრამ ყოველშემთხვევაში გლეხკომი შეძლებისდაგვარად ეხმარება გაჭირვებულ გლეხკაცობას. მას გახსნილი აქვს წითელი სასადილო 9 დუქნით. ჩვენში არის ერთი შვიდწლედი სასწავლებელი, მაგრამ მდგომარეობა მოითხოვს კიდევ ახალი სასწავლებლის გახსნას. ამ ჟამად მოწაფეები ითვლება 238-დე. შეშით და სხვა მოწყობილობით სკოლა სავსებით უზრუნველყოფილია. გვაქვს აგრეთვე სალიკვიდაციო სკოლებიც, მხოლოდ აქ გვაქვს საქმე ერთ ნაკლთან. კომკავშირელები არ ესწრებიან მეცადინეობას, მაგრამ ამისათვის მიღებულია საჭირო ზომები. სასოფლო-სამეურნეო გადასახადი ჩატარდა უსისტემოდ, მაგრამ შემდეგ კომისიის მიერ, სადაც სხვათა შორის შედიოდა გლეხკომის წარმომადგენელიც, ეს გამოსწორდა.

ამხ. უზნაძე (სამთავისის უჯრედი): გორის მაზრის, ქვემო-ჭალის სოფ. სამთავისის კომუჯრედი დაარსებულია 18 წლიდან. პირველად ის თავის რიგებში ითვლიდა 18 წევრს, ხოლოდ ამ ჟამად 12 და 6 ისეთ ამხანაგს, რომლებიც არასოდეს არ ჩამორჩენილან ჩვენგან და გაჭირვების დროს ჩვენთან არიან, ეხლა პარტიაში მიღების შესახებ შემოტანილი აქვთ განცხადება 25 კაცს. მთელს რაიონში კი განცხადებები აქვთ შემოტანილი 700 კაცს. ასეთი ლტოლვა პარტიისაკენ აიხსნება იმით, რომ მენშევიკურმა ავანტიურამ ბევრი გამოაფხიზლა ხანგრძლივი ძილისაგან. ამ უჯრედში ყველანი ქართველებია, უღარიბესი გლეხობაა, მა რამ სამწუხაროთ არც ერთი ქალი არ არის. ამ ბოლო დროს ქალებმაც იწყეს გამოღვიძება და მათ განცხადებებიც შემოაქვთ. უჯრედს მჭიდრო კავშირი აქვს რაიკომთან. რაიკომი ორი ვერსის მანძილზეა დაშორებული ჩვენიდან. სამაზრო კომიტეტიც დიდ დახმარებას გვიწევს პარტმუშაობის გამოცხოველების საქმეში. უჯრედების მდივნების თათბირი მუდამ თვეში ხდება. აქ სიმართლე უნდა ითქვას, მართალია უჯრედი არ არის სათანადოთ მომზადებული, მაგრამ თავისი ინიციატივით და უნარიანობით მან ბევრის გაკეთება შესძლო. სალიკვიდაციო სკოლა 8 არის. მან თავისი მუშაობით დიდი ნაყოფი გამოიღო. ჩვენი უჯრედის სოფელში იმყოფება 50 კომლი. 24 წელში ამ სოფლის მცხოვრებთა ენერგიული მუშაობით გაკეთებული იქნა წყარო, რომელსაც ლენინის სახელობის წყარო დაერქვა. ეს მას დაუჯდა 400—500 თუმანი. ორი ვერსის მანძილზე გამოყვანილი იქნა მილი. უჯრედის ღია სხდომებზე, რომელიც იმართება ძალიან ხშირად, ირჩევა საკითხები კლუბის, გზების და სხვათა შესახებ. ცხადია, რომ პარტდისციპლინა არ გვქონებოდა, ვერ გავაკეთებდით იმას, რაც გავაკეთეთ. პარტიულთა და უპარტიოთა შორის დამოკიდებულება საუკეთესოა. სასოფლო-სამეურნეო გადასახადის გაწერის დროს მართლაც ჰქონდა ადგილი გაუგებრობას, მაგრამ საზოგადო კრებაზე არჩეულმა კომისიამ ეს საქმე სათანადოთ მოაგვარა.

21 წელში სამთავისის უჯრედი იმისთვის, რომ გლეხობა არ ჩავარდნოდა სპეკულიანტების და ჩარჩების ხელში, შეუდგა პატარა კოოპერატივის დაარსებას. მაგრამ მას თანხა არ ჰქონდა. ამხანაგებმა გამოიტანეს სახლიდან თავიანთი ზედმეტი პირნახული და გახსნილი იქნა კოოპერატივი. დროთა ვითარებაში კოოპერატივია გლეხობის დახმარებით სწრაფად გაძლიერდა და დღეს უკვე 8 კოოპერატივია დაარსებული და 3 სასადილოც, ამ უკანასკნელ ხანებში გლეხკომებმაც იწყეს განვითარება. რაც შეეხება ახალგაზრდათა კომკავშირს, ის თავის გარშემო 26 წევრს იკრებს, რომელთა შორის 18 ქალია და 8 ყმაწვილი. ისინი ყოჩაღათ მუშაობენ, ღებულობენ აქტიურ მონაწილეობას სხვადასხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციებში. ამასთანავე, ჩვენ დავაარსეთ კომუნა 24 კომლისაგან, სადაც შედიან 94 წევრი. კომუნაში მასწავლებლობაც ღებულობს მონაწილეობას. გვქონდა არტელებიც დაარსებული, მაგრამ ისინი დაიშალა.

ამხ. მჭედლიშვილი (ანაგის კომუჯრედი, სიღნაღის მაზრა). ანაგის კომუჯრედი შესდგება 21 წევრის და 11 კანდიდატისაგან. სოციალური მდგომარეობის მიხედვით ყველანი გლეხები არიან. უჯრედი აწარმოებს როგორც პოლიტიკურ, ისე საზოგადოებრივ მუშაობას. სხდომები იმართება კვირაში ერთხელ. პარტდისციპლინა მტკიცეა. ქონების მეძენის და გამდიდრების სურვილები ჩვენს ამხანაგებს არ ამოქმედებს. ადგილობრივ გვაქვს ქოხ-სამკითხველო. ვიღებთ სხვადასხვა გაზეთებს. ჯერ-ჯერობით მოწყობილია ერთი შვიდწლედი და სხვადასხვა პატარა სკოლები. მოწაფეთა რიცხვის სიდიდის გამო მეცადინეობა სწარმოებს ორ ჯგუფად: ერთი შუადღემდე და მეორეც ნასადილევს. ქალთა შორის მუშაობა საგრძნობლად მოისუსტებს. დასახული გვაქვს მიზნად ახლო-მომავალში დავაარსოთ სამაზრო ქალთა განყოფილება. ახალგაზრდა კომკავშირის ორგანიზაციას ხელმძღვანელობას უწევს ადგილობრივი კომუჯრედი. ხშირად იმართება გაერთიანებული კრებები. სამწუხაროთ კომკავშირის ზოგიერთ წევრებს ემჩნევათ უდისციპლინობა. ჩვენში არის დაარსებული ეპო, რომელსაც აქვს ორი განყოფილება: ერთი სოკაქირში, მეორეც კარდანახში. ეპოთი გლეხობა კმაყოფილია, კავშირი გვაქვს ცეკავშირთან და ყოველდღე გვპირდება მოგაწვდითო ფართალსო, მაგრამ ჯერ-ჯერობით არაფერი არ მიგვიღია. გლეხკომს ეხლა ცოტათი სიცოცხლე დაეტყო. ჯანმრთელობის საქმეც სდგას თავის სიმაღლეზე. გვაქვს თეატრიც, სადაც სისტემატიურად იკითხება ლექციები და იდგმება წარმოდგენები.

ამხ. ხელაშვილი (ვარდისუბნის კომუჯრედი): ჩვენს უჯრედში ირიცხება 3 წევრი და 12 კანდიდატი. შეიძლება შემეკითხოთ, თუ რისთვის ვართ ასე ცოტა. საქმე იმაშია, რომ ზოგი ამხანაგები თბილისში წამოვიდნენ, ზოგიც რაიონშია. უჯრედის კავშირი რაიკომთან და სამაზრკომთან ასეთია: რაიკომს ეგზავნება უჯრედის ოქმები, ანგარიშები, რაიკომი კი გვიგზავნის ინფორმაციებს, გვაძლევს დირექტივებს და სხვა. სამაზრკომთან არავითარი კავშირი არა გვაქვს. უჯრედის მუშაობა კულტურული და პოლიტიკური მუშაობის მხრივ ვერ სდგას თავის სიმაღლეზე. ჩვენში არის სალიკვიდაციო სკოლები. უჯრედის მუშაობა მასებში ასეთია; უჯრედი ახდენს ღია სხდომებს, სადაც ესწრებიან უპარტიოებიც. უპარტიო მასა ძალიან დაინტერესებული არის, როდესაც კრებებზე ირჩევა ისეთი საკითხები, რომლებიც უშუალოდ გლეხების ცხოვრებას ეხება. რაც შეეხება გლეხების ფენებათ დაყოფას და განხეთქილებას ღარიბ გლეხს და კულაკს შორის, ასეთი არ არსებობს. სასოფლო-სამეურნეო გადასახადის აკრეფა ჯერაც არ დამთავრებულა. ჩვენს თემში არის ორი ქოხ-სამკითხველო, რომელიც ძალიან ღარიბია. მთელი თემი კი აერთიანებს 9 სოფელს და ამ 9 სოფელში არის მხოლოდ 5 სკოლა, რომელსაც ჰყავს 7 მასწავლებელი. მოწაფეთა რიცხვი აღწევს 325-დე. არის თეატრიც, რომლის აშენებაზედაც გლეხებს დიდი გაჭირვება გადახდა. არავინ დამხმარე არ აღმოჩნდა. სამაზრო აღმასკომს ყურიც კი არ გაუბარტყუნებია. ქალთა შორის მუშაობა ძალიან მოიკოჭლებს თუმცა მთელს ჩვენ რაიონში არსებობს სამი ქალთა განყოფილება: ერთი ლაგოდეხში, ორი ატენის რაიონში, მაგრამ მათი მუშაობა ძალიან სუსტია. კომკავშირის მუშაობა ვერ სდგას თავის დანიშნულების სიმაღლეზე, მაგრამ არც იმის თქმა შეიძლება, რომ ის ძლიერ მოისუსტებდეს. სოფლის საბჭო კი საუკეთესოდ მუშაობს და მასასთან კარგი დამოკიდებულებაც აქვს. კოოპერატივიც კარგად მუშაობს, განსაკუთრებით რეორგანიზაციის შემდეგ. დღეს მას წევრებიც ბლომად ჰყავს. გლეხკომი დაარსდა 1923 წელში. თებერვალში თუ მარტში გამოტანილი დადგენილების თანახმად მთელი თემის გლეხკომები გაერთიანდა და მთელი ჩვენ გლეხკომების ქონებაც გადატანილი იქნა რაიონში. ადმინისტრაცია ვერ სდგას თავის სიმაღლეზე. მთელს თემში არის სამი საექიმო განყოფილება.

ამხ. კირვალიშვილი (რაჭიდან): რაჭის მაზრის სოფ. სორის უჯრედი არსებობს 1918 წ. იქ ითვლებოდა პარტიის 25 წევრი. ხოლო მას შემდეგ, რაც მიწის სიმცირის გამო ხალხი იძულებული იყო წასულიყო სხვადასხვა ადგილას სამუშაოდ, უჯრედში ირიცხება 12 ამხანაგი. ამ უჯრედში შედიან ღარიბი გლეხები. უჯრედსა და რაიკომს შორის კარგი დამოკიდებულებაა, რადგანაც რაიკომი იქვე არის. რაიკომი იმუშავებს უჯრედის მუშაობის გეგმას და უწევს მას ხელმძღვანელობას. რაიკომის მდივნების თათბირი ამ 6 თვის განმავლობაში არ მომხდარა, იყო მხოლოდ რაიონების უჯრედების საერთო კრება. სამაზრო პარტკომთან თითქმის არავითარი კავშირი არ არსებობს. უჯრედის შინა-პარტიული მდგომარეობა ასეთია: პოლიტიკური მეცადინეობა სწარმოებს სისტემატიურად, ყველამ იცის წერა-კითხვა. უჯრედის წევრები არიან კოოპერატივის წევრებიც. ისინი ჩაბმული არიან საბჭოთა აღმშენებლობის ყველა დარგში. ყველანი ასრულებენ თავიანთ დავალებებს. სკოლების მდგომარეობა ვერ არის კარგი. ჩვენს თემში არის ისეთი სოფლებიც, სადაც სკოლები არც კი არის. ქალთა შორის მუშაობა, რომ ვსთქვათ მართალი, ერთი თვის წინათ ჰგავდა რამეს, იყო მუშაობაც, მაგრამ როდესაც ორგანიზატორები მოგვიხსნეს, საქმე შეფერხდა. კომკავშირს ხელმძღვანელობას უწევს უჯრედი. მას ავტორიტეტი აქვს მოპოვებული გლეხების ფართო მასებში. ადგილობრივად არის კოოპერატივის განყოფილება, სადაც მუშაობს ორი ნოქარი, ჩვენი ამხანაგები, რომლებიც რიგიანად, თავაზიანათ ექცევიან ხალხს; ამასთანავე ყველა უჯრედის წევრები არიან და იმავე დროს კოოპერატივის წევრებიც. საერთოდ კი უნდა აღინიშნოს, რომ არ გავა ისეთი დღე, რომ ორი თუ სამი გლეხი არ მივიდეს და არ ჩაეწეროს კოოპერატივში. კოოპერატივის ერთი მთავარი ნაკლი იმაშია, რომ ის გლეხის ნამუშევარს არ იღებს. ჩვენში კომუნა არ არის, რადგანაც მიწის სიმცირეა. თუ რაიმეა გასაკეთებელი სოფლად, პარტიულები, ისე უპარტიო მასსაც ერთად გამოდიან და მუშაობენ. მაგალითად გზების გაკეთება და სხვა. სამეურნეო გადასახადის აკრეფის დროს შეცდომები იყო დაშვებული. საბჭოს მუშაობა საერთოდ მოისუსტებს. ვერც ჯანმრთელობის საქმე არის დაყენებული სასურველ ნიადაგზე. მართალია სოფლად გვყავს ფერშალი, მხოლოდ თუ გაიჭრი თითს და თან ბინტსაც მიუტან, შეგიხვევს, თუ არა და თვითონ მას არაფერი არა აქვს.

ამხ. ფრუიძე (ჭყვიმის უჯრედი) ჭყვიმის უჯრედი შესდგება ოცი წევრისაგან. რაიკომიდან მოდის წარმომადგენელი თვეში ერთხელ, ხოლო მაზრიდან კი ამ ხუთი თვის განმავლობაში არავინ მოსულა. უჯრედის სხდომები თვეში იმართება ერთხელ, ოქმები და ანგარიშები ეგზავნება რაიკომს. უჯრედის წევრთა პოლიტიკური განვითარების დონე დაბალია, მომზადებული პირები არა გვყავს. მუშაობა ახალგაზრდათა კომკავშირში კარგია. დისციპლინა მტკიცედ არის დაცული. ქალთა შორის მუშაობა სრულიად არ სწარმოებს. ამ ჟამად მართალია რაიონებში დაარსებულია ქალთა წრეები, მაგრამ რიცხვით ძალიან ცოტაა. უჯრედის ავტორიტეტი უპარტიო მასსაში კარგია. ხშირად იმართება უჯრედის ღია სხდომები, სადაც ესწრებიან უპარტიოებიც.

სკოლების მდგომარეობა ჩვენს სოფელში დღემდე ცუდი იყო. დღეს სამაზრო აღმასკომმა გაიღო თანხა, ვიშოვეთ ხე-ტყის მასალა და სკოლებიც შევაკეთეთ. სამეურნეო გადასახადის დროს ადგილი ჰქონდა უსწორმასწორობას. კოოპერატივი ჩვენს მაზრაში ახლად დაარსდა. რამდენიმე თემში არის კოოპერატივის განყოფილებებიც. წევრები ძალიან ცოტაა. საერთოდ კი უნდა ითქვას, რომ როგორც კოოპერატივი, ისე გლეხკომიც ვერ სდგას თავისი სიმაღლეზე. ტყის საკითხი გვარიანად არის მოგვარებული. რაიაღმასკომი ულარიბეს გლეხს აძლევს შეშას უფასოდ, დანარჩენებს კი ახდევინებს მანეთს ან მანეთ ნახევარს საჟენზე. მიწის რეფორმა კარგად ჩატარდა, თუმცა ზოგიერთ ადგილებში იყო შეცდომები, მაგრამ ისინი გამოსწორებულია.

ამხ. კაპანაძე: (ლასურიაშის უჯრედი, ლეჩხუმის მაზრა). ჩვენი უჯრედი აწარმოებს პოლიტიკურ მეცადინეობას. ვკითხულობთ წიგნებს, გაზეთებს, ჟურნალებს. გზებს. არხებს და სხვას ვაკეთებთ საერთო კრებაზე გამოტანილი დადგენილების შემდეგ. დისციპლინა წევრთა შორის კარგია. ჩვენი უჯრედის დამოკიდებულება გლეხებთან საუკეთესოა. გლეხკომში უპარტიონიც არიან.

ამხ. კახიანის მოხსენება

სოფლად მუშაობის მორიგი ამოცანების შესახებ

სოფელთან მეტი დაახლოვებისათვის

ამხანაგებო! ეს პირველი თათბირი სოფლის კომუჯრედებისა პირველი ცდაა იმისი, რომ გავიგოთ თუ როგორ არის დაყენებული ჩვენი მუშაობა სოფლად. აქ ჩვენ მოვისმინეთ სოფლის კომუჯრედების წარმომადგენლებისაგან 30-ზე მეტი მოხსენება სხვადასხვა მაზრებიდან და უნდა ითქვას, რომ ყველაფერი ის, რაც საჭიროა, არ იყო გადმოცემული. ზოგი კმაყოფილებით აღნიშნავდა, თითქო ყველაფერი რიგზეა, თითქოს მუშაობა კარგად მიდის და ჩვენი პარტიის ავტორიტეტიც უპარტიო მასების თვალში სოფლად დიდია. მაგრამ ეს არ არის სრული გამოხატულება ჩვენი სინამდვილისა. მოხსენებებიდან ირკვევა ისიც, რომ ბევრი ნაკლი, ბევრი შეცდომები არის ჩადენილი ჩვენს მუშაობაში სოფლად და სწორედ ამ საკითხებზედ მინდა შევჩერდე.

საკითხი იმის შესახებ თუ რა ამოცანები სდგას სოფლად მუშაობის დროს, არის საკითხი არა მარტო იმის შესახებ, თუ რა უნდა გავაკეთოთ ან როგორ უნდა ვიმუშაოთ სოფლად, არამედ ეს უდიდესი საკითხია იმის გამოსარკვევადაც, თუ როგორი იყო განწყობილება ორ კლასს შორის-მუშებსა და გლეხებს შორის.

დღეს პარტიის მიერ წამოყენებულია ლოზუნგი სოფელთან დაახლოვების, იქ მეურნეობის განვითარების და გაცხოველების შესახებ.

რით აიხსნება ეს?

რომ შევადაროთ დღევანდელი სოფლის მდგომარეობა იმასთან, რაც იყო ამ ორი-სამი წლის წინათ რუსეთში და აქაც დავინახავთ, რომ სოფელმა გაცილებით წინ წაიწია როგორც პოლიტიკური, ისე ეკონომიური მხრივ. სამხედრო კომუნიზმის პერიოდმა განვლო, როდესაც მუშა და გლეხი ერთად იბრძოდენ საერთო ფრონტზე საერთო მტრის წინააღმდეგ. ეხლა საკითხი სხვანაირად უნდა დაისვას. გლეხის პოლიტიკური ზრდა აყენებს მთელ რიგ მოთხოვნილებებისას.

აქ ბევრი ამხანაგები ხაზგასმით აღნიშნავდნენ იმას, რომ სოფლად დიდი ლტოლვაა პარტიისაკენ. ერთი ამხანაგი ქვემო-ჭალის რაიონიდან ამბობდა, რომ 700 კაცმა გვთხოვა პარტიაში შესვლაო. დღეს კომკავშირში 25.000, კომპარტიაში კი 15.000 წევრია. მაგრამ კომკავშირის კარები რომ უფრო გავაღოთ დარწმუნებული უნდა ვიყოთ, რომ მის წევრთა რაოდენობა 50.000 ავა.

ყველა ეს მოწმობს იმას, რომ გლეხობის შეგნება თანდათან იზრდება, რომ მას აქვს მოთხოვნილება ჩაებას პოლიტიკურ ცხოვრებაში.

ცხადია, ყოველივე ეს კარგია, თუ ჩვენ შევსძლებთ ხელმძღვანელობა გაუწიოთ მათ, თუ პროლეტარიატი გლეხობას ჩაუდგება სათავეში და მით ქალაქი დაუკავშირდება სოფელს. თუ ჩვენ ვერ გაუწიეთ გლეხობას ეს ხელმძღვანელობა, ვერ მივეცით სწორი მიმდინარეობა სოფელში დაწყებულ მოძრაობას, მაშინ ეს მოძრაობა წავა ჩვენს გარეშე და სწორედ ეს იქნება პოლიტიკური სიძნელე, რომელიც გაარღვევს კავშირს ქალაქის მუშის და გლეხის შორის.

ამხ. ლენინი ამბობდა, რომ თუ წარმოიშვა ამ ორი კლასის ურთიერთობაში რაიმე ცვლილება, მოხდა რაიმე დარღვევა, ეს იქნება დაღუპვა ჩვენი საბჭოთა სისტემისა და მაშინ ვერ განმტკიცდება პროლეტარიატის დიქტატურაც. აი ამ მხრივ პარტიის წინაშე სდგას უდიდესი ამოცანა, რომელიც ყოველ მიზეზის გარეშე უნდა ვსძლიოთ. ურთიერთობა მუშათა და გლეხთა შორის უნდა განვამტკიცოთ და გავაძლიეროთ.

თვით ის ფაქტი და გარემოება, რომ მენშევიკების ავანტიურისტული გამოსვლებში გლეხებმა მაინც აქა-იქ მიიღეს მონაწილეობა,—მოწმობს იმას, რომ გლეხობა არ ყოფილა სავსებით დაკავშირებული ჩვენთან, რომ ჩვენ ვერ შევამჩნიეთ მათში ის მიმდინარეობა, რომლის შესახებ ზემოდ აღვნიშნე. როდესაც რუსეთში ამბობენ იმის შესახებ, თუ როგორი კავშირი უნდა გვქონდეს ჩვენ გლეხობასთან, მათ მაგალითად მოყავთ საქართველო, მაგრამ არა დადებითად, არამედ ჩვენ შევიქენით უარყოფითი მაგალითი.

ეს კი გვიკარნახებს იმას, რომ არსებითად შევისწავლოთ ჩვენ ჩვენი ნაკლი და ყოველივე ეს მივიღოთ მხედველობაში. ჩვენ გვქონდა ამაზედ სჯა-ბაასი და ცეკას პლენუმის მიერ, რომელიც შესდგა ოქტომბერში და რომლის მთელი ყურადღება მიმართული იყო ამ საკითხისადმი, რომ სწორი შეფასება მიგვეცა ამ გამოსვლებისათვის—გამოტანილი იქნა სათანადო დადგენილებებიც. უკვე ორი-სამი თვის განმავლობაში ზოგი მიღებული დადგენილებანი კიდეც გავატარეთ ცხოვრებაში, ზოგი ისევ გასატარებელია. სწორედ აქეთკენ უნდა იყვეს წარმართული ჩვენი მუშაობა. და უპირველესად ყოვლისა ჩვენ უნდა გვაინტერესებდეს ჩვენი პარტიის მდგომარეობა.

კომუჯრედების მუშაობის ნაკლულოვანებანი

ჩვენ ვერ გავატარებთ ვერც ერთ დადგენილებას, თუ პარტიული უჯრედი არ არის სავსებით ჩამოყალიბებული, ვინაიდან ის არის ჩვენი პარტიული ხაზის გამტარებელი სოფლად. მაგრამ, როგორც დავინახეთ, მოხსენებებიდანაც აშკარა შეიქმნა ის, რომ ჩვენი უჯრედები ვერ სდგანან სასურველ ნიადაგზე. ისინი არ არიან ჩამოყალიბებული, ისე როგორც ეს საერთოდ საჭიროა სოფლად მუშაობის სისწორით წამართვისათვის.

ერთ-ერთ სხდომაზე სერგო ორჯონიკიძემ სთქვა, რომ ჩვენ სოფლად არ მოგვეპოვება ნამდვილი კომუჯრედები, რომლებიც აწარმოებდნენ მუშაობას იმ რიგად, როგორც ქალაქში. ეს უმთავრესი ნაკლია ჩვენს პარტიულ მუშაობაში და ამ მხრივ გვმართებს დიდი ენერგიულობა, რომ სათანადო დონეზე დავაყენოთ ეს კომუჯრედები.

ავიღოთ უჯრედების შემადგენლობა. აქ დავინახეთ ის, რომ შემადგენლობა ვერ არის კარგი. კომუჯრედებში არიან ისეთი ელემენტები, რომლებიც არ უნდა იყვნენ პარტიაში. მართალია ამ გამოსვლების დროს ზოგიერთი ამხანაგები იბრძოდენ როგორც ნამდვილი კომუნისტები, ნამდვილი რევოლიუციონერები, მაგრამ აქ იყვნენ ისეთი ელემენტებიც, რომლებიც ვერ იჩენდნენ გამბედაობას, რაც ასე საჭიროა კომუნისტისათვის. ცენტრალურმა კომიტეტმა გამოიტანა დადგენილება, რომ საჭიროა ასეთი ელემენტების განდევნა პარტიიდან და ის უპარტიო ხალხი კი, რომელმაც თავისი მოქმედებით გამოიჩინა აქტივობა, მივიღოთ პარტიაში.

ამასთანავე უნდა ითქვას ისიც, რომ ჩვენი უჯრედის წევრები სხდომებზე ხშირად არჩევენ თავიანთ საკუთარ, პირადი საქმეების, და მოშორებული არიან გლეხობისაგან და არა აქვთ ძაფი გაბმული უპარტიო მასსასთან. და თუ კომუნისტურ პარტიის არ ექნა ძაფი გაბმული უპარტიო მასსასთან, ჩვენი მუშაობა წინ ვერ წავა. ჩვენ უნდა მივაქციოთ ყურადღება არა მარტო შინაპარტიულ მუშაობას, არამედ უნდა ვიცოდეთ გლეხობის ჭირ-ვარამი, ის თუ რა ხდება გლეხობაში.

აქ ერთი ამხანაგი გამოვიდა და სთქვა: გლეხები ჩვენ არ გვეუბნებიან თავის გაჭირვებას, რადგან ეშინიან ჩვენი, ჩვენ გადავიკიდებთ თოფს და ისე დავდივართო. ეს მეტად დამახასიათებელი მოვლენაა იმის სათქმელად, რომ გლეხი არ გველაპარაკება იმას, რაც მას აწუხებს. ამის მაგალითები ჩვენს სინამდვილეში ბევრია. ზოგიერთები ამბობენ: გლეხები ჩვენთან მოსვლას ვერ ბედავენ როდესაც ვინმე კი ჩამოვა ცენტრიდან, იმას მიმართავენო. ეს უთუოდ არანორმალური მდგომარეობაა, ეს არის დაშორება ადგილობრივ კომუნისტების და უპარტიო მასსის.

მესამე ნაკლი ეს არის მიდგომა. ჩვენ არ ვიცით ის, თუ როგორი მიდგომაა საჭირო გლეხობისადმი. ამხანაგმა ლენინმა არა ერთხელ სთქვა: „როდესაც თქვენ მიდიხართ გლეხებთან უნდა იცოდეთ მიდგომა, უნდა იცოდეთ როგორ მიხვიდეთ, არ გაბედოთ მასზედ ბრძანება“-ო. ჩვენდა სამწუხაროდ ლენინის ამ ანდერძს ჩვენ ვერ ვანხორციელებთ. პირიქით, სოფელში ზოგიერთი კომუნისტი გამოვა თოფაკიდებული და დადის როგორც მბრძანებელი. თოფი კარგი საქმეა, თოფი უნდა ჰქონდეს ყოველივე კომუნისტს, მაგრამ არა იმისათვის, რომ მით გლეხი შეაშინოს. აი ეს ნაკლი უნდა გამოვასწოროთ თუ გვინდა პარტიული ორგანიზაცია დადგეს შესაფერ დონეზე.

ამისათვის კი აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს, რომ სამაზრო და სარაიონო კომიტეტებს თავიანთი უჯრედებთან ჰქონდეთ უშუალო და მჭიდრო კავშირი. ნუ თუ სამაზრო ცენტრს არ შეუძლია გაგზავნოს თავისი წარმომადგენელი და გაიგოს ის თუ რა ხდება უჯრედებში?

ამხანაგები აქ ამბობდნენ, რომ ცენტრებიდან ინსტრუქციებს და დირექტივებს ვღებულობდითო. მაგრამ მთავარი საკითხი აქ ცირკულიარების მიღებაში კი არ მდგომარეობს, არამედ მათი სისწორით გატარებაში. ამ მიზნისათვის საჭიროა რევიზია, საჭირო არის იმის გაგება, არის თუ არა ცხოვრებაში გატარებული ყველა ცირკულიარები ისე, როგორც ამას მოითხოვს ჩვენი პარტია.

როდესაც ჩვენ შევეკითხებოდით მაზრებს იმის შესახებ, თუ როგორია მდგომარეობა ადგილობრივად, გვეუბნებოდენ: „ყველაფერი რიგზეა, თუ გინდათ ჩამობრძანდით და ნახეთ“-ო. მაგრამ ჩვენ ხომ არ შეგვიძლია განდავიცვათ და ისე დავიაროთ მაზრები, რომ სავსებით და მთლიანად გავიცნოთ მდგომარეობა.

როდესაც კი მივდივართ მაზრაში გვაჩვენებენ მიტინგს, შეკრებენ ხალხს და გვეუბნებიან: „აი ყველაფერი ასე ხდება, გლეხები ჩვენთან არიანო, მაგრამ აგვისტოს ავანტიურამ ნათლად დაგვანახა ის, რომ ყველაფერი რიგზე არ ყოფილა, როგორც ეს ამხანაგებს [illegible] წარმოდგენილი. საჭიროა მეტი ხელმძღვანელობა გაუწიოს ცენტრმა კომუჯრედებს და მასთან დაამყაროს არა ფორმალური კავშირი, როგორც ეს დღემდე არსებობდა, რითაც ჩვენ შორს ვერ წავალთ, არამედ ნამდვილი კავშირი.

მოხსენებებში სიმართლე იყო აღნიშნული, რომ ხელმძღვანელი მუშაკები არ არიან უჯრედებში, რის გამოც მათი მუშაობა საგრძნობლათ მოისუსტებს. საჭიროა ხშირ-ხშირად იგზავნებოდეს ხოლმე ცენტრიდან მომზადებული ამხანაგები.

ოქტომბრის ცეკას პლენუმზე ჩვენ დავადგინეთ 200 ამხანაგი გადაგზავნილი იქნეს სხვადასხვა მაზრებში. 150-ზე მეტი კიდეც მიმაგრებულია პროვინციებში: ზოგი მობილიზაციით და ზოგიც ისე. მაგრამ ამით თქმა იმისა, რომ ასეთი გზით ადგილობრივი უჯრედების მუშაობა საბოლოოდ გამოჯანსაღდება შეუძლებელია, რადგანაც უმთავრესი აქ ის არის, რომ თვით გლეხობიდან აღიზარდონ მომზადებული მუშაკები“.

დამოკიდებულება უპარტიო გლეხობასთან

რაც შეეხება უპარტიოებთან კავშირს, უნდა ითქვას, რომ დღეს ერთ ძირითად დაკვრითი ამოცანად არის გამოცხადებული უპარტიო მასებთან დაახლოება.

მაგრამ როგორ და რომელი ორგანიზაცია დაგვაკავშირებს მათთან?

აქ განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს საბჭოებს, რომლებიც საუკეთესო გამოგონებაა რევოლიუციისა და რომლებიც უნდა გარდაიქცენ მუშის და გლეხის შორის კავშირის გამტარებლად.

გამოსვლებმა დაგვიმტკიცა, რომ ჩვენი საბჭოთა აპარატები სოფლად ვერ არიან კარგად დაყენებული და ამდენადვე სოფლის გლეხ-კაცობა დაშორებული ყოფილა პარტიასთან. ამას წინეთ ჩვენ გადავედით რაიონიზაციაზე. ამით გვეგონა, რომ უფრო დავუახლოვდებოდით გლეხობას, რომ ის მარტივ აპარატად გარდაიქცეოდა, მაგრამ გამოვიდა, რომ ჩვენ დავამახინჯეთ საბჭო და აპარატი იმ მხრივ, რომ სოფელში დავაარსეთ საბჭო ერთის მხრივ, როგორც დამაახლოვებელი და მეორეს მხრივ რაიონი, შუაში კი არაფერი დარჩა. თემები გავაუქმეთ. ამ სისტემის ნიადაგზე გლეხს სრულიად უბრალო მოწმობის მისაღებად სჭირდებოდა წასულიყო 20—30 ვერსის მანძილზე. ეს კი დაშორებაა და არა დაახლოვება.

რასაკვირველია, ეს იყო ჩვენი უდიდესი შეცდომა. ეს გულწრფელადაც უნდა ვაღიაროთ. ჩვენ, ბოლშევიკები სწორედ იმისათვის ვართ, რომ შეცდომების აღიარების არ გვეშინიან. და აი ჩვენ ვამბობთ: უმჯობესი იქნება გადავიდეთ ძველ თემურ სისტემაზე. ამ მიმართულებით უკვე სწარმოებს მუშაობა. ჩვენ საქართველოს საბჭოების ყრილობას მოვიწვევთ 25 თებერვალს. რაც შეეხება თვით აპარატის შემადგენლობას და საბჭოთა მომუშავეებს, ვტყვი, არ არის კარგი და სასურველი. მაგალითად გურიაში იყო ისეთი შემთხვევები, როდესაც აპარატებში მომუშავენი ვერ ეპყრობოდენ სოფლის გლეხკაცობას ისე, როგორც ეს წესი და რიგია. ესევე ითქმის ლეჩხუმის და სიღნაღის მაზრის შესახებაც. საჭირო არის დავაყენოთ საბჭოებში და ადგილობრივ ხელისუფლების სათავეში ისეთი ხალხი, რომელიც გაუძღვება ამ საქმეს. აგრეთვე თუ ჩვენ გვინდა უფრო მეტად დავუახლოვდეთ უპარტიო გლეხობას, საჭირო არის, რომ ისინი გავიყვანოთ საბჭოებში. ამ ახლო-მომავალში მოხდება საბჭოების არჩევნები და ყველანი დავინახავთ, თუ რამდენად გაატარებენ ამ დადგენილებას ცხოვრებაში. საბჭოებში უპარტიოთა გაყვანა არ ნიშნავს იმას, რომ ხელმძღვანელობა მათ აიღონ ხელში. პირიქით საბჭოებში უნდა იქნეს კომუნისტური ფრაქცია, რომელიც ხელმძღვანელობას გაუწევს მათ მუშაობას.

ამხ. სტალინი ერთ თავის მოხსენებაში ამბობს: ქალაქში იმით ვართ ძლიერი, რომ ჩვენს კომუჯრედებს აქ ყავთ თანამშრომლები უპარტიო მასაში, ამ უპარტიო აქტივის საშუალებით ჩვენი უჯრედები ატარებენ ცხოვრებაში ჩვენ დირექტივებს. სოფლად კი ეს არ არისო. და აი თუ ჩვენ გვინდა შევასრულოთ ჩვენი ამოცანა სოფლად დაახლოვების საქმეში, საჭიროა შევქმნათ კომუჯრედების გარშემო უპარტიო გლეხთა ახალი ფენები, რომლითაც ჩვენი პარტიული ორგანიზაციები შესძლებენ უფრო აქტიურად და ენერგიულად გაიჩაღონ მუშაობა. რა მოხდება თუ ჩვენ არჩევნების დროს ცენტრალურ აღმასკომში თითო მაზრიდან გავიყვანთ თითო უპარტიოს. ეხლანდელ აღმასკომში 95 წევრია და მათში მხოლოდ 1 უპარტიოა რატომ არ შეიძლება, რომ ისეთ გლეხურ ქვეყანაში, როგორიც არის საქართველო, ერთი სახალხო კომისარი იყოს უპარტიო გლეხი?

მაშასადამე, მაშინ შესაძლებელია გავატაროთ ყველა დადგენილებები ცხოვრებაში, როდესაც ერთის მხრივ უპარტიო მასსას ექნება ჩვენი ნდობა და მეორეს მხრივ ჩვენ ვენდობით უპარტიოებს.

კოოპერაცია

აქ ბევრი იყო ლაპარაკი კოოპერაციის შესახებ. ამბობდნენ კოოპერაცია მოიკოჭლებსო. ეს ოქტომბრის პლენუმმაც აღიარა.

ამხ. ლენინი თავისი უკანასკნელ წერილში სხვათა შორის სწერდა: „საუკეთესო ორგანიზაცია, რომლითაც ჩვენ უნდა წავიდეთ სოციალიზმისაკენ არის კოოპერაცია“-ო. გლეხობა მთლიანად უნდა იქნას ჩაბმული კოოპერაციაში. ამას გვაუწყებს ჩვენი დიდი მასწავლებელი ლენინი.

მაგრამ დღეს კი ჩვენს სინამდვილეში რას ვხედავთ?

ფორმალურად კოოპერაციას ჰყავს ბევრი წევრი, მაგრამ ისინი დაინტერესებული არ არიან კოოპერაციით, არ იხდიან საწევრო გადასახადს და ყოველივე ეს იმიტომ, რომ კოოპერაციამ ვერ შეასრულა თავისი დიდი ამოცანები. კოოპერაცია უფრო ძვირად ჰყიდის საქონელს, ვერ აკმაყოფილებს გლეხების მოთხოვნილებებს. არის ისეთი კოოპერატივები, რომლებიც კარგად მუშაობენ, მაგრამ საქმე იმაში როდია. ამხ. ლენინი ამბობდა: „თქვენ აგიტაციით ვერ მოხიბლავთ გლეხებს. გლეხები მაშინ შესაძლებელია დაირაზმოს კოოპერაციის გარშემო, როდესაც მათ ქალაქის ნაწარმოებს მიაწოდებთ იაფ ფასებში. გახდით წითელი ვაჭრები და მიაწოდეთ გლეხობის კარგი და იაფი საქონელი“-ო. მაგრამ კოოპერატივი დღეს უბრალო და მასთანვე უვარგისი დუქანია. კერძო ვაჭარი უფრო კარგად ვაჭრობს. კოოპერატივი უნდა იყოს გლეხობის გაჭირვების დამაკმაყოფილებელი, მაგრამ ეს მან ვერ შეასრულა. პარკის ოპერაცია სხვათაშორის ამის საუკეთესო საბუთია. გამოცხადდა პარკის მონოპოლია, წაიღეს პარკი, ხოლო ფული კი ვერ მისცეს, ზოგს დაუგვიანეს, ზოგს სულ არ მიაცეს, რაც თავისთავად ცხადია დიდ უკმაყოფილებას იწვევს გლეხებში. უკეთესი იქნება გლეხებმა პარკი მიყიდონ სხვა დაწესებულებებს და დროზედ მიიღონ ფული, ვინემ ცეკავშირმა აიღოს და ვერ მისცეს დროზე ფული უნდა იქნეს მოხსნილი მონოპოლია აგრეთვე მატყლზე და სხვა საგნებზე.

მაგრამ ამხანაგებო, კოოპერაციით ბევრს ვერ გავაკეთებთ, თუ უპირველეს ყოვლისა განსაკუთრებული ყურადღება არ მიექცა ჩვენი მრეწველობის განვითარების საქმეს. მრეწველობის აღორძინებაში აქტიურად უნდა ჩავაბათ გლეხების ფართე მასები. ამ მხრივ მიღებულია ზომები. ხდება ხე-ტყის დამუშავება, სადაც ჩაბმული იქნება 2 ათასამდე გლეხი. ქუთაისში გვაქვს ქარხანა, სადაც მუშაობს 100—120 კაცამდე. მაგრამ ეს წარმოება უნდა განვავითაროთ ისე, რომ იქ იმუშაოს 400 კაცმა. ბათომშიაც არის ქარხანა, სადაც მზადდება ყუთები. აქ ჩაბმულია [illegible] მომუშავე. ეს წარმოებაც უნდა განვავითაროთ. აი ამ გზით ამხანაგებო, გლეხს, როდესაც გამოსავალი არა აქვს და ის იძულებული ხდება დასტოვოს სოფელი და წავიდეს ქალაქში, ჩვენ ჩავაბამთ მათ წარმოების და მრეწველობის აღორძინებაში

ანტირელიგიური პროპაგანდა

ეხლა, რაც შეეხება ანტირელიგიურ პროპაგანდას, უნდა მოგახსენოთ, რომ საქართველოს გლეხობა არ არის ისეთი მორწმუნე, როგორც რუსეთის. ჯერ მაშინ, როდესაც ვატარებდით მიწის რეფორმას, გლეხები აღფრთოვანებით იღებდნენ დადგენილებას, რომ დაიკეტოს ეკლესიებიო. მაგრამ ამ მხრივ უნდა ითქვას, რომ ჩვენმა ამხანაგებმა გადააჭარბეს. და ეს იყო ჩვენი შეცდომა. ეხლა ჩვენ გვმართებს სავსებით და მთლიანად გავატაროთ პარტიის და ხელისუფლების უკანასკნელი დადგენილება ეკლესიების შესახებ. ადმინისტრაციული წესებით ბრძოლა სარწმუნოების და რელიგიის წინააღმდეგ ერთხელ და საბოლოოდ უნდა აღმოიფხვრას. დეე თავისთავად დაიხურონ ეკლესიები. როდესაც მორწმუნე გლეხებს მოუხდებათ ეკლესიების შეკეთება, მღვდლების შენახვა, თვითონვე იტყვიან უარს

საქართველოს სახალხო კომისართა საბჭო

ამით აცხადებს, რომ დეკემბრის 21-ს გარდაიცვალა ცნობილი რევოლუციონერი ანარქისტ-კომუნისტი

ამხ. კომანდო გოგელია

გამოსვენება მოხდება რესპუბლიკის მთავარ საავადმყოფოდან დღეს, დეკემბრის 25-ს დღის სამ საათზე. დაკრძალვა—ქართველ მოღვაწეთა პანთეონში.

ნ. 454 1—1

სასოფლო-სამეურნეო გადასახადი

სასოფლო-სამეურნეო გადასახადის საკითხის შესახებ ბევრი ამხანაგი შეჩერდა. მართალია, სასოფლო-სამეურნეო გადასახადი მიღებულია გლეხებისაგან, იმიტომ რომ გლეხმა კარგად იცის რომ ერთ-ერთი გადასახადი მან უნდა გადაიხადოს, მაგრამ ამავე დროს ეს გადასახადი არა თანასწორათ, არა შეფარდებულად არის გაწერილი და ამაშია შეცდომა. მოვიდა ის, რასაც აქ ამხანაგები აღნიშნავდნენ, რომ ზოგჯერ უფრო მდიდარს ნაკლები აქვს შეწერილი გადასახადი და ღარიბს კი მეტი. მიზეზი ამისა მდგომარეობს იმაში, რომ ამხანაგებს არ ჰქონდათ შესწავლილი და არ იცოდენ მდგომარეობა, ისე სწერდენ ბლანკებს.

ერთმა ამხანაგმა რაჭიდან სთქვა, რომ რაჭველმა გლეხმა არც კი იცის ის, თუ რას ნიშნავს დღიური და როდესაც მან განაცხადა, რომ მე ჩემს სამუშევარს უნდები 12 დღეო, ჩასწერეს, რომ მას 12 დღიური აქვსო და ამის მიხედვით შეაწერეს გადასახადი. ასე მუშაობა არ ვარგა. მაგრამ ასეთი მუშაობა ყოველ შემთხვევაში აიხსნება იმით, რომ ჩვენი საფინანსო აპარატი, ისე როგორც სხვა აპარატებიც მოწყობილი არიან ძველებურად: არა გვაქვს გათვალისწინებული და გაგებული ის, თუ ვინ სად უნდა გაიგზავნოს და გაგზავნილმა როგორ იმოქმედოს.

მაგრამ ამაში ამხანაგებო თქვენც მიგიძღვით ბრალი. თქვენ გქონდათ საშუალება, რომ თავის დროზე გაგესწორებინათ ეს შეცდომები, შეგეტანათ მაზრაში განცხადებები, მაზრა აცნობებდა ცენტრს და ამნაირად საქმეც გამოსწორდებოდა. მაგრამ ეს არ მოხდა და ახლა გამოსწორება ძნელია. შემდეგისათვის კი უნდა ვიქონიოთ ყოველივე ეს მხედველობაში და ვეცადოთ რომ გადასახადის გაწერა აღარ მოხდეს ისე, როგორც წელს.

თვითდაბეგვრის შესახებ

ჩვენ ვიცით აგრეთვე ისიც, რომ ამ გადასახადის გარდა სოფლად არსებობს კიდევ თვითდაბეგვრა. მაგრამ ვიცით ისიც, თუ როგორ ხდება ეს თვითდაბეგვრა. მაგალითად, ყველგან, სადაც კი არის უბრალო მდინარე ან და პატარა ღელე, ჩვენი ამხანაგები ცდილობენ დაარსონ ჰიდრო-ელექტრონული სადგურები. ეს ძალიან კარგი საქმეა, თვით ჩვენი ბელადი ლენინიც ამბობდა, რომ უნდა გადავიდეთ ელექტროფიკაციაზეო. მაგრამ ამავე დროს ჩვენ უნდა გაუწიოთ ანგარიში იმ მატერიალურ და ნივთიერ შესაძლებლობასაც, რომელიც გლეხს მოეპოვება.

მაგრამ როგორ ხდება ეს „ნებაყოფლობითი და თავისუფალი" თვით დაბეგვრა? როგორც კარგად მოგეხსენებათ, შეაგროვებენ გლეხებს, საბჭოს თავმჯდომარე აკეთებს მოხსენებას, შემდეგ შემოაქვთ წინადადება, კენჭს უყრიან, აწევენ ხელს და დაადგენენ, რომ უნდა იქნეს გადახდილი ესა და ესაო. ამის შემდეგ კი მოდის მილიციონერი და აკრეფს გადასახადს. ეს ნებაყოფლობითი კი არა იძულებითი გამოდის. ჩვენ ვიცით მაგალითი, რომ ზახმაროზე ჩამოსულებს ნება-ყოფლობით ბეგრავდნენ და სამ მანეთს ახდევინებდნენ კარგი ჰაერისათვის. იყო ისეთი შემთხვევებიც, როდესაც ოდესმე ჯერ ნებაყოფლობით დაბეგრეს და შემდეგ რაციონალიზაცია უქნეს. ეს არ ვარგა, ეს ყოვლად დაუშვებელი მოვლენაა და ცენტრალურმა კომიტეტმა ამის გამო კიდეც დაადგინა, რომ არ ხდებოდეს ასეთი თვითდაბეგვრა და თუ საჭირო იქნება ისიც სათანადო ნებართვით და არა ისე, როგორც ამას დღემდე ჰქონდა ადგილი.

ეხლა მინდა შევეხო დაზღვევას. ამ ბოლო დროს გამოირკვა ისიც, რომ ზოგიერთ პატარა დაბებსა და ქალაქებში, ხდებოდა სახლების დაზღვევა. ამ დაზღვევის შესახებ გლეხები ამბობდნენ: მე სახლი მეწვება, შენ რა გინდა, არ მინდა არც შენი გადასახადი და არც შენი დაზღვევაო. ამის გამო ჩვენ დავადგინეთ, რომ გოსსტრახმა, რომელიც ასე აშინებს სოფლელებს, შეაჩეროს თავისი მუშაობა, ვინაიდან ის იწვევს დიდ უკმაყოფილებას გლეხებს შორის.

განათლების საქმის სფეროში აქ ბევრი ითქვა. ამხანაგები ამბობდნენ, რომ სკოლები საშინელ მდგომარეობაში არიან, აუტანელია იქ ყოფნა, ბავშვები შიშველ-ტიტვლებია, არა აქვთ სახელმძღვანელოები და სხვა. ამას უნდა მიექცეს მთავარი ყურადღება. განათლების კომისარიატი უნდა მიუბრუნდეს სოფელს. არ არის საკმარისი ის, რომ მხოლოდ ქალაქად სწავლა-განათლების საქმე იყვეს კარგად დაყენებული.

ასევე ითქმის ჯანმრთელობის საქმის შესახებაც და საერთოდ სხვა კომისარიატებზედაც.

ამხანაგები თავიანთ მოხსენებებში ამბობდნენ, რომ ამდენი და ამდენი ქოხ-სამკითხველოები გავხსენით. ძალიან კარგი იქნებოდა ამხანაგები გამოვიდოდნენ აქ და ეთქვათ ამ დარგში თავიანთი მუშაობის შესახებ. ვინაიდან ქოხ-სამკითხველოებში არავინ არის წამკითხველი, არც გლეხები წავლენ სამკითხველოში და არ დაჯდებიან იქ.

შეფობა უმთავრესად არის შემოღებული თბილისში, მხოლოდ ნაკლებად არის მის გარდა. ჩვენი სურვილია, რომ როგორც თბილისი, ისე ბათუმი, სოხუმი, ქუთაისი და სხვები აიღებდნენ შეფობას ამა თუ იმ სოფლებზე და დაუკავშირდებოდენ გლეხკაცობას. მაგრამ ეს შეფობა არა ისე უნდა ხდებოდეს, როგორც აქამდე, რომ შეფი ორკესტრით მიადგებოდა სოფელს, ასტეხდა ხმაურობას და ეს ხმაურობა მეტი იყო, ვიდრე თვით მუშაობა.

აქ სთქვეს სოფელში არ არის კულაკებიო. მე მგონია ეს არ არის მართალი, ახალი ეკონომიური პოლიტიკის პირობებში ეს შეუძლებელი არის. სოფლებში ჩვენ ვამჩნევთ ერთის მხრივ კულაკებს, ხოლო მეორეს მხრივ ღარიბს გლეხობას, მოჯამაგირეებს. ამ შემთხვევაში ჩვენი პარტიული ორგანიზაციების პირდაპირ მოვალეობას შეადგენს ეს ღარიბი გლეხკაცობა შევაკავშიროთ ორგანიზაციულად და წავიყვანოთ შეძლებულ გლეხების წინააღმდეგ. ამ საქმეში დიდი როლი უნდა ითამაშონ აგრეთვე პროფკავშირებმა, რომლებმაც უნდა ჩაიბან ეს ღარიბი მასსა თავიანთ რიგებში.

მენშევიზმი

რაც შეეხება მენშევიკებს და ანტი-საბჭოთა ელემენტებს, მას შემდეგ რაც ისინი განადგურდნენ, ფერი იცვალეს და ეხლა უნდათ გამონახონ ისეთი გზა, რომ მოეწყუებით შეძვრენ ჩვენ საბჭოთა აპარატებში და იქიდან ლეგალურად დაიწყონ თავიანთი შავი ზრახვების სისრულეში მოყვანა. ამ მხრივ სამი სახის მენშევიზმი არსებობს ჩვენში: ერთი—ეს ძველი მებრძოლი მენშევიზმია ჟორდანია-რამიშვილის სახით, რომელთაც საზღვარ-გარეთ აქვთ ეგრედწოდებული საქართველოს მთავრობა და რომელთაც არ სჯერათ, რომ ეს აგვისტოს უკანასკნელი გამოსვლები იყო ავანტიურა. ისინი დგანან ძველს თვალსაზრისზე და ვისაც ულალატებს მათ და გადავა ჩვენს პლატფორმაზე გადმოსვლის მათ უმასპინძლდებიან თოფითა და რევოლვერით.

არის კიდევ მეორე სახის მენშევიზმი, პარიტეტული კომიტეტის მეთაურის ანდრონიკაშვილის და სხვების სახით, რომლებმაც დაინახეს, რომ მათ მიერ მოწყობილ გამოსვლებიდან არაფერი გამოვიდა, „ახალ გზას" დაადგნენ და ამბობენ: კარგია ძალიან საბჭოთა კონსტიტუცია, ჩვენ ვებრძვით მას, მხოლოდ მოგვეცით ლეგალურად მუშაობის უფლება.

ეს მენშევიზმი პირველზე უფრო საშიშია, ვინაიდან აშკარად მებრძოლი მენშევიზმი უკვე განადგურდა და ლეგალური მენშევიზმი კი შეეცდება ლეგალური გზით შეძვრეს ჩვენს საბჭოთა აპარატებში და აწარმოოს თავისი მუშაობა. ამისათვის საჭიროა ენერგიული ბრძოლა მათ წინააღმდეგ და ძირ-ფესვიანად აღმოფხვრათ ლეგალური მენშევიზმი.

მესამე სახის მენშევიზმი ეს არის დევდარიანიზმი. ეს საშუალო, მიკიბულ-მოკიბული გზაა, როგორც ვიცით დევდარიანი. ის როგორც ინტელიგენტი, არც პროლეტარიატის დიქტატურას სცნობს ახლა, არც მეორე ინტერნაციონალს ენდობა და არც მესამეს. მას უნდა ახალი გზა გამონახოს, რომ მოარიგოს კომუნისტები და მენშევიკები, შეათანხმოს ისინი კულტურულ და ეკონომიურ ფრონტზე. ვინაიდან არც [illegible] გზა არ არის მისაღები, ჩვენ უნდა ვებრძოლოთ არა მარტო არალეგალურს, არა მარტო ლეგალურს ანდრონიკაშვილის სახით, არამედ მენშევიზმს დევდარიანის სახითაც, ვინაიდან ის წარმოადგენს ერთგვარ გადახრას მენშევიზმისაკენ.

ამ ბრძოლის პროცესში ჩვენ უნდა გამოვიყენოთ ყოფილი მენშევიკებიც, რომლებმაც გულწრფელად დაანებეს თავი მენშევიკურ პარტიას და ებრძვიან მას.

ეხლა მე მინდა მივაქციო თქვენი ყურადღება ახალგაზრდა ლენინურ კომკავშირზედ. კომკავშირი აქტიური ელემენტია. ის მან დაამტკიცა მენშევიკური ავანტიურის დროს. საერთოდ კი ის კომუჯრედზე უკეთესი თუ არა, ნაკლები ყოველ შემთხვევაში არ არის.

და მე ვფიქრობ, რომ პარტიის გადიდება, მისი შევსება უნდა ხდებოდეს იმ ელემენტებიდან, რომლებიც ყავს კომკავშირს.

საქართველოს კომპარტია თავის რიგებში ითვლის 18 ათასს წევრს, იმ დროს, როდესაც კომკავშირი 25 ათასს, ეს იმიტომ, რომ კომკავშირის კარები უფრო ღია არის და ეს ასედაც უნდა იყვეს.

აქ ზოგიერთმა ამხანაგმა აღნიშნეს, რომ კომუჯრედები სათანადო ხელმძღვანელობას უწევენ კომკავშირს. ჩვენ უნდა ვიცოდეთ, რომ კომკავშირი არის ჩვენი მომავალი თაობა და აქეთ უნდა იქნეს ჩვენი ყურადღება.

მაშასადამე ჯერ პარტიული კომიტეტი, კომკავშირი, ქალთა შორის მუშაობა და შემდეგ შეუპოვრად დაახლოვება უპარტიო გლეხკაცობასთან, და თუ ჩვენ ამას განვახორციელებთ ეს იქნება ჩვენი ძვირფასი ბელადის ლენინის ანდერძის საუკეთესო შესრულება.

მეცნიერება და ტეხნიკა

ჭლექის წინააღმდეგ ბრძოლა

მეორე მეცნიერმა, კოპენჰაგენელმა ექიმმა სეკკერმა ექიმ მიულგორდის საშუალება სცადა ადამიანებზე.

ცხოველის ორგანიზმში სანაკრიზინი სულ სხვანაირად მოქმედობს ვიდრე ადამიანის ორგანიზმში.

ცხოველებზე ცდების დროს, მეცნიერებს საქმე ჰქონდათ მათ ხელოვნურად დაავადმყოფებასთან, ხელოვნურად დაავადმყოფებასთან ერთად იწყებოდა მათი მკურნალობა. ადამიანის მკურნალობის დროს კი ექიმებს უხდებათ ბრძოლა ხშირად ძველ ავადმყოფობასთან, რომელსაც მაგრათ აქვს გადგმული ფესვები ადამიანის მთელ ორგანიზმში.

სანაკრიზინით მკურნალობა დიდ სიფრთხილეს საჭიროებს. ამიტომ სეკკერი სანაკრიზინით ექიმობს ავადმყოფს მხოლოდ საავადმყოფოში, ვინაიდან დღე-და-ღამეში საჭიროა სიცხის 5—6-ჯერ გაზომვა. ავადმყოფს ერთი წუთითაც არ სტოვებენ უმეთვალყურეოდ.

დიდი კამათი გამოიწვია საკითხმა, თუ რა დოზა უნდა მიეცეს ავადმყოფს თითო მიღებაზე. ექიმი სეკკერი მომხრეა დიდი დოზების: უკეთესია მოკლა ავადმყოფობა ერთი დაკვრით,—ნელი და თანდათანობითი მკურნალობას შეუძლია გამოიწვიოს ცვლილებები ორგანიზმში.

მკურნალობა გრძელდება საშუალოდ 13 დღე.

ელექტრონის გავლენა თევზებზე

როცა თევზები ან ზღვის სხვა ცხოველები განიცდიან ელექტრონის ძალის გავლენას, ისინი დგებიან ელექტრონის ნაკადის მიმართულების პარალელურათ (თუ ნაკადი მუდმივია) ან პერპენდიკულიარულათ (თუ ნაკადი ცვალებადია) ეს მოვლენა დღემდი არ შეუმჩნევიათ. თუ ელექტრონის ნაკადის გავლენა ხანგრძლივი აღმოჩნდა, ცხოველებს თანდათანობით ძილი ეპარებათ. ელექტრონის ნაკადის დამაძინებელი გავლენა უფრო ძლიერია ბებერ და მსხვილ თევზებზე, ვიდრე პატარა და ახალგაზრდებზე.

ქრონიკა

— **25 და 26 დეკემბერს თბილისის პროლეტარიატი მუშაობს.** თბ. პროლეტარიატმა ერთხმად გადასწყვიტა 25 და 26 დეკემბერს იმუშაოს, სამაგიეროდ დაისვენოს 2 და 3 იანვარს.

— **კასრები.** სატყეო ტრესტის ფოთის რაიონმა გემ „ალიოშა ჯაფარიძე"-თი ნოვოროსიის ქარხანა „პროლეტარი"-ს დაკვეთის ანგარიშში გაუგზავნა 20 დეკემბერს პირველი პარტია კასრებისა—1000 ცალი.

— **საქართველოს ისტორიის და ეთნოგრაფიის საზოგადოებაში.** შაბათს, დეკემბრის 27-ს, საღამოს 7 საათზე, საქართველოს მუზეუმის აუდიტორიაში (კოლოუბნის ქუჩა, № 1) მოხდება საზოგადოების წევრთა ჩვეულებრივი კრება, რომელზედაც პროფ. ივ. ჯავახიშვილი წაიკითხავს მოხსენებას—„იაფეტური ენათმეცნიერება და ქართული ენათმეცნიერების ზოგიერთი ძირითადი საკითხები". კრებაზე დასწრება გარეშეთაც შეუძლიათ.

— **საქართ. ქიმიის მეგობართა** საზოგადოების პრეზიდიუმმა გადასწყვიტა თბილისში არსებულ ქიმიის შემსწავლელ უჯრედებიდან თითო წარმომადგენელი შეიყვანოს საბჭოში.

— **ქიმიის შესახებ** ახლო ხანში თბილისის ყველა უბნებში წაკითხული იქნება ლექციების მთელი რიგი.

— **კოოპერატიული ამშენებლობა.** საქ. სახ. კომ. საბჭომ დაამტკიცა მუშათა ბინების საამშენებლო კოოპერაციის დამხმარე კომიტეტის დებულების პროექტი.

— **სახალხო კომისართა საბჭომ** გადასწყვიტა სახ. გეგმათა სამმართველოსთან დაარსოს საბიუჯეტო-სახარჯთ-აღრიცხვო სექცია.

— **წითელი ჯვრის სასარგებლოდ.** საქ. სახ. კომისართა საბჭომ წინადადება მისცა სახ. თეატრების დირექციას და კინო-მრეწველობას წითელ-ჯვართან ერთად შემოიღოს ბილეთზე სამარკო გადასახადი წითელი ჯვარის სასარგებლოდ.

— **სახ. უნივერსიტეტის** ჰიგიენის კათედრის ასისტენტი ექიმი ბაქრაძის საზღვარ-გარედ სამეცნიერო მიზნით მივლინების გამო სახ. კომ. საბჭომ გადასდო 1000 მან.

— **წითელი-ჯვრის გადასახადებისაგან განთავისუფლება.** საქ. სახ. კომ. საბჭომ გადასწყვიტა შუამდგომლობა აღძრას ა.-კ. სახ. კომისართა საბჭოს წინაშე წითელი ჯვარის სამკურნალო დაწესებულებათა ყოველგვარ გადასახადისაგან განთავისუფლების შესახებ.

— **შეღავათი კოოპერატიულ წარმოებებს.** ქ. ალმასკომმა დაადგინა კოოპერატიულ წარმოებათა და სავაჭრო დაწესებულებისათვის შეღავათის მინიჭების საკითხის გამოსარკვევათ კომუნალურ და სხ. გადასახადებში შესდგეს განსაკუთრებული კომისია.

— **წითელ სასადილოებს** ქ. ალმასკომმა საიჯარო ქირა შეუმცირა 50 პროც.

— **ღამის გასათევი სახლი.** ქ. ალმასკომმა კომუნალურ განყოფილებას დაავალა დემობილიზაციით დათხოვნილ ჯარისკაცებისათვის მოაწყოს ღამის გასათევი სახლი.

— **საქართველოში.** ამ ჟამად არსებობს 7 სასოფლო სამეურნეო ტეხნიკუმი და 3 სასოფლო-სამეურნეო სკოლა.

— **მ.-გ. მილიციის** 24—25 წ. ხარჯთ-აღრიცხვა ქ. ალმასკომმა დაამტკიცა 569,282 მან. და 75 კ. რაოდენობით.

— **ქ. ალმასკომმა** შეადგინა კომისია ამხ. ბასილიას, მესხის და ვარძიელის შემადგენლობით სახალხო სასამართლოს დაწესებულებათა მოსამსახურეებისათვის ჯამაგირების მომატების საკითხის გამოსარკვევათ.

— **ტრამვაით მოგზაურობის ფასი** 1-ლ იანვრიდან გადიდებული იქნება 15 კაპიკამდე.

— **საბალოსნო სკოლა.** იანვრიდან მუშტაიდში გაიხსნება საბალოსნო სკოლა.

— **კოჯორის თემის** ყველა დაწესებულებები (გარდა ფოსტისა და მილიციისა) ქ. ალმასკომის დადგენილებით გადატანილი იქნა სოფ. წავკისში.

— **საცდელ-საჩვენებელი მინდვრები.** მიწად.-მოქ. სახ. კომ. განკარგულებაში ამ ჟამად იმყოფება 6 საცდელი და 61 საჩვენებელი მინდორი.

— **სვანეთში აფთიაქების** და წამლეულობის მიწოდების საქმის მოსაწესრიგებლად ჯანსახკომმა გაგზავნა თავისი წარმომადგენელი.

— **გინეკოლოგიურ ინსტიტუტთან** გაიხსნა რენტგენის კაბინეტი.

— **ტრამვაის** ვაგონების რიცხვი 1-ლი იანვრიდან გადიდებული იქნება 102-მდე. აქედან—65 მოტორიანი და 37 მისაბმელი.

— **1-ლი იანვრიდან** გაუქმებულია ტრამვაით სამგზავრო წლიური ბილეთები.

— **23-24 საანგარიშო წელში** საქართველოს მცხოვრებზე ყოველგვარ გადასახადიდან მოდის 3 მან. 12 კ.

— **მბეჭდავთა კრება.** დღეს, საღამოს 6 საათზე, პროფკავშირთა საბჭოს დიდ დარბაზში შესდგება პოლიგრაფიული წარმოების მუშა-მოსამსახურეთა საზოგადო კრება, რომელიც მოისმენს მოხსენებას სოციალური დაზღვევის საკითხების შესახებ.

— **სოციალურ უზრუნვ. კომისარიატში.** სოციალურ უზრუნ. სახალხო კომისარიატმა დაადგინა: შეწყვეტილ იქნეს იმპერიალისტურ ომში დასახიჩრებულთა და იმავე ომში დაღუპულ პირთა ოჯახების მხრივ განცხადებების მიღება სოციალურ უზრუნველყოფაზე აყვანის შესახებ.

— **შრომის ორგანოების ლიკვიდირება.** შრომის კომისარიატის მიერ ახლო ხანში ლიკვიდირებული იქნება აფხაზეთის, ფოთის და ბორჯომის შრომის ორგანოები.

— **ქ. ალმასკომმა** გადასწყვიტა საბჭოს სექციებში სამუშაოთ ჩაიბას დელეგატი ქალები.

— **ახალ დაბადებულთა** შესახებ სამოქალაქო აქტების ჩაწერ განყოფილებისათვის ცნობების დროზე მიუწოდებლობის შემთხვევაში, დამნაშავის პასუხისგებაში მისაცემათ საქ. ცაკმა სისხლის სამართლის კოდექსში შეიტანა ახალი მუხლი.

— **უმუშევართა სასარგებლოთ** თვიურის მოწყობა შრ. სახ. კომისარიატმა მიანდო ამხ. ამხ. ლეინს და ნკუშევს.

— **თამბაქოს დამზადება.** უმ. ეკ. საბჭოს მე-2 თამბაქოს ქარხანამ ნოემბერში დაამზადა 14,180 გირ. თამბაქო და 23,322 ათასი ცალი პაპიროსი.

შემთხვევები.

— **თავის მოკვლა.** 23 დეკმ. დღით 2 საათზე, აგურის ქ. № 12 [illegible] თოფით მოქ. ანნა ავეტისოვამ თავი მოიკლა. მიზეზი გამოურკვეველია.

— **ცეცხლი.** 23 დეკ. საღამოს ბებუთოვის ქ. № 66 ანდრო კრასტაევის სახლს გაუჩნდა ცეცხლი, რომელიც ჩაქრობილი იქნა ცეცხლის მქრობელ რაზმის მიერ.

— **საბეჭდი მანქანის მოპარვა.** 22 დეკ. ღამით პოლიტ-კატორღელების დაწესებულებიდან (ლენინის ქ. № 29) მოიპარეს ხელით საბეჭდი მანქანა.

— **შეპყრობა.** 22 დეკ. შეიპყრეს ანდრონიკ ოკანეზოვი, რომელსაც ბრალდება ბაბაევის ფართლეულობის სავაჭროდან (ქარვასლაში) 1 თოფი ბამბაზიის მოპარვა.

— ამავე დღეს შეიპყრეს პეტრე კობულოვი და ვასილ კობულოვი, რომელთაც ბრალდებათ მოქ. ლევან სუკიასოვისათვის ძილის დროს ჯიბიდან 56 მ. ამოცლა.

— **ქურდობა.** 23 დეკ. თამარის ქ. № 3 გაქურდეს მოქალ. სალომე არჩვაძის ბინა

— 23 დეკ. დღის 2 საათზე, კიროგოვის ქ. № 7 ოტვიო ფრიზურის ბინიდან მოიპარეს 150 მან ნივთები.

— იმავე სახლში ულმვის ბინიდან მოპარული იქნა 50 მან ნივთები.

— 23 დეკ. ღამით კრამის ქ № 39 ფანჯრის მინის გატეხვის საშუალებით გაქურდეს ალექ. კახიას ბინა, წაიღეს 288 მან.

— 23 დეკ. დილის 11 საათზე საპიროს ქ. № 42 გაქურდეს სამუელ თხორის ბინა, წაიღეს 100 მ. ნივთები.

— ამავე დღეს ტოლციის ქ. № 7 ფრანც დიასენგის ბინიდან მოიპარეს 35 მან. ნივთები.

ხელოვნება

— **ოპერა.** დღეს „კარნავალი" და „შოპენიანა" ხერგევის ხელმძღვანელობით.

რუსთაველის თეატრში. დღეს წარმოდგენილი იქნება „მათრახის პანაშვიდი".

— **ცირკი.** დღეს გაიმართება დუროვის მესამე გასტროლი.

— **პლეხანოვის თეატრში.** 27 დეკ. წარმოდგენილი იქნება ვ. გამყრელიძის რეჟისორობით ს. წერეთლის „ზღვის სიმღერა".

— **წითელ თეატრში.** პარასკევს, 26 დეკემბერს გაიმართება საღამო: „წითელი სარკე".

— **ქართველ მხატვართა** გამოფენა გადატანილია მუშათა ცენტრალურ კლუბში.

დღეს კინოებში

— **არფასტონ**—„გრაფ მონტე-კრისტო" 3 და 4 სერია.

— **ხილკი**—„სამი სიცოცხლე".

— **მინიონ**—„წითელი პარტიზანები".

— **აპოლო**—„ქალი გზაჯვარედინზე", მეორე სერია.

— **თვითმფრინავი** — „ავანტიურისტი ქალი მონტე-კარლოდან".

მიიღება 1925 წლისათვის ხელისმოწერა

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური და თბილისის კომიტეტის და სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის ორგანოზე

ყოველდღიურ დიდ პოლიტიკურ გაზეთ

„კომუნისტზე"

ხელის მომწერლებს, რომლებიც წინდაწინ შემოიტანებენ ხვედრ ფულს, დაურიგდებათ შემდეგი

უფასო დამატებები

1. „კომუნისტი"-ს ორკვირეული დამატება „ჩირაღდანი"—8-დან 12 გვ.
2. „კომუნისტი"-ს ორკვირეული დამატება „მეცნიერება და ტეხნიკა"—8-დან 12 გვ.
3. ფ. მახარაძის წიგნი: „მენშევიკური პარტიის დიქტატურა საქართველოში"
4. ფრ. ენგელსი: „კომუნიზმის პრინციპები"
5. ქ. ორაგველიძე: „რელიგია და მარქსიზმი"
6. მიხ. ადამაშვილი-ჯავახიშვილი: „კვაჭი კვაჭანტირაძე"

დამატებები შემდეგნაირათ იქნება განაწილებული:

ყველა (თვიურიდან დაწყებული) ხელის მომწერლებს მიეცემათ უფასოთ:

1. „ჩირაღდანი", 2. „მეცნიერება და ტეხნიკა"

ორივე გამოცემა დასურათებული იქნება.

გარდა ამისა

ექვსი თვით ხელის მომწერლებს, რომლებიც წინდაწინ შემოიტანებენ ხვედრ ფულს მიეცემათ:

1. ფ. მახარაძის წიგნი—„მენშევიკური პარტიის დიქტატურა საქართველოში"
2. ფ. ენგელსის წიგნი—„კომუნიზმის პრინციპები"
3. ქ. ორაგველიძის—„რელიგია და მარქსიზმი"

ერთი წლით ხელის მომწერლებს, რომლებიც წინდაწინ შემოიტანენ ხვედრ ფულს მიეცემა:

1. მიხ. ადამაშვილის-ჯავახიშვილის წიგნი „კვაჭი კვაჭანტირაძე"

გაზეთი ეღირება:

მუშა-მოსამსახურეებისათვის, წ.-არმიელების, მოსწავლე ახალგაზრდობისა და მასწავლებლებისათვის

გაგზავნით

1 თვით	75 კაპ.	4 თვით	2—85 კაპ.
2 "	1—45 "	5 "	3—55 "
3 "	2—15 "	6 "	4—25 "

ერთი წლით 8—50 კაპ.

ყველა დანარჩენებისათვის:

თბილისში მიტანით:		პროვინციაში გაგზავნით:	
1 თვით	1 მან.	1 თვით	1 მ. 20 კაპ.
2 "	1—95 კაპ.	2 "	2 მ. 35 "
3 "	2—90 "	3 "	3 მ. 50 "
4 "	3—85 "	4 "	4 მ. 65 "
5 "	4—80 "	5 "	5 მ. 80 "
6 "	5—76 "	6 "	6 მ. 95 "
1 წლით	11—50 "	1 წლით	13 მ. 85 "

საბჭოთა კავშირის სხვა კუთხეებში გაგზავნით 1 თვე 1 მან. 50 კაპ.
უცხოეთში — — — — — გაგზავნით 1 თვე 2 მან. 50 კაპ.

გაზეთი გამოვა 4-დან 6 გვერდამდე.

გაზეთს ჰყავს კორესპონდენტები ჩვენი ქვეყნის ყველა ქალაქებში და დაბებში. საკმაოთ ფართო ქსელი კორესპონდენტებისა მოეპოვება მას ჩვენს სოფლებში, მათი რიცხვი თანდათან იზრდება.

საკუთარი კორესპონდენტები: ბაქოში, ერევანში, კავკავში, მოსკოვში, ლენინგრადში, პარიზში, ლონდონში, ბერლინში, რომში

ვ. დუროვის გასტროლები თბილისში

ვლადიმერ ლეონიდის ძე დუროვს იცნობს მთელი დედამიწის ზურგზე.

გარდა იმისა, რომ ის მის ძმასთან ანატოლისთან ერთად მრავალი წლების განმავლობაში ითვლებოდა სახალხო ხუმარათ ცირკის არენაზე, სადაც გამახვილებული იუმორით და სატირით დასცინოდა ძველ, ძირმომპალ წესწყობილებას და მომავლის იმედს უნერგავდა ცირკის მუდმივ სტუმარს—დაბალ კლასს,—ვლადიმერ დუროვი ცნობილია მეცნიერთა წრეებშიც, როგორც ზოოლოგი და მეცნიერების ერთი დარგის—ზოოფსიქოლოგიის შემქმნელი და ფუძნებელი.

თითქმის ნახევარი საუკუნის განმავლობაში ის იშვიათი სიყვარულით, ხვევნა-ალერსით, მამობრივი ზრუნვით დასტრიალებს სხვადასხვაგვარ შინაურ და გარეულ ცხოველებს და თვალნათლივ ააშკარავებს მათ სულიერ ცხოვრებას.

ვლ. დუროვმა დაამტკიცა, რომ ფსიქიური მომენტები, რაც ჩვენ მარტო ადამიანის საკუთრება გვეგონა, ახასიათებს ცხოველებსაც.

მან ნათლად დაგვანახვა, რომ სიხარულის, დარდის გრძნობა და სულიერი განცდის სხვა მომენტები ისევე ძლიერია ცხოველებში, როგორც ადამიანში.

აქედან მან აუცილებელი დასკვნა გააკეთა და შექმნა უკვდავი თეორია ცხოველების მოშინაურება-გაწვრთნისა, რომლის სისწორე მან ბრწყინვალეთ დაამტკიცა თავისი პრაქტიკული მოღვაწეობით.

როგორც ცხოველების გამწვრთნელს, ვლ. დუროვს თანასწორი არ ჰყავს. მან სავსებით დაიმორჩილა ცხოველების აზრის საიდუმლოება.

მისი მიღწევების დასაფასებლათ ისიც კმარა, რომ მან ძაღლში მათემატიკური ნიჭი აღმოაჩინა და უენო ცხოველს ენაც კი ამოაღებინა.

და ამას მან მიაღწია არა შოლტით და მკაცრი ბრძანებებით, არამედ ტკბილი სიტყვით, მოფერებით, გიპნოზით.

ადამიანის ოთხფეხა მეგობრების რიცხვი დიდი არ არის. მაგრამ დუროვის მუშაობამ დაამტკიცა, რომ ეს რიცხვი შეიძლება უსაზღვროთ გადიდებული იქნეს.

ამას მოწმობენ ზღვის ლომები, იშვიათათ მოთვინიერებული და გაწვრთნილი იშვიათი ცხოველები, რომელთა თავისუფალი ჟონგლიობა ცირკის არენაზე გაკვირვებას და აღტაცებას იწვევს მაყურებლებში.

განსაკუთრებული ბედი ხვდა წილათ ვლადიმერ დუროვს. მან შესძლო ცხოველთა სულიერი სამყაროს დამორჩილება ადამიანისათვის და ამ უკანასკნელის ცოდნათა ჰორიზონტის გაფართოვება.

ამაშია მისი უდიდესი დამსახურება.

მისი პირველი გამოსვლის დღეს დუროვმა წაიკითხა მოკლე ლექცია მისი მეცნიერული ექსპერიმენტების შესახებ და საზოგადოებას აჩვენა ოთხნაირი ცხოველის ვარჯიშობა: ძაღლი, მაჩვი, დათვი და ზღვის ლომები (ტიულენი).

ძაღლი „მარსი" შესანიშნავია იმით, რომ მან იცის არითმეტიკული ამოცანების (მიმატება-გამოკლება) გამოყვანა. დუროვი ეუბნება მას ორ მისამატებელ და ერთმანეთისაგან გამოსაკლებ ციფრს და „მარსიც" ძირს გაშლილ ციფრებში მოძებნის სათანადო ჯამს.

შემდეგ დუროვი ამ ძაღლზე ახდენს გიპნოზის ცდას. რამოდენიმე წუთის განმავლობაში ჩააცქერდება მას თვალებში და მასში გამოიწვევს ძილის რეფლექს.

გიპნოზის საშუალებით დუროვი გადასცემს მას, რომ წადი ამა და ამ მიმართულებით და ერთ მაყურებელ პატარა ქალის (რომელიც წინასწარ გაფრთხილებულია ამის შესახებ) ლენტს შეეხეო.

ძაღლი მართლაც გაემართება იქით და ზედმიწევნით სწორათ შეასრულებს დუროვის მიერ ჩათქმულ დავალებას.

ძაღლი შეცვალა მაჩვმა. ის ასრულებს თავისი პატრონის ყოველგვარ ბრძანებას, რის შემდეგაც მასთან გაჩნდება ისევ „მარსი".

საუცხოვო სურათი იყო ძაღლის და მაჩვის ხვევნა-ალერსი, რაც ბუნებაში არასოდეს არ ხდება, რადგან ისინი შეურიგებელი მტრები არიან. ესეც საუკეთესო დამამტკიცებელია იმის, თუ რამდენათ ძლიერი შეიძლება იყოს ადამიანის გავლენა ცხოველებზე.

დათვიც ასრულებს მისი მოძღვრებისათვის მეტად ძნელ რამოდენიმე ნომერს: რეკავს ზარებს, ადის მაღალ კიბეზე და უკრავს ფორტეპიანოზე.

მაგრამ დუროვის ცხოველებში ყველაზე უფრო განსაცვიფრებელი და ღირსშესანიშნავია ზღვის ლომები (ტიულენები).

ისინი სამნი არიან: ერთი უზარმაზარი, შავი ბრჭყვიალა რეზინისებური კანით (მამალი) და ორიც ცოტათი მომცრო რუხი ფერის დედალი ტიულენები.

დუროვის მთელი ნიჭი სჩანს ამ მოუხეშავი ცხოველების გაწვრთნა გავარჯიშებაში. მისი ბრძანების თანახმად მამალი ტიულენი „პაშა" იძახის „მა-მა" (დედა). ამას გარდა მათ იციან სალამის მიცემა, თათის გაწოდება, ტაშის დაკვრა და სხვადასხვაგვარი ვარჯიშობა. ათამაშებენ ბურთებს და იციან მუსიკალურ ინსტრუმენტებზე დაკვრაც: ერთი „ტრუბაში" უბერავს, მეორე ბარაბანს ურტყამს, მესამე კი ავტომობილის „გუდოკს" დასძახებს.

მაგრამ ყველაზე უფრო საყურადღებოა ის, როდესაც „პაშა" ლოცვას კითხულობს და ხმით მიბაძავს დიაკონს. ეს სცენა დაუსრულებელ სიცილს იწვევს.

პირდაპირ გიკვირს, რამდენი შრომა, ენერგია, მოთმინება და ნერვები უნდა დაეხარჯა დუროვს, რომ ასე გაევარჯიშებია ეს მოუდრეკელი ცხოველები.

ჭეშმარიტათ დიდბუნებოვანი ადამიანი უნდა იყოს, რომ მთელი სიცოცხლე გარეულ ცხოველების გაწვრთნას შეალიოს.

ბ.

კინო

„წითელი პარტიზანები"

(„სევზაპკინო"-ს სურათი)

„წითელი პარტიზანები" სამოქალაქო ომის ეპოქას გვიხატავს.

ფილმას სარჩულათ უდევს განვლილი ბრძოლის ერთი ეპიზოდი: ციმბირის გლეხობის წითელი არმიის ბრძოლა „რუსეთის დროებითი უმაღლესი მმართველის"—ადმირალ კოლჩაკის წინააღმდეგ.

სურათი მოფიქრებით და დადგმით გრანდიოზულია.

ის მთლიან სურათს იძლევა იმ უდიდესი ბრძოლისას, რომელსაც აწარმოებდა რუსეთის მუშათა კლასი და გლეხობა შინაური კონტრ-რევოლუციის წინააღმდეგ.

იდეოლოგიურად „წითელი პარტიზანები" გამართლებული სურათია თავიდან ბოლომდი აქ არ არის ცალკე მომქმედი პირები, მოძრაობს და იბრძვის მთელი მასა.

ამიტომ სურათი რევოლუციონურ აღტკინებას იწვევს მაყურებლებში, რომელიც გატაცებით ადევნება თვალყურს მოქმედების განვითარებას და სურათის პერსონაჟების გმირულ ბრძოლას.

„წითელი პარტიზანები" ისტორიულ სინამდვილესთან შეფარდებით არის დადგმული. საუცხოვოთ არის გადმოცემული მასიური სცენები (მაგალითად მუშების მიტინგი, სოფლის კრება, პარტიზანების ბრძოლა, წითელი არმიის და კოლჩაკის ჯარების შეტაკება და სხვა).

ლამაზია ოპერატორ ვერიგო-დოროვსკის ფოტოგრაფიები (ყუმბარების აფეთქება, წითელი ჯარის გადასვლა მდინარეზე და ომის ყველა სცენები).

შესრულების შესახებ უნდა ითქვას, რომ ყველა მსახიობები ღირსეულად ასრულებენ მათზე დაკისრებულ მოვალეობას. აქ ისევ აღსანიშნავია მუშების და გლეხების გამომეტყველი სახეები მასიურ სცენებში.

ყველა ამ ღირსებებთან ერთად სურათს აქვს უმნიშვნელო ნაკლიც.

უპირველეს ყოვლისა, აღსანიშნავია ის, რომ სცენარი სუსტია დრამატიული კვანძის მხრივ ცოტაა ფსიქოლოგიური მომენტები და გმირების განცდა. სურათს ეჩნევა გაჭიანურება. ხშირათ მეორდება ერთი და იგივე სცენები (ბრძოლა, ყუმბარების აფეთქება).

ამას გარდა სურათში ბევრია დაუმუშავებელი და პირდაპირ ყალბი ადგილები (ხელჩართული ბრძოლა სანგრებში, სადაც უიარაღო ქალები იარაღს აგროვებენ კოლჩაკელებს, მუშა ტოკარევს მიერ მის მოსაკლავად გამოგზავნილ თეთრგვარდიელის კალთაში და შემდეგ ბოჭკაში ჩასმა და მერე ბოჭკის ბაქანიდან გადაგდება—ეს უცნაური „ტრიუკი" (აქ არის „წითელი ეშმაკუნების" ერთგვარი გავლენა), რომელსაც „მარილი" აკლია, იარაღით დატვირთულ მატარებლის გაჩერება და იარაღის დატაცება და სხვ.).

ყველა ამ დეფექტების გამოკლებით სურათი მთლიან შთაბეჭდილებას სტოვებს და ის საბჭოთა კინემატოგრაფიულ უდიდეს მიღწევათ უნდა ჩაითვალოს „წითელი ეშმაკუნების" შემდეგ.

ბ.

ფიზიკური კულტურა

ფიზკულტურის პროპაგანდა

ფ. კ. უ. საბჭოსთან დაარსდა სააგიტაციო-საპროპაგანდო სექცია, რომელმაც ფიზკულტურის პროპაგანდა უნდა აწარმოოს რესპუბლიკანური მასშტაბით. სექცია შეუდგა ფიზიკური კულტურის აგიტატორების აღრიცხვას საქართველოში და პროპაგანდისტების კოლეგიის შექმნას, მათი ადგილებზე დაგზავნის მიზნით. სექციასთან დაარსებულია საინფორმაციო განყოფილება, რომელმაც უნდა შეამუშავოს თეზისები ფიზკულტურისთვის. გამოყოფილია სალიტერატურო-სააგიტაციო სექცია, რომელმაც ფიზიკური კულტურის მხატვრული აგიტაცია და პროპაგანდა უნდა აწარმოოს. სექცია გამართავს საჩვენებელ საღამოებს, წარმოდგენებს და სხვა.

ფიზკულტურის კორესპონდენტები

ფ. კ. უ. ს. შეუდგა ფიზკულტურის კორესპონდენტების ქსელის მოწყობას მთელს საქართველოში. პირველ რიგში განზრახულია ფიზიკური კულტურის აქტიური მუშაკების მიმაგრება ადგილობრივი გაზეთების რედაქციებთან.

ფეხბურთელთა შეჯიბრება

კვირას, 21 დეკემბერს, ლენინის სახელობის სტადიონზე გაიმართა თბილისის ფეხბურთელთა გუნდის და სახელმწიფო უნივერსიტეტის პირველი გუნდის შეჯიბრება.

შეჯიბრებამ არ წარმოადგინა დიდი ინტერესი, რადგან ქარისა და სიცივის გამო ორივე მხარე უხალისოთ თამაშობდა.

შეჯიბრება გათავდა 4:1—სახელმწიფო უნივერსიტეტის პირველი გუნდის სასარგებლოთ.

მუშათა ცხოვრება

მიაქციეთ ყურადღება მუშებს

(მელითონეთა კავშირის საყურადღებოდ).

სალითონო განყოფილებაში შემავალი ქარხნების მუშები ამჟამად ძალზე კრიტიკულ მდგომარეობაში იმყოფებიან. ზოგიერთ მათგანს ჯერ კიდევ ნოემბრის თვის ჯამაგირიც ვერ მიუღია, რის გამოც ცოლშვილიანი მუშები გამოუვალ მდგომარეობაში არიან ჩაცვივნული; რვა საათის მუშაობის შემდეგ სახლში წასულ დაღლილ მუშას უხდება იფიქროს პურის შოვნაზე, რისთვისაც იძულებულია ოჯახიდან რაიმე გაიტანოს ბაზარზე, გაჰყიდოს და ასე ასაზრდოვოს ცოლშვილი.

თვით სპილენძის სატკეც ქარხანაშიც მუშებს არ მიუღიათ სპეცტანისამოსი ჯერ კიდევ, თუ ვისმე ერგება სპეცტანისამოსი, მაშინ პირველ რიგში ამ წარმოების მუშებს უნდა ეძლეოდეს იგი. იმდენად მძიმეა და აუტანელი ეს წარმოება, რომ ტანისამოსს კი არა, თვით ადამიანის ორგანიზმზე ახდენს საგრძნობ გავლენას.

აქ კიდევ ერთ გარემოებას უნდა მივაქციოთ ყურადღება, რომელიც არ ეპატიება სალითონო განყოფილებას. იგი ჯერ კიდევ ენკენისთვეში შეჰპირდა მუშებს, რომ „ზამთარში მიიღებთ შეშას“-ო. აგერ მას შემდეგ ოთხი თვე გადის, ზამთარი დადგა და ყინვები დაიწყო მუშებს კი შეშა არ აქვთ, რომ ბინები გაითბონ.

მუშკორი ტონკა.

ის ქუჩა რაღად დაივიწყეთ

(აღმასკომის საყურადღებოდ)

თელავის ქ. (მე-6 სამილ. უბანი) მეტის-მეტად დაზიანებული არის, საიდაც ძნელდება გავლა ხალხს, ეტლსაც და სხვ. საჭიროა ამ ქუჩის შეკეთება. აღმასკომო, აუსრულე მუშათა უბანს მოთხოვნილება.

მუშკორი ბეგიაშვილი

თავგასული სახლის პატრონი

(აღმასკომის საყურადღებოდ)

რუსთაველის ქუჩაზე № 18 სახლის პატრონი მოქ. შეოეზედაშვილი მეტის-მეტად საზიზღრად ეპყრობა თავის მდგმურებს. მის სახლში ერთი პატარა ოთახი დაქირავებული აქვს რკ. გზ. მოსამსახურეს დ. მოდრეკილიძეს. შეოეზედაშვილი ცდილობს ცუდი მოპყრობით და ლანძღვა-გინებით გააძევოს მოდრეკილიძე თავის სახლიდან. ბოლოს იქამდისაც მივიდა, რომ ოთახს სახურავი ააცალა. აღაგზნეთ ალვირახსნილი სახლის პატრონი.

მუშკორი კ—უხი.

კლუბში ასეთ უწესრიგობას ადგილი არ უნდა ჰქონდეს

ნოემბრის 15-ს ლადო სუხიშვილის სახელობის კლუბში გაიმართა საიუბილეო საღამო მოცეკვავე ი. სუხიშვილისა ხალხი ბევრი დაესწრო, მაგრამ უწესრიგობისა გამო უკმაყოფილო დაიშალა.

სასურველია მიექცეს ყურადღება ახალგაზრდათა ერთ ჯგუფს რომელიც სცდილობს ყოველთვის უწესრიგობა შეიტანოს საზოგადოებაში.

ინფ. შ. კ.

აღმასკომო, გვიქენით სიკეთე

ამას წინად „კომუნისტში“ მოხსენებული გვქონდა, რომ კარუსელის დაღმართზე სახლებში №№ 18 და 20-ში ელექტრონი გაიყვანეს, მაგრამ არ ანთებენო. ამ შენიშვნამ ჩინებურად იმოქმედა მოქალაქე კალანდაძეზე, რომელიც განაგებს ცეკავშირის ძეხვის ქარხანას, № 18 სახლში და იმ დღეს აქეთ განათდა სახლის წინ, ხოლო სახლი № 20 და 35 (მოქ. მაღალანცისა) ჯერაც არ განათებულა. რა მიზეზია, რომ ერთი თვის წინედ გაყვანილი ელექტრონი დღესაც არ ანთებს და სიბნელით არის მოცული აქაურობა. ვინ მიაქცევს ამას ყურადღებას?

გარდა ამისა, კარგი იქნება სხვა სახლებსაც მიექცეს ყურადღება და განათდებოდეს, როგორც კარუსელის დაღმართზე, ისე რაკეტის ქუჩის დასაწყისში.

აქ ერთ ადგილას ქვაფენილიც აყრილია და დაღრო-ჩოღრებული;

აქაური მეთვალყურე

მოგვაცილეთ ლოთები

(ქუთაისის პროფბიუროს საყურადღებოდ).

ქუთაისის პროფბიუროსთან არსებობს მუშა-მომღერალთა გუნდი და დრამატიული წრე, რასაც საკმაო ენერგიით ხელმძღვანელობენ ამხ. ბოჭორიშვილი და შარაბიძე, მაგრამ სამწუხაროდ, წრის მუშაობას ხელს უშლის ორი-სამი ამხანაგი, რომელნიც შეპყრობილი არიან ლოთობით. ამ ვაჟბატონების წყალობით ხშირად გადადებულა წარმოდგენა, რეპეტიციებზეც მთვრალები მოდიან. ნუ თუ არ შეიძლება ამ ალკოჰოლიკების მოშორება?

მუშკორი თხიზურგელი.

არა გვაქვს კლუბი

(ჩვენი ქუთაისელ მუშკორისაგან)

ქუთაისის საქსოვ ქარხანაში მუშაობს ასზე მეტი მუშა. მუშებს შორის კულტმუშაობას ვერ ექცევა სათანადო ყურადღება. არა გვაქვს კლუბი, რის გამო შეკრება გვიხდება ადგილკომში, რაც დიდ უხერხულობას იწვევს. ამ საქმის მოსაგვარებლად კარგა ხანია არჩეულია კომისია, მაგრამ მათ მუშაობის შესახებ ჯერ არაფერი ისმის, კულტმუშაობა საზოგადოდ მოისუსტებს. ერთხან გვეძლეოდა უფასო თეატრის ბილეთები, ეხლა კი აღარც ეს ხდება.

საჭიროა აგრეთვე მოგვეცეს საშვალება ვიხილოთ ჩვენი სახელმწიფოს კინომრეწველობის ნაწარმოები სურათები.

მუშკორი ზურგელი.

სხვა და სხვა

(რკინისგზელთა ცხოვრებიდან)

— **კლუბების რაოდენობა.** რკინის გზებზე ა.—კ. რკინის გზ. პროფკავშირის ცნობით მთელ ა. | კ. რკ. გზაზე არსებობს 26 რკ. გზ. კლუბი.

— **პროფწრეთა მუშაობის გეგმა.** ა. | კ. რკ. გზ. პროფკავშირის საორგ.—საგანმანათლებლო განყოფილება ამუშავებს პროფწრეების მუშაობის გეგმას, რომელიც დაეგზავნება წრეების ხელმძღვანელებს.

— **საქართველოს ხაზზე.** რკ. გზ. სანგანათლების ვაგონი მუზეუმი ამჟამად მუშაობს დასავ. საქართველოს რკ. გზ. ხაზზე.

— **სკოლების შეკეთება.** ახლო ხანში სალიანდაგო სამახ. შეუდგება თბ. რკ. გზ. მე-10 და 1-ლი სკოლების შეკეთებას.

— **მადლობის გამოცხადება.** რკ. გზ. სანკომისიამ მადლობა გამოუცხადა გზის ოსტატს კასტროვიჩს, ერთგული სანიტარული მუშაობისათვის.

— **ინვალიდების შემოწმება.** ა | კ. რკ. გზ. დამზღ. სალარო ჩაატარებს ინვალიდების შემოწმებას.

— **დახმარების გაცემა.** ა | კ. რკ. გზ. დამზღ. სალაროს განკარგულებით ყოველიდე დახმარების გაცემა დაზღვეულებზე იწარმოებს ყოველდღე 12—5 საათამდე

— **სასურსათო და სამგზავრო ბილეთები.** ა. | კ. რკ. გზ. დამზღ. სალარომ სთხოვა ა. | კ. რკ. გზ სამმართველოს, რათა მომავალ წლისათვის რკ. გზ. ინვალიდებს დაურიგდეთ სასურსათო და სამგზავრო ბილეთები.

ინფ. ა—ძე.

სიმართლეს სწერენ-ჩვენი მუშები

(გამოხმაურება მუშათა წერილებზე).

— ა. წ. 29 ნოემბრის თარიღით № 273, გაზ. „კომუნისტ“-ში მოთავსებულ წერილის შესახებ სათაურით: „უბინაოთ დავიტანჯეთ“, საიდანაც სჩანს, რომ მოსკოვის ქუჩაზე ვილაც სპეკულიანტს უჭირავს ორი ოთახი და სამ თვეში ერთხელ გამოცხადდება ისიც სასპეკულიანტო ნივთების წასაღებათ ანდა მოსატანათ, გაცნობებთ, რომ როგორც ვამოირკვა; ამაზედ მომხდარ კვლევა-ძიების საშვალებით, წერილი სრულიად სიმართლეს შეეფერება, რაზედაც მთელი მასალა გამოკვლევით გადაეგზავნა აღმასკომის უქსს განკარგულებისთვის.

— „კომუნისტი“-ს მე-№ 272-ში მოთავსებულ წერილის შესახებ სათაურით, „ალაგმეთ სახლის თავხედი პატრონი“, საიდანაც სჩანს, რომ სახლის პატრონი მოქ. ჩიკოვანი და უკვეულავა უდიერათ და ლანძღვა-გინებით ეპყრობიან თავის მდგმურებს და უკიდურეს შემთხვევაში კი ცემითაც უმასპინძლდებიან, გაცნობებთ, რომ როგორც გამოირკვა, ამაზე მომხდარ კვლევა-ძიების საშუალებით, წერილი სიამდვილეს შეეფერება რაზედაც მთელი მასალა გადაეგზავნა აღმოსავლ. საქ. ოლქის პროკურორს ა | წ. 23 დეკემბრის თარიღით № 1628 განკარგულებისათვის.

— „კომუნისტ“-ის მე-№ 277-ში მოთავსებულ წერილის შესახებ, სათაურით „მოგვაშორეთ ექიმბაშები“, რომლის მიხედვით ენუქიძის სახლში მცხოვრებ ვინმე რევისას ბრალდებოდა ორსულ ქალების ხელოვნურად მუცლის წახდენა, რასაც არა ერთი ათეთები წუთისოფლისთვის გამოუსალმებია, გაცნობებთ, რომ, როგორც ამას კვლევა ძიება აშკარავებს, მიღებულია გადამჭრელი ზომები საერთო ამგვარი მოვლენების აღმოსაფხვრელად. ამჟამად თვით რევისა ამოწერილია საბინაო დავთრიდან და ქალაქ ქუთაისში წასული.

— „კომუნისტის“ № 209-ში მოთავსებულ წერილის შესახებ სათაურით „საჭიროა ზომების მიღება“ რომლის მიხედვით კინო-თეატრებთან და კლუბებთან მცირეწლოვანი ბავშვები ტრიალებდნენ და ზნეობრივათ იხრწნებიან, გაცნობებთ, რომ როგორც მე 9 სამილიციო რაიონის უფროსის მოხსენებიდან სჩანს, მიღებულია გადამჭრელი ზომები ზემოაღნიშნულ მოვლენის აღმოსაფხვრელად.

მილიციის უფროსი.

წერილები პროვინციიდან

მასწავლებელთა კონფერენცია დუშეთის მაზრაში

ა | წ. 10 დეკემბერს ქ. დუშეთში მასწავლებელთა სამაზრო კონფერენცია გახსნა დუშეთის მაზრის განათლების მუშაკთა კავშირის პ | გ. მდივანმა ამხ. ბეჟია ჟღენტმა. რომელიც მიესალმა კონფერენციას. განათ. მუშაკთა სახელით.

კონფერენციას მიესალმა სამაზრო პარტკომის მდივანი ამხ. ალ. აზრუმელაშვილი. პრეზიდიუმის არჩევის შემდეგ საპატიო თავმჯდომარეთ არჩეული იქნა: **ლუნაჩარსკი, კანდელაკი, ორახელაშვილი, შავერდოვა, მახარაძე, ცხაკაია, ორჯონიკიძე და ი. ბრევაძე.**

დღის წესრიგში იყო შემდეგი კითხვები: 1) საბჭოთა აღმშენებლობის მიღწევანი და საბჭოთა აღმშენებლობის მორიგი ამოცანები, 2) განათლების ამოცანები საბჭოთა სისტემაში. 3) სკოლების მდგომარეობა მაზრაში და მოხსენება ადგილებიდან, 4) მასწავლებლობა და მე-13 პარტიის ყრილობა, 5) მასწავლებლობა და ახკომკავშირი, 6) გლეხთა კომიტეტები და მასწავლებლობა, 7) მასწავლებლები და პროფკავშირი და 9) მიმდინარე კითხვები.

პირველ საკითხზე მოხსენება გააკეთა მაზრაღმასკომის თავმჯდომარემ **ამხ. იოსებ ბრევაძემ.**

მეორე საკითხზე მოხსენება გააკეთა ამხ. ფიცხელაურმა. თანამომხსენებლათ გამოვიდა პოლიტგანის გამგე ამხ. ან. შადური, რომელმაც აღნიშნა სალიკვიდაციო სკოლების ზრდა და მოკლეთ შეეხო მუშაობას პოლიტგანათლების დარგში.

შემდეგ მოსმენილ იქნა მოხსენებები ადგილებიდან.

მოხსენებების შემდეგ არჩეული იქნა სამი მასწავლებელი ყრილობაზე გასაგზავნათ. სამაზრო კონფერენციამ უარყო თებერვლის არდადეგები და დაავალა დელეგატებს საქართველოს კონფერენციაზე მხარი დაუჭირონ თებერვლის არდადეგების უარყოფას და მიღებული იქნას არდადეგების დროთ 15 დღე დეკემბერი და 15 დღე აპრილში.

კონფერენციამ მისასალმებელი დეპეშა გაუგზავნა განათლების კომისარიატს, საქართველოს კომპარტიის ცეკას, კომკავშირის ცეკას და განათლების მუშაკთა ცენტრალურ გამგეობას.

კონფერენცია დაიხურა 11 დეკემბერს.

გრ. ნ.

სვირის რაიონის ფოსტა-ტელეგრაფის დაწესებულება.

სვირის რაიონში 1922 წ. არსებობს ფოსტა-ტელეგრაფის დაწესებულება, მაგრამ დაწესებულებაში ჩადის წვიმა, ფანჯრები დანგრეულია და ისე გავა დღე, თვე და წელიწადი, რომ ფოსტა-ტელეგრაფის თანამშრომლები ცეცხლის სინათლეს ვერ დაინახავენ თავიანთ სადგომში, რაც დიდათ აფერხებს მუშაობას.

საჭიროა ამ საქმეს დროზედ მიექცეს ყურადღება. ეს ევალება სვირის რაიონის საალმშენებლო კომისიას.

ჩაგრული.

სას.-სამ. გადასახადის აკრეფა ტყიავის რაიონში.

ამ რაიონში შედის 23 სოფელი. გაწერილი იყო 46.000 მან. იყო დაშვებული შეცდომები. ამისთვის შესდგა კომისია და ზოგიერთი გლეხები განთავისუფლებული იქნენ გადასახადისაგან. შემცირებულ იქნა მთელი გადასახადის 20 პროც. აკრეფილი არის ორი მესამედი, დარჩა მხოლოდ ასაკრეფი მესამე—მესამედი 10,000 მან. მიღებულია უკვე ზომები ასაკრეფად.

გადასახადის შეტანაში გლეხებს დაეხმარნენ კოოპერატიული ორგანიზაციები.

შ. გელაშვილი.

ახალციხე

ქალაქის ახალ ნაწილში, დიდი ხიდის ახლო დასდგეს ამხ. ლენინის ძეგლი. გარშემო შემოღობეს აგურით, პატარა ბაღის მოწყობას აპირობენ. ჯერ საბოლოოდ დამთავრებული არ არის. ძეგლის საზეიმო გახსნა მოკლე ხანში მოხდება.

ქალაქის ბაღში დადგმულია ს. შაუმიანის ძეგლი. სასურველია თუ აქვე შაუმიანის ძეგლის პირდაპირ დაიდგმება ალიოშა ჯაფარიძის ძეგლიც.

ახალგაზრდა მესხი.

ძველი სენაკის რაიაღმასკომი

ძველი-სენაკის რაიონში შედის ოთხი თემი: ძველი-სენაკის, ეკის, გეჯეთის და წყემის. აღმასკომი იჩენს დიდ ინიციატივას გზების და ხიდების შეკეთებაში. იქნა აგრეთვე შეკეთებული სკოლები. მომავალში აღმასკომს განზრახული აქვს შეაკეთოს დაბაში არსებული თეატრი. გლეხობასთან მჭიდრო კავშირში იმყოფება აღმასკომის შემადგენლობა და ზოგიერთი მისი წევრები სისტემატიურად შიემგზავრებიან თემებში და მართავენ საუბრებს, მოხსენებებს გლეხისთვის საინტერესო საკითხებზე.

გავროში.

მეტი ყურადღება ლიის რაიონს

საქართველოს გასაბჭოების დღიდან ლიის რაიონი მეტად გამოცოცხლდა როგორც კულტურულად, ისე ეკონომიურად. კოოპერაცია, ხეტყის მრეწველობა, მეთამბაქოობა, მეაბრეშუმეობა და სხვა საკმაოდ ვითარდება. მშრომელ მასას ეტყობა გამოფხიზლება. აქამდის დანგრეულ-გაპარტახებულ სასკოლო შენობების ნაცვლად—დღეს რაიონის ფარგლებში ხელახლად აშენებულია ერთ და ორსართულიანი შენობები, სადაც მოთავსდება 7-წლედები ყველა ჯგუფებით. თამამად უნდა ითქვას, რომ დიდი მუშაობა ამ დარგში მიუძღვით ამხ. ამხ. აქს. მამულიას და ივ. მებონიას, რომელთა თაოსნობით და ენერგიით თითქმის რაიონის ყველა თემებში უმეტეს ნაწილად სკოლები უზრუნველყოფილია ბინით, დგამით და სხვადასხვა ინვენტარით. მიუხედავად იმისა, რომ ლიის რაიონის სკოლები დიდ გაჭირვებას განიცდიან მასწავლებელთა შტატის სიმცირის გამო, როდესაც ზუგდიდის მაზრის სხვა რაიონებთან შედარებით ადგილობრივი სკოლები უმეტეს ნაწილათ ერთ-კომპლექტიანია და 7-წლედებში კი მხოლოდ ხუთ-ხუთი მასწავლებელია,—მოსახლეობა, დაზიანებული ბანდიტურ გამოსვლებით —შეძლებისდაგვარად ქირაობს საკუთარ ხარჯზე მასწავლებლებს; მაგრამ მასწავლებელთა დაქირავება ვერაფერს შველის და ვერ ყოფნის სკოლებს.

ჩვენ სრული იმედი გვაქვს, რომ ზუგდიდის მაზრის განათლების განყოფილება ყურადღებას მიაქცევს ამ მოვლენას და შეძლებისდაგვარად დააკმაყოფილებს სკოლებს მასწავლებელთა პერსონალით.

ელ. ჯოხთაბერიძე.

სურების რაიონი (გურია)

(მუშათა და გლეხთა ინსპექციის საყურადღებოდ)

ამა წლის სექტემბრის თვიდან, რაღაც გაუგებრობით, სურების რაიონული აღმასკომის თავმჯდომარედ იქნა დანიშნული ამავე რაიონის მცხოვრები მოქ. ტროფინ რამიშვილი.

ხსენებული რამიშვილი იყო სოფლის ჩარჩი ვაჭარი. მენშევიკების დროს იყო ჯერ სურების და მერე დიდი-ვანის თემის კომისრად და სასტიკად სდევნიდა ბოლშევიკური პარტიის მიმდევრებს. 1919 წლიდან სოხუმში იყო თამბაქოს მოვაჭრეებში აგენტად და ჯიბის გასქელების საქმეს ემსახურებოდა, მხოლოდ გასაბჭოების შემდეგ გამოეცალა ხელიდან ეს „ლუკმა“. დღეს კი რამდენი გაკოტრებული ჩარჩი სპეკულიანტი მოინათლება „კომუნისტურად“, ნუ თუ ისინი დასაშვებია საბჭოთა ხელისუფლების ორგანოში?

სურების რაიონში მოიპოვება პატიოსანი მშრომელი და მასთან ხალხშიც კარგი სახელის მქონე, ყოფილი ჩარჩი კი უნდა მოვაშოროთ საბჭოთ ორგანოს.

სურებელი.

ამაშუკეთის რაიონის უპარტიო გლეხთა კონფერენცია.

(შორ. მაზრა)

15 დეკემბერს შორაპნის სამპარტკომის ინიციატივით და ხელმძღვანელობით მოწვეული იქნა ამაშუკეთის რაიონის გლეხთა უპარტიო კონფერენცია. კონფერენციას დაესწრო დაახლოებით 150 დელეგატი. დღის წესრიგში იქნა დასმული შემდეგი საკითხები. 1. საბჭოთა კავშირის საშინაო და საგარეო მდგომარეობა, 2. ამაშუკეთის რაიაღმასკომის მოხსენება. 3. აღმასკომის კულტგანის მოხსენება. 4. ამაშუკეთის რაიგლეხკომის მოხსენება. 5 ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადის თავის დროზე აკრების მნიშვნელობა 6. კოოპერაციის მნიშვნელობის შესახებ და 7. მიმდინარე კითხვები;

პირველ საკითხზე მოხსენება გააკეთა ამხ. ტ. შარიქაძემ, რომელმაც გააცნო დამსწრე აუდიტორიას საბჭოთა კავშირის მიღწევები როგორც ეკონომიურ, აგრეთვე კულტურულ ფრონტზე.

მეორე საკითხზე მოხსენება გააკეთა ამხ. პ. ბუხნიკაშვილმა, რომელმაც დამსწრე დელეგატებს გადაუშალა რაიაღმასკომის მუშაობა მთელი მისი არსებობის პერიოდში. მუშაობა ჩაითვლილ იქნა დამაკმაყოფილებლათ.

შემდეგი მოხსენება გაკეთებულ იქნა კულტ-მუშაობის, გლეხკომის მუშაობის და კოოპერაციის შესახებ.

შემდეგ მოხსენება გააკეთა ამხ. შ. კიკნაძემ ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადის შესახებ. ფართოთ შეეხო გადასახადის მნიშვნელობას და დაჩქარებით აკრებას. ამ საკითხზე გამოტანილ იქნა შემდეგი შინაარსის რეზოლიუცია: ეთხოვოს სამაღმასკომს, რათა შემდეგისათვის ერთიანი სასოფლო სამეურნეო გადასახადი იწერებოდეს არა მაზრის ცენტრში, არამედ გადაეცეს ის გასაწერათ და ასაკრეფათ ადგილობრივ საბჭოს, რაც შეამსუბუქებს ერთის მხრივ სხვადასხვა ხარჯებს და მეორეს მხრივ აღმოიფხვრება უკმაყოფილება თვით გლეხობაში და არ ექნება ადგილი გადასახადის უსწორ-მასწოროთ გაწერას.

ამ გვარივე კონფერენცია ჩატარებულ იქნა საჩხერეში 19 დეკემბერს, ხარაგოულში 20 დეკემბერს და ჭიათურაში 22 დეკემბერს.

ელწერი.

სურამის რაიონის გლეხთა ურთიერთ დახმარების კომიტეტების კონფერენცია

20 დეკემბერს სურამის მუშათა კლუბში შესდგა სურამის რაიონის გლეხკომების კონფერენცია. დაესწრენ ას ხუთი კაცი.

კონფერენციის პრეზიდიუმში იქნენ არჩეულნი: 1. ივანე აბრამაშვილი, 2. პლატონ გაგნიძე, 3. ბანცაძე, 4. ლომიძე, 5. გუგაშვილი, 6. კევლიშვილი, 7. ცერცვაძე. საპატიო თავმჯდომარეებათ ერთხმათ იქნენ არჩეულნი 1. ხომერიკი, 2. ცხაკაია, 3. ჯუღაშვილი, 4. რიკოვი, 5. ორახელაშვილი.

დღის წესრიგში იდგა შემდეგი საკითხები: 1. სარაიონო გლეხკომის ანგარიში, 2. გლეხკომის ამოცანები, 3. სარაიონო გლეხკომის არჩევნები, 4. სარევიზიო კომისიის არჩევნები, 5. მიმდინარე კითხვები.

პირველ საკითხზე მოხსენებას აკეთებს ამხ. პლატონ გაგნიძე, რომელიც ეხება გლეხკომების მუშაობას და აღნიშნავს, რომ ძველი გლეხკომების მუშაობა, თუმცა ძალიან მოიკოჭლებდა და დიდი ნაკლიც ჰქონდა მაგრამ ამას ჰქონდა სათანადო მიზეზები. დღეს კი დიდი შედეგებია მიღწეული; გლეხკომებში ჩაბმულია გლეხობის ოთხმოცდა ათი პროცენტი. ოთხ სოფელში უკვე დაარსებულია სამკითხველოები და შეძენილია საკმაო წიგნები. გლეხკომს გამოწერილი აქვს ჟურნალ-გაზეთები ოცდა ერთ სოფლისათვის სამ-საა ცალად. გლეხკომს მთავარი ყურადღება მიუქცევია კულტურულ და საალმშენებლო დარგისათვის. გლეხკომს დახმარება გაუწევია სოფლის უღარიბეს გლეხობისთვის. მომხსენებელი ეხება მომავალი მუშაობის გეგმას.

კონფერენცია დამაკმაყოფილებლად სცნობს გლეხკომის მუშაობას. და უცვლელად ღებულობს მუშაობის გეგმას.

მეორე საკითხზე მოხსენებას აკეთებს ამხ. ივანე აბრამაშვილი. მოხსენების ირგლივ გამოტანილი იქნა რეზოლიუცია.

სარაიონო გლეხკომში ერთხმად არჩეულია: ამხ. ივან აბრამაშვილი, გაგნიძე პლატონ, კოპალაძე ალექსი მიხეილ გულისაშვილი, ზებო ხახაროვი, ლუკა ბანცაძე, ტატო გიგაშვილი ვანო გელაშვილი, არჩილ ლაბაძე. კანდიდატებათ: გოგოლაძე და კოტე ლომიძე. შემდეგ არჩეული იქნა სარევიზიო კომისია სამი წევრისაგან.

ნ. გ—ძე.

წამლები არ არის

(სენაკი)

სენაკის ქალაქის აფთიაქს ყოველდღე უამრავი ხალხი აწყდება წამლების მისაღებად. ამაზე უკეთესი აფთიაქი ახლო მახლო თემში არ არის.

დაზღვეულ მოქალაქეთა რაოდენობა კი აქ ყველაზე მეტია. სენაკი, როგორც მაზრის ცენტრი, თავს უყრის მთელ დაზღვეულთა რაოდენობის 60—70 პროც.

ცხადია, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს აფთიაქს ასეთს შემთხვევაში

სწორედ ამიტომ აფთიაქი სავსე უნდა იყვეს სხვადასხვა წამლებით.

სამწუხაროთ, უკანასკნელ დროში წამლებმა ძლიერ იკლეს აფთიაქში. უკვე რამოდენიმე ხანია, რაც არ იშოვება ქინა, არ არის აგრეთვე სხვა წამლებიც. ამის გამო ზოგიერთი დაზღვეული მუშა-მოსამსახურენი იძულებული არიან წავიდნენ სხვა ქალაქში წამლის საშოვნელად და იქ ფული იხადონ.

ჯანმრთელობის ინსპექტორმა ამას ყურადღება უნდა მიაქციოს.

მეთვალყურე.

პროვინციის ქრონიკა

— **მეზღვაურების მადლობა.** ფოთის აღმასკომმა მიიღო შავი ზღვის წითელი ფლოტის ადმინისტრაციისა და მეზღვაურებისაგან სამადლობელი წერილი ფოთში სტუმრობის დროს მხურვალე შეხვედრისათვის.

— **საფერშლო პუნქტი.** სენაკის სამაზრო აღმასკომმა დაადგინა გახსნას სოფ. ონტოფოში საფერშლო პუნქტი.

— **საბინაო საკითხი ბათომში.** აჭარის სახკომსაბჭომ დაადგინა ბათომში გააუქმოს საბინაო სამეული და მის მაგიერ დააარსოს საბინაო მაგიდა.

— **კოოპერაციის გასაძლიერებლად.** კახელ მევენახეთა კოოპერატიული საზოგადოება „კახეთს“ თელავის აღმასკომმა გადასცა ყოფილ დანდუროვის მამული მთელი შენობებით.

— **პიონერთა დარბაზი თელავში.** თელავის აღმასკომმა გადასცა 300 მანეთი ახ. პიონერთა დარბაზის მოსაწყობათ.

— **ხე-ტყის დამზადება** ახალსენაკში უკვე აამუშავა ადგილობრივმა სამეურნეო განყოფილებამ.

— **ქუთაისის მაზრის** პროფბიურომ ლენინგრადის მუშების სასარგებლოდ გადასდო 729 მან.

— **ქუთაისის სახ.** ბანკის განყოფილებამ მიიღო 3000 ფ. პურის ფქვილი და 1000 ფ. შაქარი, რომლებიც განაწილებული იქნება კოოპერატივებს შორის.

— **ალაზნის გაღმა მხარეზე** გაჩნდა მინდვრის თაგვი.

— **დამთავრდა** თელავის მაზრის გლეხკომების გაწმენდა.

შორაპნის მაზრა

— შორაპნის მაზრის აღმასკომმა დაასრულა რაიაღმასკომების რეორგანიზაცია და თემ-აღმასკომების ორგანიზაცია—უკანასკნელები შეუდგენ ნორმალურ მუშაობას.

- შორაპნის მაზრის გლეხკომის განკარგულებით დამთავრდა რაიგლეხკომების რეორგანიზაცია და ჩამოყალიბებულია სასოფლო და სათემო გლეხკომები—ამ დღეებში თემგლეხკომები მიიღებენ სარაიონო გლეხკომებიდან თანხას მუშაობის გასაცოცხლებლად.

შორაპნის მაზრის გლეხკომის სამაზრო ყრილობა შესდგება ქ. ჭიათურაში 29 დეკემბერს და მოისმენს სამაზრო გლეხკომის ანგარიშს და აირჩევს ახალ ხელმძღვანელ ორგანოს—სამაზრო გლეხკომს.

ილწერი.

თელავი

— ამ ბოლო დროს პროფკავშირის ბიუროს კულტკომისიამ გააცხოველა მუშაობა. ყოველ ხუთშაბათს იმართება პროფკავშირთა წევრთათვის საღამოები, რომელიც შეხამებულია სხვადასხვა შინაარსიანი გასართობით და დიდ ხალხსაც იზიდავს ხოლმე.

— თელავში და მის მაზრაში უკვე დაიწყო დამზღვევ კასის კამპანია, იმართება ადგილკომების და კავშირების კრებები, სადაც კეთდება მოხსენებები სოც დაზღვევის მნიშვნელობის და სალაროს 1924 წლის ანგარიშების შესახებ.

ვ.

ქოხ-სამკითხველოები

ჩვენი სიძნელე და უვიცობა არის უმთავრესი ხელშემშლელი პირობა ჩვენი მეურნეობის აღდგენის საქმეში. ჩვენი ხელისუფლება არის მუშათა და გლეხთა ხელისუფლება და ის ყოველგვარ თავის საქმიანობას ამყარებს მუშათა და გლეხთა ფართო მასებზე. მშრომელი მასსები კი მართვა-გამგეობაში მონაწილეობის მიღებას მაშინ შესძლებენ, როდესაც ისინი სათანადოთ მომზადებული იქნებიან. აქედან გამომდინარეობს ის ღონისძიებანი, რომელთაც საბჭოთა ხელისუფლება და კომუნისტური პარტია მიმართავენ, რათა მშრომელ მასსები გამოგლიჯონ ხელიდან იმ სიბნელეს და უვიცობას, რომელიც ყოფილმა მთავრობებმა დაგვიტოვა ძვირფას მემკვიდრეობათ. განსაკუთრებით ცუდ მდგომარეობას ამ მხრივ განიცდის ჩვენი სოფელი. ჩვენს სოფლებში, უმთავრეს შემთხვევაში, გლეხობა ცხოვრობს ძველებურათ; ის ვერ ხედავს რა ხდება მისი საკუთარი ქოხის, ან მისი სოფლის იქით. ის კმაყოფილდება იმ ცოდნით და ხმებით, რომელთაც მას აწვდის პირველი გამვლელი ან მეზობელი. მას არ შეუძლია კრიტიკულათ შეხედოს ამა თუ იმ ხმებს ან ჭორებს ვინაიდან მას არ შეუძლია, უცოდინარობის გამო, წაიკითხოს გაზეთი ან წიგნი და გაიგოს ჭეშმარიტი ამბები, თუ რა ღონისძიებებს მიმართავს ამა თუ იმ დარგის გასაუმჯობესებლად ჩვენი მთავრობა, რა დადგენილებები და კანონები იცემა მის მიერ და სხვა.

გარდა ამისა აუარებელი საშუალებები არსებობს იმისათვის, რომ გლეხმა თავისი მეურნეობა გააუმჯობესოს, მოიყვანოს უკეთესი მოსავალი, მოაშენოს [illegible] და [illegible], მაგრამ ყოველივე ამას ცოდნა უნდა—ამ მხრივ კი ჩვენ, როგორც ზემოთ ვსთქვით, ძლიერ მძიმე მდგომარეობაში ვიმყოფებით. მაგრამ თუ ბევრი ცოდნა არის საჭირო იმისთვის, რომ ჩვენი პატარა მეურნეობა გავაუმჯობესოთ, გაცილებით მეტი ცოდნა არის საჭირო იმისათვის, რომ თავი გავართვათ ჩვენს გარშემო ყოველგვარ მოვლენებს, რომ გავხდეთ ნამდვილი მოქალაქე და მივიღოთ შეგნებული მონაწილეობა ჩვენი ქვეყნის მართვა-გამგეობაში.

ტყუილა კი არ ამბობდა ამხ. ლენინი, რომ „ჩვენთვის საჭიროა სწავლა, სწავლა და სწავლაო“.

რაც უფრო განათლებული იქნებიან მუშები და გლეხები ჩვენს ქვეყანაში, მით უფრო ადრე შევძლებთ ჩვენი მრეწველობის აღდგენას და სოფლის მეურნეობის სათანადო სიმაღლეზე დაყენებას.

რა ღონისძიებებს მიმართავს საბჭოთა ხელისუფლება სწავლა განათლების დარგში? საბჭოთა ხელისუფლება თავისი ძალღონის უდიდესი ნაწილს ახმარს იმას, რომ მოზარდი ჩვენი თაობა არ დარჩეს უსწავლელი. ამისთვის არის, რომ მთავრობა ხსნის სკოლებს, საბავშვო ბაღებს, აშენებს სასკოლო შენობებს და აფართოებს ძველი სკოლის შენობებს, ინახავს სხვადასხვა ტიპის საშუალო და უმაღლეს სკოლებს. ყველაფერი ეს ჩვენი მომავალი თაობისათვის, მის სწავლება-მომზადებისათვის კეთდება. მაგრამ გარდა ამისა საბჭოთა მთავრობა არა ნაკლებ ყურადღებას აქცევს მოზრდილებშიც სწავლა-განათლების შეტანას. ამ მიზნისათვის მთავრობას მთელი დაწესებულება აქვს, რომელიც მხოლოთ მოზრდილების სწავლა-განათლებაზე ზრუნავს და რომელიც მსგავსი [illegible] მთავრობას არ აქვს. ეს არის [illegible] განმანათლების მთავარი სამმართველო. ამ სამმართველოს მიზანი, როგორც ზემოთ ვსთქვით, არის მოზრდილების სწავლა-განათლება. ამ მიზნით ის ხსნის და ინახავს მრავალ საგანმანათლებლო დაწესებულებებს, როგორიცაა: წერა-კითხვის უცოდინარობის მომსპობი სკოლები, წერა-კითხვის მცირე ცოდნის მომსპობი სკოლები, ქოხ-სამკითხველოები, კლუბები, სახალხო სახლები და სხვა მრავალი! ამჟამათ დიდი ყურადღება ხელისუფლების მიერ ექცევა ქოხ-სამკითხველოს. ის უნდა გახდეს მოზრდილთა განვითარების კერათ,—ყველა მოზრდილ დასახლებულ ადგილებში, ყველა თემების ცენტრში უნდა იქნეს თითო ქოხ-სამკითხველო სოფლისა და ქალაქის ურთიერთ დაახლოების მიზნით. სოფელი კულტურულათ უნდა იქნას ფეხზე დაყენებული და ამ მხრივ უახლოესი დროისთვის გადაუდებელ ამოცანათ კომუნისტური პარტია ისახავს სოფლათ ფართო კულტურულ-განმანათლებელი მუშაობის წარმოებას.

რა არის ქოხ-სამკითხველო? ქოხ-სამკითხველო არის პოლიტ-განმანათლებელი დაწესებულება, რომელიც აერთიანებს სოფლის მთელ პოლიტგანმანათლებელ მუშაობას ნ. კ. კრუპსკაიას სიტყვით—ეს არის ჯამი განათლების ყველა ტიპის დაწესებულებებისა. მისი მთავარი ნაწილი არის სამკითხველო, მაგრამ ამავე დროს არის კლუბიც, ცნობათა მაგიდაც და უჯრედიც, რომლის ირგვლივ თავს იყრის და ეწყობა—მოზრდილთა სკოლა, ექსკურსიები, წარმოდგენები და მრავალი სხვა პრაქტიკული წამოწყებანი კულტურულ განმანათლებელი ხასიათისა.

ქოხ-სამკითხველო იკრებს თავის გარშემო სოფლის ყველა ცოცხალ [illegible] [illegible]

რაც მთავარია—ქოხ-სამკითხველო უნდა იყოს სოფლათ კულტ-განმანათლებელი მუშაობის დასაყრდენი უჯრედი.

რას აძლევს გლეხს ქოხ სამკითხველო?—ქოხ სამკითხველოში გლეხი და გლეხის ქალი შეისწავლიან, თუ როგორ სჯობს მიწის დამუშავება, ბოსტნის მოშენება; ქოხ-სამკითხველოშივე გლეხი და გლეხის ქალი მიიღებს ცნობებს და პასუხს ყველა მათთვის საინტერესო საკითხებზე, ყოველგვარ დეკრეტების და დადგენილებათა გაშუქებას, იქვე შეისწავლიან წერა კითხვას, იქვე იშოვნიან ახალ გაზეთს და საინტერესო წიგნებს; ქოხ-სამკითხველოში გაიგებენ, თუ რა სწერია გაზეთებში ჩვენი ქვეყნის ცხოვრების შესახებ, საბჭოთა ხელისუფლების და კომუნისტური პარტიის მუშაობის შესახებ, კაპიტალისტურ ქვეყნებში მუშების და გლეხების ცხოვრების შესახებ თუ როგორ იბრძვიან მუშები და გლეხები საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისათვის იქ, სადაც ჯერ კიდევ მდიდრები და მემამულეები უდგანან სახელმწიფოს სათავეში. ქოხ-სამკითხველო გლეხს აძლევს საშუალებას გონიერათ და მიზანშეწონილათ გამოიყენოს თავისუფალი დრო, დასვენების დრო, იმის მაგიერ, რომ ეს დრო მან არ დაკარგოს სამიკიტნოში ლოთობაში, სადაც ჰკარგავს როგორც ჯანმრთელობას, აგრეთვე უკანასკნელ ლუკმა პურსაც. ამ რიგათ ქოხ-სამკითხველოს დიდი სარგებლობის მოტანა შეუძლია მშრომელთათვის, მხოლოთ ის უნდა იქნას საამისოთ მოწყობილი.

ქოხ-სამკითხველოს ორგანიზაცია. ყველა სოფელში უნდა მოეწყოს ქოხ-სამკითხველო. მას სათავეში უნდა უდგეს საბჭო, რომელშიაც შევლენ ქოხ-სამკითხველოს გამგე, თითო წარმომადგენელი ა. ლ. კომკავშირის, ს. კ. პარტიის, ქალთა განყოფილების ადგილობრივი უჯრედებისაგან, განათლების მუშაკთა კავშირის რწმუნებული, მიწა-ტყის მუშაკთა კავშირის რწმუნებული, ადგილობრივი აღმასკომის წარმომადგენელი და გლეხობის წარმომადგენელი. საჭიროების დროს შეიძლება დაშვებულ იქნან წარმომადგენელი სხვა დაინტერესებული ორგანიზაციებიდანაც, მაგრამ ძლიერ მრავალრიცხოვანი არ უნდა იქნეს საბჭო.

საბჭოს თავმჯდომარეობს ქოხ-სამკითხველოს გამგე აუცილებლათ ა. ლ. კომკავშირის ან ს. კ. პარტიის წევრი.

ქოხ-სამკითხველოს გამგე. თუ გამგე უვარგისია, ის ვერ მოაწყობს კარგ ქოხ-სამკითხველოს. ქოხ-სამკითხველოს გამგე უნდა იყოს პოლიტიკური ანბანის მცოდნე, კარგი ორგანიზატორი, მას უნდა ესმოდეს პოლიტგანმანათლებელი მუშაობა. მას ეკისრება პასუხისმგებლობა ქოხ-სამკითხველოს საქმიანობის და მოწყობის სისწორისთვის. ის უნდა იყოს ხალისიანი ადამიანი, მას უნდა ესმოდეს ადგილობრივი ცხოვრების პირობები, რომ მას შეეძლოს საჭიროების დროს მისცეს გლეხებს სასარგებლო ცნობები და სხვა. მანვე უნდა შემოკრიბოს და ჩააბას ქოხ-სამკითხველოს მუშაობაში საჭირო მომუშავენი.

ქოხ-სამკითხველოს კულტურული ძალები. ქოხ-სამკითხველოს მუშაობაში უნდა იღებდეს მონაწილეობას სოფლის ყველა პარტიული და საბჭოთა მუშაკი მოწინავე გლეხი და გლეხის ქალი, მასწავლებელი, ექიმი, ფერშალი, აგრონომი, მოსამართლე, ვეტერინარი და სხვა. ყველა უნდა იღებდეს მონაწილეობას ქოხ-სამკითხველოს მუშაობაში, ყველა უნდა [illegible] მისთვის შესაძლებელ საქმიანობით.

საჭიროა, რომ გლეხმა ნათლად შეიგნოს ქოხ-სამკითხველოს აუცილებლობა. რომ აუსებდეს მას მის მუშაობაში იღებდეს აქტიურ მონაწილეობას. ამისათვის აუცილებელია, რომ ქოხ-სამკითხველოს მუშაობა ატარებდეს პრაქტიკულ ხასიათს და ამ მიზნით მასთან უნდა მოეწყოს ცნობათა მაგიდა. ცნობათა მაგიდაში გლეხმა უნდა მიიღოს პასუხი ყველა მისთვის საჭირბოროტო კითხვებზე. ცნობათა მაგიდამ ხელი უნდა შეუწყოს გლეხს მისი მეურნეობისა და ცხოვრების პირობების გაუმჯობესებაში. ცნობათა მაგიდა აძლევს საჭირო რჩევა-დარიგებას, უწყებს განცხადებებს, აძლევს ცნობებს, აშუქებს მთავრობის დეკრეტებს და დადგენილებებს, იღებს საჩივრებს თანამდებობის პირთა შესახებ და [illegible] მათ დანიშნულებისამებრ, აძლევს პასუხს გლეხს მიწათმოწყობის, მიწათსარგებლობის, საგადასახადო, დაზღვევის, სასამართლოს სასოფლო სამეურნეო კრედიტისა და სხვა საკითხებზე.

ცნობების გაცემის დროს უნდა უარყოფილი იქნას ყოველგვარი ოფიციალობა—გლეხი, როდესაც მოდის ცნობისათვის, თავს უნდა გრძნობდეს თავის საკუთარ ოჯახში. კარგი, პრაქტიკული მნიშვნელობის ცნობები მოიყვანს ქოხ-სამკითხველოში მასიურ-მკითხველს. ცნობით უნდა ვისარგებლოთ კომუნისტური პროპაგანდისათვის: ყოველი ცნობა უნდა შეიცავდეს ამ საკითხის კომუნისტურ გაშუქებას: ცნობებით აგრეთვე ჩვენ შევძლებთ გლეხის ჩათრევას წიგნებისა და გაზეთების კითხვაში. ცნობის გაცემის დროს უნდა დავაინტერესოთ გლეხი ამა თუ იმ საინტერესო წიგნით ან გაზეთით. გლეხისათვის საჭირო წიგნები უნდა ინახებოდეს იქვე არსებულ სამკითხველოში.

სამკითხველო აგროვებს და ინახავს გლეხებისათვის საჭირო პოპულარულ ლიტერატურას, ავრცელებს წიგნის და გაზეთის იდეას, ხელს უწყობს მკითხველს წიგნის არჩევაში, - და აწყობს ხმამაღალ კითხვას და განმარტებებს, როგორც გაზეთისა, აგრეთვე საინტერესო წიგნაკებისაც და სხვა.

წრეებში მუშაობა. გარდა ცნობათა მაგიდისა და სამკითხველოსი, რომლებიც აუცილებლათ უნდა იყოს ყველა ქოხ-სამკითხველოში, საჭიროა აგრეთვე, ადგილობრივ პირობებთან შეფარდებით, მოწყობილ იქნას სხვადასხვა წრეები—მაგალითად; სასოფლო-სამეურნეო წრე, რომელიც სწავლობს სასოფლო-სამეურნეო საკითხებს, თუ როგორ უნდა მოშენდეს ბოსტანი, როგორ დამუშავდეს მიწა, როგორ მოვიშოროთ თავიდან სხვადასხვა მავნებები, სარეველი მცენარეები, როგორ მოშენდეს ბაღი, როგორი მოვლა სჭირია პირუტყვისათვის და სხვა [illegible]. სანიტარულ ჰიგიენური წრე, რომელიც ასწავლის ჰიგიენას შინაური ცხოვრებისათვის, პირველი დახმარების აღმოჩენას, დაჭრის, დაცვის, გულწასვლის სხვა შემთხვევაში.

კოოპერატიულ-ეკონომიური წრე, რომელიც ხელს შეუწყობს მოსახლეობის კოოპერატიულ გაერთიანებას, ქალთა შორის მუშაობის წრე, კორესპონდენტთა წრე, დრამატიული წრე, სასპორტო, მუსიკალური და სხვა.

იმისათვის, რომ გატარებული იქნას ყველა ეს საშუალებები, ქოხ-სამკითხველოს სჭირდება საჭირო თანხები და შესაფერისი შენობა:

საჭირო თანხები. ქოხ-სამკითხველო ინახება სამაზრო აღმასკომის ხარჯზე. მათი ხარჯთ-აღრიცხვა ტარდება სამაზრო აღმასკომის ხარჯთ-აღრიცხვაში. მაგრამ ჩვენი მაზრების ბიუჯეტი უმეტეს შემთხვევაში ღარიბია და ვერ კისრულობს ქოხ-სამკითხველოს მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას, ამისთვის ქოხ-სამკითხველოს საბჭომ თვითონაც უნდა ეძიოს ადგილობრივ შემოსავლის წყაროები, როგორც თვითდაბეგვრით, შეფების გამონახვით, ჟურნალ-გაზეთების კოლექტიური გამოწერით, წარმოდგენების მოწყობით, დაბოლოს კოოპერატიულ დაწესებულებებსაც შეუძლიათ მცირე დახმარების აღმოჩენა პროცენტული ანარიცხის სახით და სხვა.

ბინა ქოხ-სამკითხველოსათვის

ყოველ ქოხ სამკითხველოს უნდა ჰქონდეს შესაფერი ბინა ორი ოთახი მაინც. ძლიერ საჭიროა, რომ ქოხ-სამკითხველო იყოს მოთავსებული თვალსაჩინო ადგილას სოფლის შუაგულში. ყველა ქოხ-სამკითხველომ უნდა მოაგვაროს აღრიცხვა და ანგარიშის საქმე უკანასკნელი არ უნდა ატარებდეს უსათუოთ ბუღალტერულ სახეს. საკმარისია სულ უბრალო ანგარიშის წარმოება.

მუდამ უნდა ინიშნებოდეს შემოსული ფულები და რაზე დაიხარჯა ისინი. უნდა სწარმოებდეს ყოველგვარი მუშაობის აღრიცხვა—უნდა სწარმოებდეს ყოველგვარი მუშაობის აღრიცხვა—უნდა ინუსხებოდეს, თუ რანაირი მუშაობა სწარმოებს და ვინ აწარმოებს მას, რამდენი კაცი ესწრება და როგორია მათი შემადგენლობა. რამდენ გაზეთს იწერთ, რამდენი წიგნია სამკითხველოში, რამდენი დადის ყოველდღე ქოხ-სამკითხველოში და სხვა.

აღრიცხვა და ანგარიშიანობა მოგვცემს ჩვენ საშუალებას შევისწავლოთ წარმოებული მუშაობა და განვავითაროთ ის მომავალში.

[illegible]

„პროკურორი ექიმის როლში"

(წერილი რედაქციის მიმართ)

ასეთი სათაურით იყო მოთავსებული გაზ. „კომუნისტის" 283 №-ში წერილი „დამსწრესი". თუ ეს „დამსწრე" ნამდვილად იყო მნახველი სასამართლოს პროცესისა, სადაც ირჩეოდა საქმე ცოლქმარ იაშვილებისა — მათი განქორწინების გამო ბავშვის ერთ-ერთ მშობლისათვის მიკუთვნების შესახებ და რომელშიაც მე როგორც საპროკურორო ზედამხედველობის წარმომადგენელი, ვღებულობდი მონაწილეობას, — უნდა ვირჩიო ასეთ „დამსწრეს" — ნუღარ შეაწუხებს სასამართლო დაწესებულებებს თავისი დასწრებით, რადგანაც, როგორც აქვე ქვემოთ შევიტყობთ, მის წერილს ჰქონდა განსაზღვრული მიზანი ექიმ იაშვილის და მისი კომპანიის დაცვისა.

აღნიშნულ საქმეში ჩემი, როგორც პროკურორის, მონაწილეობა იყო გამოწვეული ზოგიერთ გარემოებით, რომლებიც ამჟამად ჩამოყალიბდნენ ნ. იაშვილის სამოქალაქო პროცესში, სისხლის სამართლის ელემენტების არსებობის სახით. წერილის ავტორი ისახავს რა მიზნათ საზოგადოებრივ აზრის დამუშავებას ერთი მხარის სასარგებლოთ, სრულებით ახსნის-რებს ბავშვის ავადმყოფობის საკითხის დედააზრს და გვისაყვედურებს, რომ პროკურორი, მიუხედავათ „ძრიად ცნობილ" ექიმების მიერ გაცემულ მოწმობებისა, ბავშვის ავადმყოფობის შესახებ, დაჟინებით მოითხოვდა ბავშვის სასამართლოში მოყვანას. აქ „დამსწრე" შეგნებულათ გვერდს უხვევს იმ გარემოებას, რომელმაც გამოიწვია პროკურორის მოთხოვნა და რომლის შეახებაც მას, როგორც დამსწრეს, არ შეიძლება არ სცოდნოდა. აგრეთვე არ შეიძლება არ სცოდნოდა, რომ ბავშვი იმ ქამად იმყოფებოდა და ახლაც იმყოფება არა მამასთან, როგორც დამსწრე სწერს, არამედ დედასთან.

ეჭვი ბავშვის ავადმყოფობაში და შეგნება, რომ ბავშვის სასამართლოში მოსვლა არ არის ხელსაყრელი ექიმ იაშვილისა და მისი კომპანიისათვის, მაიძულებდა მე, საქმის სარგებლობის მიხედვით, მომეთხოვა ბავშვის მოყვანა სასამართლოში ანდა, თუ ეს შეუძლებელი იქნებოდა, მისი სახლში გაშინჯვა სასამართლოს მიერ.

ეს ეჭვები ამჟამად სავსებით გამართლდენ. ექიმი იაშვილის და მისი ნათესავი ვექილის, დამცველთა კოლეგიის წევრის გალაქტიონ ტყემალაძის მიერ, ალბათ „დამსწრე"-ს თანადასწრებით, სასამართლოს წარედგინა მთელი რიგი ყალბი მოწმობებისა, ბავშვის ავადმყოფობის შესახებ, გაცემული იმ ექიმების მიერ, რომლებსაც ბავშვი თვალითაც კი არ ენახავთ.

ამ გვარად სრულიად შეგნებულად და ბოროტის გზით მოქ. იაშვილი, ტყემალაძე და კომპანია ცდილობდენ შეცდომაში შეეყვანათ ჩვენი საბჭოთა სასამართლო. ვექილი ტყემალაძე ყოველ წუთს მიმართავდა ნაცად ხრიკებს და ცდილობდა, რათაც არ უნდა დაჯდომოდათ, მოეხსნა საქმე; დაბოლოს შესძლო კიდეც თავისი სურვილის განხორციელება, მაგრამ, საბედნიეროდ, სრულიად უსაფუძვლოდ თავისი და მისი მარწმუნებელის იაშვილისა, ვინაიდან პროლეტარულმა სასამართლომ თავისი რევოლიუციონური ალღოთი შეიცნო ეშმაკობანი მათნი და გამოიტანა დადგენილება ბავშვის დროებით დედასთან დატოვების შესახებ, ხოლო საქმე არსებითად მოსასმენლად სხვა დროისათვის გადასდო.

ამ რიგათ, როგორც ეს ზემოთ თქმულიდან სჩანს, მე მაინც კარგი ექიმი გამოვდექი.

მოქ. „დამსწრეს" ცნობისათვის კი უნდა აღვნიშნო, რომ ყალბ მოწმობების წარმომდგენთა წინააღმდეგ აღმოსავლეთ საქართველოს პროკურორის მიერ აღძრულია სისხლის სამართლის დევნა ს. ს. კ. 195 მუხ. გათვალისწინებულ ბოროტმოქმედების ნიშნების მიხედვით.

მაისურაძე.

მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

დადგენილება.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოსი.

1924 წლის დეკემბრის 19.

ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადის გადამხდელთა ადმინისტრატიული სასჯელის შესახებ.

ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადის შესახებ 1924 წლის აპრილის 24-ს გამოცემული დეკრეტის (ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის მთავრობის კანონთა და განკ. კრებული 1924 წ. № 4. მუხ. 90) 24 მუხლის განსავითარებლად — ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. სასოფლო-სამეურნეო გადასახადის არაპირიან გადამხდელთა შორის ადმინისტრატიული წესით დაისჯებიან:

ა) ის პირი, რომელიც დადგენილ ვადაზე არ ჩაიბარებს სასოფლო-სამეურნეო გადასახადით გაწერილ ფულად თანხას;

ბ) ის პირი, რომელიც უარს განაცხადებს გადასახადის ჩაბარებაზე სხვა პირებთან წინასწარ შეუთანხმებლად;

გ) ის პირი, რომელიც აღრიცხვისაგან დამალავს დაბეგვრის ობიექტებს, ან არასწორ ცნობას მისცემს ხნავის და სათესის სივრცისა, მუშა ოთხფეხი საქონლის რაოდენობისა, ოჯახის შემადგენლობისა და მეურნეობის სხვა ელემენტების შესახებ.

2. ადმინისტრატიული ღონისძიება, რაც ხმარებულ უნდა იქნეს 1-ლ მუხლში აღნიშნულ პირთა წინააღმდეგ, არის მხოლოდ ფულადი ჯარიმა არა უმეტეს 25 მანეთისა.

3. თვითეული დაჯარიმების შესახებ ფინანსთა ინსპექტორი ან, მისი განკარგულებით, სათემო და სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტი შეადგენს დასაბუთებულ დადგენილებას, სადაც აღნიშნავს, თუ რაში მდგომარეობს სასოფლო-სამეურნეო გადასახადის გადამხდელის არაპირიანობა. დადგენილება გამოეცხადება გადამხდელს ხელწერილის ჩამორთმევით ან, თუ გადამხდელი წერა-კითხვის უცოდინარია, მოწმეების თანადასწრებით და მოყვანილ უნდა იქნეს სისრულეში სამაზრო აღმასრ. კომიტეტის მმართველობის განყოფილების მეშვეობით.

შენიშვნა. იმ დარღვევის შესახებ, რაც სასამართლოს წესით დაისჯება, ფინანსთა ინსპექტორის მიერ გადაეცემა სამაზრო-საფინანსო განყოფილებაში სისხლის სამართლის წესით დევნის აღსაძვრელად.

4. გადამხდელს უფლება ეძლევა დაჯარიმების დადგენილება გაასაჩივროს რესპუბლიკანურ საგადასახადო კომისიაში, კუთვნილების მიერ, შვიდი დღის ვადაზე დღიდან მისთვის დადგენილების გამოცხადებისა.

საჩივრის შეტანა ვერ შეაჩერებს გასაჩივრებული დადგენილების შესრულებას.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე:
მ. ცხაკაია.

ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის სახ. კომისართა საბჭოს თავმჯდომარე: **მ. ორახელაშვილი.**

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი:
ა. შავერდოვი.

შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის

სავალდებულო დადგენილება № 5

1924 წლის დეკემბრის 23 ქ. თბილისი

წიწვიანი ხეების მოჭრის აკრძალვის შესახებ

ვინაიდან შემჩნეულია, რომ საშობაო დღეების გამართვის მოახლოვების გამო ზოგიერთი პირები უნებართვოდ სჭრიან მოზარდ წიწვიან ხეებს ზრდის ხეთ, რითაც ანადგურებენ წიწვიან ტყეებს, შინაგან საქმეთა სახალხო კომისარი ადგენს:

1. აიკრძალოს მოზარდი წიწვიანი ხეების როგორც მოჭრა, ისე გაყიდვა ან ბაზარზე გასაყიდად გამოტანა მიწათ-მოქმედების სახალხო კომისარიატის და მის ადგილობრივ ორგანოების ნებადაურთველად.

2. ამ დადგენილების დარღვევისათვის დამნაშავე პირი დაისჯება ადმინისტრატიული წესით იძულებითი მუშაობით ან დაპატიმრებით ერთ თვემდე ან ფულ. ჯარიმით ორმოცდაათ ჩერვონულ მანეთამდე.

3. ამა დადგენილების ცხოვრებაში გატარებისათვის თვალყურის დევნა ეკისრება მილიციას, რომელიც დარღვევის ყოველ ცალკე შემთხვევაში შეადგენს ოქმს და წარუდგენს ადგილობრივ მაზრის აღმასკომს დამნაშავეთათვის ადმინისტრატიული სასჯელის დასადებათ.

4. დადგენილება ესე შედის ძალაში დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

შინაგან საქმეთა სახალხო კომისრის მოად.
თ. დოლიძე

ადმინისტრატიული განყოფილების უფროსი **ბ. ბერია.**

დამტკიცებულია საქ. სახალხო კომისართა საბჭოს მიერ 1924 წ. დეკემბრის 10-ს (ოქმი № 44 § 3).

შინაგან საქ. სახ. კომისარიატი.

ინსტრუქცია

ვინაობის წიგნაკების გაცემის მიღების და ხმარების წესის შესახებ

1. ს. ს. ს. რ. სახალხო კომისართა საბჭოს 1923 წ. მარტის 10-ის № 83 დადგენილების ძალით შემოღებულ უნდა იქნას დღემდე არსებულ მოწმობების, ძველი პასპორტების და სხვა ვინაობის დამამტკიცებელ დოკუმენტების ნაცვლად ვინაობის წიგნაკები.

2. ს. ს. ს. რ. სახალხო კომისართა საბჭოს მიერ დამტკიცებული ვინაობის წიგნაკი არის პიროვნების შემამოწმებელი და საცხოვრებელი საბუთი.

3. ვინაობის წიგნაკი უნდა იქონიონ როგორც ს. ს. ს. რესპუბლიკის ყველა მოქალაქემ, ისე სხვა საბჭოთა რესპუბლიკების მოქალაქეებმა, რომელნიც სცხოვრობენ საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე და დაკავშირებულნი არიან მასთან სამსახურით, ქონებით, ოჯახობით, სასწავლებლით, ხელობით, ვაჭრობით და სხვ.

4. ვინაობის წიგნაკი სავალდებულოა ყველა სრულწლოვან მოქალაქეთათვის განურჩევლად სქესისა.

შენიშვნა 1: ცალკე ვინაობის წიგნაკის მიღება შეიძლება არა-სრულწლოვანთათვისაც, 14—18 წლამდე, მხოლოდ ამ შემთხვევაში საჭიროა მათი მშობლების ან უკანასკნელთა მოადგილე პირების წერილობითი თანხმობა.

შენიშვნა 2: სახელმწიფო სასწავლებლის მოწაფეებს ვინაობის წიგნაკის მაგიერ შეუძლიათ იქონიონ სასწავლებლებიდან მიღებული პირადობის მოწმობა, რომელშიც უნდა იყვეს აღნიშნული ვინაობის წიგნაკის ყველა ცნობები.

5. ერთ ვინაობის წიგნაკში შეიძლება ჩაწერილნი იყვნენ ქმარი, ცოლი, წიგნაკის პატრონის ოჯახის არა-სრულწლოვანი წევრები და მისი მშობლები, თუ ისინი წიგნაკის პატრონთან სცხოვრობენ.

6. ს. ს. ს. რესპუბლიკის ყველა მოქალაქე ვალდებულია თავისი მუდმივი საცხოვრებელი ადგილის დატოვების დროს თან იქონიოს ვინაობის წიგნაკი.

ტფილისის ქუთაისის ფოთის და ბათომის მცხოვრებნი მოვალენი არიან წიგნაკები იქონიონ ამ ქალაქებში ყოფნის დროსაც.

7. მუდმივ საცხოვრებელ ადგილად ჩაითვლება მაზრა ან მაზრიდან გამოყოფილი ქალაქი, რომელთანაც მოქალაქე დაკავშირებულია ქონებით, სამსახურით, ოჯახით, სასწავლებლით, ხელობით, ვაჭრობით და სხვ.

8. ვინაობის წიგნაკი არ მიეცემა: ა) მობილიზაციის წესით ჯარში გაწვეულს, ბ) წითელ-არმიელს, რომელიც ჯერ არ არის გათავისუფლებული სამსახურიდან ან არ მოიხდის სამხედრო ბეგარას, გ) სასამართლოს მიერ სასჯელ-დადებულ პირს, ვიდრე ის სასჯელს არ მოიხდის ან სასჯელი არ ეპატიება, დ) იმ პირს, რომელიც ემალება მთავრობის ორგანოებს და ე) იმ პირს, რომელსაც დაკარგული აქვს საბჭოთა რესპუბლიკის მოქალაქეობა.

9. ვინაობის წიგნაკი არის ვადიანი და უვადო.

10. უვადო წიგნაკი ეძლევა იმ მოქალაქეს, რომელსაც მოხდილი აქვს სამხედრო ბეგარა ან განთავისუფლებულია მისგან.

11. ვინაობის წიგნაკის გამოცვლა და ახალის მიღება შეიძლება მხოლოდ მაშინ: ა) როდესაც ვადიანი ვინაობის წიგნაკის მაგიერ მოქალაქეს უნდა მიეცეს უვადო, ბ) როდესაც პატრონი ვინაობის წიგნაკს დაჰკარგავს და ამ გარემოებას დაადასტურებს ოფიციალური პირის ან დაწესებულების წერილობითი განცხადებით და ვინაობის წიგნაკის გამცემ ორგანოს წარუდგენს საბუთს იმის შესახებ, რომ წიგნაკის დაკარგვა მან გამოაცხადა მთავრობის ოფიციალურ ორგანოში, გ) როდესაც წიგნაკი იმდენად დაძველდება, რომ მისი ხმარება შეუძლებელი გახდება და დ) როდესაც მოქალაქე ერთ მუდმივ საცხოვრებელ ადგილიდან მეორე მუდმივ საცხოვრებელ ადგილად გადასახლდება.

12. ვინაობის წიგნაკის მისაღებად მოქალაქემ უნდა წარადგინოს სათანადო ორგანოში ერთ-ერთი შემდეგი დოკუმენტი: ა) მეტრიკული მოწმობა ან მეტრიკული ამონაწერი, ბ) სახელმწიფო, პროფესიონალური, პარტიული ან საზოგადოებრივი დაწესებულების მიერ მიცემული მოწმობა, ან სხვა საბუთი, რომელიც დაადასტურებს მოქალაქის ვინაობას, გ) იმ შემთხვევაში, როდესაც მოქალაქეს ზემოაღნიშნული საბუთი არ ექნება, წიგნაკის გამცემ ორგანოს ვინაობის წიგნაკის გაცემა შეუძლიან, თუ მისი ხელმძღვანელი ან პასუხისმგებელი თანამშრომელი დაადასტურებს მოქალაქის ვინაობას.

13. ვინაობის წიგნაკის გამცემმა ორგანომ წიგნაკების სარეგისტრაციოდ უნდა შემოიღოს საგანგებო ვინაობის დავთარი და შიგ გარკვევით და დაწვრილებით აღნიშნოს: ა) ვის და როდის მიეცა წიგნაკი, ბ) უვადო თუ ვადიანი, და რა ვადით, გ) წიგნაკის ნომერი. დ) საბუთი რომლის ძალითაც გაიცა წიგნაკი. ვინაობის წიგნაკის გამცემმა ორგანომ წიგნაკის მიმღებს უნდა მოაწერინოს ხელი დავთარში.

14. ვინაობის წიგნაკის მიღება შეიძლება მხოლოდ მუდმივ საცხოვრებელ ადგილას.

ვინაობის წიგნაკის გაცემა დაკისრებული აქვს მაზრა-ქალაქის და სარაიონო აღმასკომებს, ხოლო ტფილისში, ქუთაისში, ბათომში და ფოთში მილიციის უფროსებს.

თავიანთ თანამშრომლებისა და მათი ოჯახის წევრებისათვის ვინაობის წიგნაკის გაცემა შეუძლიათ სახალხო კომისარიატებსაც.

შენიშვნა 1: ქალ. ტფილისის სახელმწიფო და საზოგადო დაწესებულებათა და წარმოებათა მუშა-მოსამსახურეებს ვინაობის წიგნაკის მიღება შეუძლიანთ თავიანთ ადგილკომების საშუალებით. ადგილკომის მიერ მილიციის უფროსთან წარდგენილი ცნობების სისწორისათვის პასუხისმგებლობა ეკისრება როგორც ადგილკომს, ისე სათანადო დაწესებულების ადმინისტრაციას.

შენიშვნა 2: წითელ არმიის საკომანდო შემადგენლობის და საკომანდო შემადგენლობის პირთა და წითელ-არმიელთა ოჯახის წევრებს ვინაობის წიგნაკების მიღება შეუძლიანთ ქალაქის კომენდატურის საშუალებით.

15. ვინაობის წიგნაკის გაცემის დროს მის მიმღებმა უნდა გადაიხადოს წიგნაკის ფასი.

16. სახელმწიფო, საზოგადო და პარტიულ ორგანიზაციების მოწმობები და მანდატები საცხოვრებელ საბუთად არ გამოდგებიან.

17. ის თანამდებობის პირი, რომელიც უკანონოდ გასცემს ვინაობის წიგნაკს, დაისჯება საქ. სოც. საბჭოთა რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის მიხ. დვით.

18. ის მოქალაქე, რომელიც ისარგებლებს სხვის ვინაობის წიგნაკით ან სიყალბეს ჩაიდენს ვინაობის წიგნაკის მიღების ან დამზადების მიზნით, დაისჯება საქართველოს სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის მე-87 და 226 მუხლების მიხედვით.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

პარტიული

მობილიზაციით გაწვეულ ამხ. საყურადღებოთ.

ქვემო ჩამოთვლილ ამხანაგებს პარტდისციპლინის წესით წინადადება ეძლევათ 3 დღის განმავლობაში დღიდან ამა განცხადების გამოქვეყნებისა მოიხსნან თავიანთ სამუშაოდან და გამოცხადდნენ ს. კ. პ. ცკას საორგანიზაციო განყოფილების განკარგულებაში. ორგანიზაციებს და საბჭოთა დაწესებულებებს, რომლებშიაც აღნიშნული ამხანაგები მუშაობენ, წინადადება ეძლევათ გაუსწორონ ყოველგვარი ანგარიში ერთი თვის ჯამაგირის წინასწარ მიცემით ქვემო სიების თანამიმდევრობის მიხედვით: 1. კანდელაკი ვასილი, 2. მამულიშვილი ევგრაფი, 3. ცაგარელი ვლადიმერ, 4. გოგიბერიძე გრიგოლი, 5. ბერბერაშვილი ივანე, 6. ჯგენია ისაკი, 7. ბახტაძე მიხეილ, 8. ავაკიანი (ა/კ. ფინსახკომი), 9. სვრითუიანი (პროფ. საბჭო).

ს. კ. პ. ცკას მდივანი ქართველიშვილი.
საორგანიზაციო-განმანაწ. განყ. გამგე ლიცაროვი.

— თბილ. კომიტეტის აღრიცხვა-განმანაწ. განყოფილება იუწყება: დღეს, 25 დეკემბერს შუადღის 1 საათზე თავდება უკანასკნელი ვადა იმ უმუშევართა ახალ რეგისტრაციაში გასატარებლად, რომლებიც აღრიცხულ არიან თბილ. კომიტეტის აღრიცხ.-განმანაწ. განყოფილების მიერ.

აღრიცხვ.-განმანაწ. განყოფილება.

— კომკავშირის თბილისის კომიტეტის პლენუმის დადგენილებით — შაბათს, 27 დეკემბერს, საღამოს 5 საათზე, პროფკავშირის შენობის დიდ დარბაზში გაიხსნება **მეთორმეტე საერთო-საქალაქო სამაზრო კონფერენცია** თბილისის ორგანიზაციისა.

დღის წესრიგი: 1. საერთაშორისო მდგომარეობა, 2. მოხსენება რუსეთის კომკავშირის ა.-კ. საოლქო კომიტეტისა, 3. თბილ. კომიტეტის ანგარიშები, 4. ახალგაზრდობის ლენინურად აღზრდის შესახებ, 5 თბილ. კომიტეტის არჩევნები, 6. მორიგი საკითხები.

თბილისის კომიტეტის სააგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილება იუწყება: „რ მედასის კვირეულის" ჩასატარებლათ ქ. თბილისში ქვემო ჩამოთვლილი ამხანაგები მიწერილნი არიან სხვადასხვა რაიონებზე მომხსენებლებად:

ლენინის რაიონზე: 1. რუხაძე ლეონტი, 2. ტალახაძე, 3. ფრონელი, 4. თოდრია, 5. პუგაჩოვი (კავკ. წით. დროშ. არმიიდან), 6. ქურეპი, 7. თუმანოვი სანდრო, 8. ცინცაძე ვანო, 9. ყურუმაძე.

არსენალის რაიონზე: 1. კოჩლამაზოვი, 2. სუხიშვილი ლადო, 3. ვარძიელი, 4. ნუცუბიძე, 5. მიქაძე არჩილ 6. ქაცარავა 7. ბაგდავაძე 8. მათევოსოვი, 9. [illegible], 10. ისაკოვი (ა.-კ. რკ-დან) 11. მიგულოვსკი.

ავლაბარ-ხარფუხის რაიონზე: 1. ხაჩიანი, 2. ვლასოვი, 3. სურხატიანი, 4. სოსიაშვილი, 5. ბეჟანოვი, 6. ნაზარეტიანი, 7. მესხი, 8. ხარაბაძე, 9. რუხაძე არჩილ.

— **ქალაქის რაიონზე:** 1. ხუნწკარიოვი, 2. ვირსა, 3. ბუზნიკაშვილი, 4. ვასილიევი, 5. პოგერმანი, 6. ვართანიანი, 7. დუბენსკი. 8. ნასარიძე, 9. ლეინ.

განყ. გამგის მოადგილე რამაძე.

განცხადებები

ყოფილ კატორღელთა და გადასახლებულთა საზოგადოება ამით აცხადებს, რომ

ამხ. კომანდო გოგელიას

დასაფლავება მოხდება 25 დეკემბერს. გამოსვენება რესპუბლიკის მთავარ (ყოფილ მიხეილის) საავადმყოფოდან სრულ 3 საათზე. დასაფლავება მოხდება პანთეონში (დიდუბეში).

ნ. 445. 2—2

ყოფილ კატორღელთა და გადასახლებულთა საზოგადოების ა.-კ. განყოფილება იწვევს ყველა ყოფილ კატორღელებს და გადასახლებულებს გამოცხადდნენ 25 დეკემბერს, სრულ 2 საათზე საზოგადოების განყოფილებაში (ლენინის, ყოფ. ოლღას ქ. № 29) საიდანაც საზოგადოების დროშით გაემართებიან

ამხ. კომანდო გოგელიას

(ოგბელიანის) დასაფლავების პროცესიაში მონაწილეობის მისაღებათ.

ნის. 446. 2—2

სახელმწ. ოპერა

დღეს, 25 დეკემბერს

1. კარნავალი
2. შოპენიანა

ნ. 432 3—3

ს. კ. პ. ცკას გამომცემლობათა

მთავარი კანტორა

გაუქმებულად აცხადებს

მინდობილობას, რომელიც ამა წლის ოქტომბრის 23-ს № 11776-ით მიეცა მოქალაქე ალექსანდრე ესაკიას (განცხადებათა შემკრები აგენტი)

2—

ამიერ-კავკასიის რკინის-გზათა სამმართველო

ამით აცხადებს, რომ 1924 წლის 29 დეკემბრიდან 1925 წლის 2 იანვრამდე, დილის 10 საათიდან თბილისის სალიკვიდაციო საწყობში (გორის ქუჩა, რკინისგზის ხახის მახლობლად) მოხდება ამიერკავკასიის რკინისგზის სხვადასხვა სადგურებზე მოუკითხავ ბარგის და ტვირთების გაყიდვა აუქციონით.

მეორე საჯარო ვაჭრობა იმ ტვირთებზე, რომლებიც გაუყიდავი დარჩება, დანიშნული იქნება იქვე 1925 წლის 2 იანვრიდან 7 იანვრამდე. თუ საჭიროება მოითხოვს, საჯარო ვაჭრობაზე დამსწრე კომისია საჯარო ვაჭრობას გააგრძელებს შემდეგ დღეებში.

ქვევით აღნიშნულია „საკლადნოის" ნომერი, როგორი ტვირთია, რამდენი თავია და წონა. დაწვრილებითი ცნობების მიღება შეიძლება თბილისის სალიკვიდაციო საწყობში საჯარო ვაჭრობის დღემდე, ვაჭრობის დაწყებამდე.

მოუკითხავი ტვირთები.

№ 650770—ყუთების ფიცრები, 8 თ., 8 ფუთი, № 45563—წყნელი 10 შეკვრა, 4 ფ. 13 გ., № 171756—ხის ცარიელი ბოჭკები, 2 თ. 3 ფ. 20 გ., № 254790—კანცელარიის წიგნები—1 თ. 3. ფ. 35 გ., № 45034—პურის ფქვილი, 1 თ. 3 ფ. 30 გ., № 2242—პურის ფქვილი, 1 თ. 5 ფ., № 45033—პურის ფქვილი, 1 თ. 3 ფ. 23 გ., № 45035—პურის ფქვილი, 1 თ. 3 ფ. 33 გ., № 24143—ძველი ბოლქვი, 1 თ. 2 ფ., № 231509—ბილიარდის მაგიდა, 6 თ. 22 ფ. 23 გ., № 62481—სახლის ბარგი, 3 თ. 10 ფ. 18 გ., № 15695—„ჟელუკა", 1 თ. 17 გ., № 74076—ხის ყუთი, 3 თ. 1 თ. 30 გ., № 127353 ტელეგრაფის ბოძები, 2 თ. 43 ფ., № 172442—ხორბალი, 219 თ. 1004 ფუთ. 10 გ., № 73925—კალათები, 5 თ., 2 ფ., № 74090—კალათები, 22 თ., 1 ფ. 20 გ., № 172443—ხორბალი 218 თ., 992 ფ. 37 გ., № 8732—ცარიელი ყუთები, 8 თ. 5 ფ. 30 გ., № 11486—რკინის ყუთები, 2 თ. 14 ფ., № 38515—ხორბალი 2 თ., 9 ფ., № 29133 ჩაი, 13 ყუთი, 58 ფ. 22 გ., № 6238—ბორჯომის წყალი, 1 ყ. 5 ფ. 20 გ. № 47663—ჩინარის ბოძები, 2 თ., 92 ფ. 20 გ., № 155936—ავტომობილი—1 თ. 150 ფ., № 127374—ბორჯომის წყალი, 1 ყ. 5 ფ. 15 გ., № 17184—ელემენტები წამლებისათვის, № 55684—გაურეცხავი მატყლი, 5 თ. 32 გირ., № 645765—ხის ცარიელი ყუთები 5 თ. 2 ფ. 20 გ., № 646941 ხის ცარიელი ყუთები, 13 თ. 2 ფ. 20 გ., № 647019—ხის ცარიელი ყუთები, 11 თ. 3 ფ., № 34726—პურის ფქვილი, 2 თ. 38 გ., № 34726—პურის ფქვილი, 2 თ. 31 გირ., № 387974—თუჯის ბოძები, 3 თ. 87 ფ. 36 გირ., № 387976—მანქანების თუჯის ნაწილები, 24 თ. 129 ფ. 32 გ., № 23236—პურის ფქვილი, 2 თ. 1 ფ., № 28235—პურის ფქვილი, 2 თ. 1 ფ., № 39218—გამომწვარი აგურები, 1 ყ. 1 ფ. 34 გ., № 22999—ქვაბი, 1 თ. 1 ფ. 38 გ., № 40752—[illegible] 5 თ., 10 ფ. 20 გ., № 45038—პურის ფქვილი, 1 თ. 5 ფ., № 75520—ყუთები, 1 თ. 25 გ., № 45039—პურის ფქვილი, 1 თ. 5 ფ., № 45032—პურის ფქვილი, 1 თ. 4 ფ., № 27819—[illegible], 12 თ. 29 ფ., № 32672—ღორის ქონი, 21 თ. 10 ფ. 10 გ., № 6432—პურის ფქვილი, 1 თ. 4 ფ. 5 გ., ცარიელი ყუთი, 1 თ. 25 გ., საზეინკლო მოწყობილობა, 1 ყ. 2 ფ. 3 გ., № 139921, ძველი ტომრები 2 თ. 3 ფ. 20 გ., ძველი ტომრები 2 თ. 3 ფ. 5 გ., № 14339—მათული, 1 თ. 1 ფ., № 31736—ბარგი, 1 თ. 30 გ., № 28950—ხის ყუთი, 6 თ. 9 ფ., № 37004—კალათები და ყუთები, 2 თ. 2 ფუთი 15 გ., № 137818—სხვადასხვა ნივთები, 2 თ. 1 ფუთი 15 გირვანქა, № 13620—გალია, 1 თ. 1 ფ., № 15293—ჩაი, 2 თ. 2 ფ. 1 გ., № 9112—წიგნის ფურცლები, 1 თ. 8 ფ., № 25981—ბარგი, 1 თ. 1 ფ. № 8023—ბაგაჟი, 1 თ. 12 გ., № 13—სპირტი 2 ბ., 1 ფ. — გ., № 1795—ხის ბოჭკა, 1 ფ. 15 გ., № 1169—ხის ყუთი, 2 თ. 30 გ., № 13096—ყუთები, 2 თ. 1 ფ. 15 გ., № 181518—ბოთლები, 2 თ. 2 ფ.

უდოკუმენტო ტვირთები

№ 1006—სხვადასხვა ნივთები, 1 თ. 1 ფ. 03 გ., № 32—რკინის ლომი, 5 თ. 31 გ., № 620—დიდი სკივრი, 1 თ. 90 გ., № 103—ხის ცარიელი ბოჭკა, 1 თ. 3 ფ. 10 გ., № 107—ხის ცარიელი ბოჭკა, 1 თ. 2 ფ. 20 გ., № 141959—მოძრავი [illegible], 1 თ. 24 ფ., № 158—სხვადასხვა ნივთები, 1 თ. 2 ფ. 2 გ., № 4—წისქვილის ქვები, 2 თ. 122 ფ., № 13—სხვადასხვა ნივთები. 6 თ. 37 გ., № 247—ცარიელი გალია, 1 თ. 15 გ., № 1987—თამბაქო, 1 თ. 1 ფ. 33 გ., № 540—[illegible] ჩაი, 2 თ. 1 ფ. 19 გ. და თამბაქო 1 თ. 10 გ., № 596—1 თ. 3 ფ. 5 გ., № 739—თამბაქო, 3 თ. 16 გ. № 320—პალტო, 1 თ. 13 გ. № 130992—[illegible] ბარგით, 1 თ. 32 გ., № 321—ტყავის ქუდი, 1 თ. 1 გ., № 22563—სხვა და სხვა ნივთები, 6 თ. 22 გ., № 374—ლოგინი, 1 თ. 1 ფ., № 398—ტომრები და კალათი, 3 თ. 6 გ., № 410—ტომარა პროდუქტებით, 1 თ. 35 გ., № 415—ბოხჩები, 2 თ. 32 გ., № 40942—ცარიელი ტომარა, 1 თ. 30 გ., № 3684—„კრუპა", 1 თ. 1 ფ. 3 გ., № 3682—ცარიელი ტომარა, 1 თ. 1 გ., № 3652—ცარიელი ტომარა, 1 თ. 1 გ., № 76143—ნახმარი ნივთები, 1 თ. 1 ფ. 8 გ., № 3717—ცარიელი ყუთები, 2 თ. 1 ფ. 19 გ., № 60563—ძველი ნივთები, 2 თ. 1 ფ., № 76528—სხვა და სხვა ნივთები, 6 თ., 9 ფ. 19 გ., № 492—ქალის ქუდი, 1 თ. 1 გ., № 508—ნახმარი ნივთები, 1 თ. 9 გ., № 522—სხვა და სხვა ნივთები, 8 თ. 33 გ., № 523—სხვა და სხვა ნივთები, 1 თ. 1 ფ. 14 გ., № 40439—თუჯის ბოძები, 5 თ. 179 ფ. 10 გ, № 7999—ქირი, 408 ფ., № 13605—მარილის კრამიტი, 1 ვაგ. 1000 ფ., № 13606—მარილის კრამიტი, 1 ვაგ. 935 ფ., № 104720—ფიცრის ფურცლები, 1 ვაგ. 995 ფ, № 136867—ცარიელი [illegible], 30 გ. № 12718—თუჯის ქვაბი, 1 თ. 4 ფ. 25 გ., № 87833 [illegible] თესლი, 1 თ. 3 ფ. 5 გ., № 81049—პურის ფქვილი, 1 თ. 1 ფ. 25 გ. და არაყი, 1 თ. 1 ფ., № 5728—ტელეგრაფის ბოძები, 9 თ., 166 ფ., № 525—ცარიელი კალათები, 3 თ. 12 გ., № 76506—პურის ფქვილი, 1 თ. 5 ფ. 35 გ., № 4363—როგოჟა, 1 თ. 35 გ., № 70148—„კრუპა", 2 თ. 7 ფ. 20 გ., № 136—კალათი ფქვილით, 1 თ. 1 ფ. 8 გ., № 440—პურის ფქვილი, 1 თ. 4 ფ. 30 გ., № 165243—თიხა 1 თ. 4 ფ., № 36959—[illegible], 1 თ. 2 ფ., № 36969—[illegible], 1 თ. 2 ფ. 29 გ., № 6963—საკვრი, 93 თ. 150 ფ. 33 გ., № 2860—კრამიტი, 1 ყ. 1 ფ. 17 გ., № 35381—ბარგი, 1 ყ. 24 გ., № 73967—„კრუპა", 1 ყ. 2 ფ. 17 გ., № 128320—ზეთის მარილი, 7 თ. 19 ფ., № 79485—კოცხები, 1 შეკვრა, 1 ფ. 13 გ.

ნ. 444. 1—1

ს. ს. რ. საქართველოს მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატი

აცხადებს, რომ დღის 12 საათზე 27 დეკემბერს, მიწათმოწყობის განყოფილების სამზადველში (ტრიბუნალის ქუჩა № 32) დანიშნულია გამეორებითი

საჯარო ვაჭრობა

თევზის დაჭერის უფლების საიჯაროთ გაცემაზე საქართველოს საზღვრებში მდებარე თბილისის და ბორჩალოს მაზრებში მტკვრის, ხრამის, მაშავერის, დებედა-ჩაის მდინარეებზე და ყარაიაზის ტბაზე, ხოლო იმავე დღეს ქ. ფოთში პალეოსტომის ტბაზე ვადით 1925 წლის 1-ლ იანვრიდან 1926 წლის 1-ლ იანვრამდე.

საიჯარო ადგილების იჯარით გაცემის შესახებ დაწვრილებითი ცნობების განხილვა შეიძლება ყოველ დღე, გარდა კვირა უქმისა, მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის მიწათმოწყობის განყოფილების კანცელარიაში (ევანგულოვის ქუჩა № 2) დღის 12-დან 3 საათამდე.

ნის. 397 2—2

სახელმწ. დრამა

დღეს, 25 დეკემბერს

მათრახის პანაშვიდი

შაბათს, 27 დეკემბერს

ვინძორის მხიარული ქალები

ნ. 433 3—3

ალმასკომის საფინანსო

განყოფილება

ამით აცხადებს გადამხდელთა საყურადღებოთ, რომ შემოსავალ-გასავლის საერო გადასახადის განაწილების და მათთვის ფულის შეტანის საშუალების გაადვილების გამო ა. წ. 29 ნოემბრიდან

--- მოეწყო მიღება ---

სახლისა და სათანადო გადასახადების შემნახველ სალაროებში № 1-ში სადგურის პირდაპირ, № 2-ში, სოლოლაკის ქ. № 12, № 43-ში კახეთის მოედანი და № 4-ში ვერის დაღმართზე.

447 3—2 საფინანსო განყ. გამგე—გაბაშვილი.

ფოტოგრაფი მგემიძე

ილებს უკეთესგვარ ფოტოგრაფიულ სამუშაოს, გრძელდება ადიდებს სურათებს ხელმისაწვდომ ფასებში

პლეხანოვის პრ. № 80. ნ. 398. 5—3

აისი
კინო-თეატრი

! სენსაცია !

ამ დღეებში
გაიხსნება

ახალი კინო-თეატრი
აისი

საქ. პირველ
კინო [illegible]

ყოველ-დღე
!

შრეული
სურათები

ორკესტრი
სიმებიანი 22 კაცისგან

შერჩეული
მუსიკა

აისი
კინო

ნ. 453 1—1

ელექტრონით და სინათლით

სამკურნალო

საწოლებით რენტგენი დიათერმია

მიხეილ გედევანიშვილის სააბაზანოს

ნერვიულ დაავადებულთ იმ ავადმყოფობათა ს, რომელნიც ფიზიკურ მეთოდებით ექიმობას საჭიროებენ

მიღება 2—3 დან—8 სთ. თბილისი, ყორღანოვის ქ. № 20. 9205. 25—21

ექიმი

პ. რ. ვართანოვი

ხიფილისი. კანისა და ვენერიული ავადმყოფობა.

მიღება: დილით 9—10 ს. საღ. 5—7 ს. მისამართი: სურამის ქ. № 9. კუთხე სადგურის ქუჩისა. რკინის გზის სამმართველოს მახლობლად.

25—9

ექიმი

ე. მ. მძინარიშვილი

სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულება

ავადმყოფების მიღება: 1—2 ს. და 6—8 ს. საღამოთი: ქალების და ბავშვების 5—6 ს.

მისამართი: რუსთაველის პრ. № 18 (შესავალი კრუზენშტერნის ქუჩიდან).

25—13

კერძო

გინეკოლოგიური და ქირურგიული

საავადმყოფო

ტერაპევტიული განყოფილებით

სტაციონარულ ავადმყოფთა, გარდა გადამდებ და სულით ავადმყოფთა მიღება ყოველ დროს.

ამბულატორული მიღება მეანობაში და გინეკოლოგიაში, ქირურგიული და შინაგან ავადმყოფობათა დილის 10—2 საათამდე და საღამოს 7—8 საათამდე.

სოლოლაკი, რტიშჩევის ქ. № 13. ცნობების მიღება: ექიმი შახნაზაროვის ტელეფონით № 7—14—4.

ნის. 372 100—10

ექიმი

ს. ა. გალუსტიანი

შინაგანი, კანის, ვენერიული სნეულებანი (მწვავე და ქრონიკული ტრიპერი, სიფილისი).

ავადმყოფების მიღება 9-დან დილის 12 საათამდე და 4-დან საღამოს 7 საათამდე, ქალების—2-დან 4-დე.

ელისაბედის ქუჩა, № 77, მეორე სახლი კირკის ქუჩის კუთხიდან.

3083 25—8

ექიმი

გ. გ. მერაბზიანცი

ავადმყოფობა ფილტვების, გულის, ტუბერკულიოზი. სპეციალური [illegible]. ელექტრო-სინათლე-რენტგენის სამკურ. კაბინეტი. ფოტოგრაფია და მკურნალობა რენტ. სხივებით.

მიღება დილის 9—1 ს. და საღამოს 5—8 ს. ბებუთოვის ქ. № 23.

13—13 2746

მედიცინის დოქტორი

ა. ა. მუსხი

ბავშვთა და მოზრდილთა შინაგან, ორგანოების და ნერვიული სისტემის ავადმყოფობანი.

ელექტრო-სინათლით საექიმო კაბინეტი. მიღება დილით 10—12 საათამდე, საღამოს 5—7 საათ. გარდა უქმეებისა.

პლეხანოვის პრ., № 111 (ყოფ. მიხეილის ქუჩა), ბინა 2.

№ 2969 25—17.

ექიმი

ა. დ. კეკელია

ხიფილისი, ვენერიული და კანის ავადმყოფობა.

მიღება: დილის 9—11 საათ. საღამოს 5—8. პლეხანოვის პროსპექტი № 116, სასტუმრო „ნოეს" პირდაპირ. 25—23 № 2850

ექიმი

ა. ს. ვადაჭკორია

ღებულობს ქალთა სნეულებათა ავადმყოფებს და უწევს სამეანო დახმარებას. მიღება დილის 8—10-მდე საღ. 3—7-მდე. ოლღას ქუჩა № 35

25—13

დავკარგე პირადობის ბარათი № 1767 ილიკო მეტრეველის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულათ.
3.71 1—1

დავკარგე მეტრიკული ამონაწერი № 4409 და პიროვნების მოწმობა [illegible] ნიკოლოზის ძე ანანოვის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად.
317 1—1

დავკარგე პირადობის მოწმობა გაცემული [illegible] რაიონის მიერ ამა 1924 წ. 23 ივნისიდან № 529 ნიკოლოზ ყურაშვილის სახელზე ერთი წლის ვადის. ჩაითვალოს გაუქმებულად.
3169 1—1

დავკარგე სამხედრო [illegible] გაცემული [illegible] ლომიძის სახელზე, ჩაითვალოს გაუქმებულად.
3167 1—1

დავკარგე პირადი წიგნაკი ფორმა № 4. აღებული ფოთის სამხედრო მაგიდიდან № 100 ილიკო გრიგოლის ძე ჯუღელის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად.
3170 1—1

დავკარგე პირადობის მოწმობა მიცემული ფოთის მილიციის [illegible] ვასილ ნიკოლოზის ძე კომახიძის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად.
უ.

დავკარგე [illegible] რაიონის კომის. მიერ მოცემული სამხედრო აღრიცხვის ბარათი № 68. ჩაითვალოს გაუქმებულად. ალექსანდრე ანტონის ძე დიხამინჯია.
3166 1—1

დავკარგე სტუდენტის წიგნაკი № 474, გაცემული ტფილ. სახ. უნივერსიტეტის მიერ გ. [illegible] სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად.
უ. 1—1

დავკარგე 1. პირადობის მოწმობა № 28644, მიცემული [illegible] № 4 [illegible] და 2. სარეგისტრაციო მოწმობა № 2611, მიცემული თბილისის სამხ. დროშ. კომისარიატის. ჩაითვალოს გაუქმებულად. დავით დიმიტრის ძე აბაშიძე
3161 1—1

დავკარგე პირადობის მოწმობა № 1214, მიცემული რაიონის [illegible] სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად.
3174 1 1

დავკარგე მეტრიკული ამონაწერი [illegible] 51, ვასო [illegible] სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად.
3165 1—1

დავკარგე [illegible] წიგნაკი. ჩაითვალოს გაუქმებულად. ზაქარია [illegible] ბოდაბრიძე.
164 1—1

დავკარგე მოწმობა 173 [illegible] 7 კლასის დამთავრების შესახებ და მოწმობა [illegible] № 98. ჩაითვალოს გაუქმებულად. [illegible]
3 65 1—1

დავკარგე [illegible] მოწმობა [illegible] ჩაითვალოს გაუქმებულად. [illegible]
3161 1—1

დავკარგე [illegible] წიგნაკი № 1586, [illegible] სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად.
3163 1—1

„ზარია ვოსტოკა"-ს [illegible] ქუჩა № 4.